


კვირის პალიტრა

გზა

41(70) 11/X.-17/X.2001.

ფასი 60 თ.



1168
2001

**პატივსაცემი
მერი მაყიას
სამართლებრივი
მელოდია**



**ვალერი გელაძე
თბილისში
დასახლებას
პაირებს**

რის გამო კარგავს ია ფარულავა მამაკაცებს



გვ.10

**„ქაჯასიური ნაგაზის
გუნებაში არ ზის
დივანზე წოლა და ერთი
უღვიღის „აბჯეკა“.
ის იმდენად ჩინდული,
ვაჟასური და გეასრია,
როგ უბრალოდ, ვერ
აქადრებ იმას, რას
არ აქადრება...“**

მინიატურები

რა უთხრა „ივან“ „ამას“ 3

ექსპერტი

პალერმოს მერი მაფიას
საქართველოში ემალებოდა 4

ავტუა

რის ბაგო კარგავს
იმა ფარულავა მამაკაცებს... 7

ქინოლოგია

რუსებმა კავკასიური
ნაბაგის წაგვართვეს 10

თანამშრომელი

„უკანასკნელი რომანტიკოსი“
თბილისში სახლის
შექმნას აპირებს 13

უაპორობეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციამზე 15

ანტიკუარისანი

ინფორმაციულ-შეგნებებითი
კოლაჟი გოგა ღვალის
უბის წიგნაკიდან 16

ნაფიქციო ანბანი

მიაგობი შალიკუნას ეჭვები 16

კრიტიკალი

„სროლის ხასიათზე ვარ, იცოდა,
და გავსერი“ – ღაბრელაშვილის
თქმით, ასე ღაბრელა
კოლინიელმა გასროლის წინ 18

მსახიობი

კინოდან წასვლის შემდეგ,
ბურნუთა უხსოვლანებთაგან
წასასვლელად ეგზავნებოდა 22

ქართული

ცხომრელი რაჭველები ქვე
ყველაზე მარტები ყოფილან 25

საზოგადოება

„აფრიკელი“ მოუთხინიერებლები“
მანავში 28

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 30

გვერები

როგორ გაჩნდა აბიაშვილთა
საგვარეულო 30

ფსიქოლოგიური თაბაში

როგორ იქნებოდა რთულ
სიტუაციებში?! 31

სამყარო

მასაჟი – თქვენი სხეულის
ღვინასწაული 32

**პალერმოს მერი მაფიას
საქართველოში ემალებოდა**




გასულ კვირას თბილისს საინ-
ტერესო სტუმარი ეწვია. კაცი,
რომელმაც დიდი დარგვმა მიაყ-
ენა მაფიას – ასე იცნობს მსოფ-
ლიო პალერმოს ყოფილ მერსა
და ამჟამად სიცილიის პარლამენ-
ტის წევრს, ლეოლუკა ორლან-
დოს.

4

**„უკანასკნელი რომანტიკოსი“
თბილისში სახლის შექმნას აპირებს**

ვერ გეტყვით, იმ საღამოს ვინ
უფრო ბედნიერი იყო – „ლაგუნა
ვერს“ სცენაზე მდგომი ვალერი
მელაძე თუ მისი მსმენელი. სცენას
და გრიბუნებს წყლით სავსე აუზი
ყოფდა, მაგრამ თაყვანისმცემელ-
თა ხმა და შეძახილები მომლ-
ერლამდე მაინც აღწევდა.



13

**ტყვიამ 33 წლის
ახალგაზრდა იმსხვერპლა**



ამ დღეს 33 წლის კახა კალან-
დარიშვილი ეცეხლსასროლი იარ-
აღიდან გასროლილმა გყვიამ
მოკლა. იარაღი პოლიციის ლეი-
ტენანტს – 33 წლის ზაზა იანვარაშ-
ვილს ეჭირა ხელში.

18

**რის ბაგო კარგავს
იმა ფარულავა მამაკაცებს...**

– ნებისმიერი ადამიანი, რომელ-
საც შენთან ინტიმური კავშირი
ჰქონია, თავის კვალს გოვებს... ახლა
ამაზე გამოკვლევები ტარდება და
მალე შესაძლებელი გახდება იმის
დადგენა, თუ რამდენ ადამიანთან
არის ესა თუ ის პირთვინება ნამე-
ოფი ინტიმურ კავშირში...



საქართველოში
მეტონიუმი
ბიბლიოთეკა

7

წმინდანები

14 ოქტომბერი - წმინდა მოციქულთაწმინდა გიორგი მირიანისა და დედოფალ ნანას ხსენების დღე 34

საბანძური

ამ ყელსაბანძურის მსგავსი არსად ბრძანებრი ბეჭეულა... 35

ფაქტობრივი

დღევანდელი ბეჭედი: „ვიქტორია პირველად თბილისში მანაძე“ 36

გეოგრაფია

თბილისი დასუფი და... მიმართვი 40

პარაკლასი

მეზ რაიანი - კალიან ლამაზი და უგემოვნოდ ჩამოყალი პარაკლასი 42

ტანტი

ერთგული მიმთხველი 44

რომანი

თინა დალაქიშვილი, ლალო ნაპირელი, გვარაკი (გაბრძანება) 45

აქეთური-ჩქითური

48, 49

ავტო

50

ჯანმრთელობა

- სისხლის ჯგუფი 52
- თქვენი პატარა 53
- თაული 54
- ქუთუთოები 54
- კითხვა-პასუხი 55

დიდოსტატი

იტალიელი, რომელმაც ვესტერნის სამომოლო დაიკურა 56

საზინარო დავალება

ნაპირის ათი გირჩა 60

საანოროდი

61

ჰოროსკოპი

კვირის (15-21 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტანტი

გაქვით თუ არა ღროის უგბრძანება? 63


კალენდროსკოპი

ჩრდილ-ჩრდილი ამბები 64

გარეკანაწი: გიორგი შორაშვილის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათოვლით გზაში „კვირის კალიტრის“ დამატება შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კლორში“

პინოდან წასვლის უგბრძანება, გურნათა უგბრძანება პლანეტარულ წასვლადად გეგმავრება



მეცხრე კლასში ვიყავი. მეგობრებთან ერთად ქუჩაში ვთამაშობდით და ვესტებით, უსიყვოდ რაღაცას ვუხსნიდი. მოულოდნელად, უცნობი შევნიშნეთ, რომელიც გვითვალთვალვებდა და თან სურათებს მიღებდა. ეს კაცი რებო ესაძე იყო. ის ეძებდა მთავარ გმირს თავისი ფილმისთვის „ერთი ნახვით შეყვარება“.

22


სხმორელი რაჭველები ქვე უგბრძანება მებრძობი მოფილან

მოითხოვეს, პირველად მათთვის დაეწერათ ჯვარი. ატყლა კამათი. ისე დაიძაბა მდგომარეობა, რომ მღვდელმა განაცხადა: გალავანში „საჯილდაო“ ქვა გვაქვს, რომელი სოფლის წარმომადგენელიც აწვევს ქვას, იმათ დაეწერ პირველად ჯვარსო.



25

იტალიელი, რომელმაც ვესტერნის სამომოლო დაიკურა




სიცოცხლეში მას ხელოსნად მოიხსენიებდნენ. აგრეთვე ქანრული კინოს დამანგრეველსაც უწოდებდნენ. ლეონეს სიკვდილის შემდეგ კი გაირკვა, რომ მის ფილმებზე სწავლობდნენ სტივენ სპილბერგი, ფრენსის ფორდ კოპოლა, მარტინ სკორსეზე და ქუენტინ გარანტინო.

56


გვარჩევი

იგორი ფრთხილად აღგამდა ფეხებს, რომელმაც ორი მომით დიდი ფეხსაცმელი ეცვა და ეს სრულიადაც არ უშლიდა მოძრაობაში. ამ ხერხით კი პოლიციას შეცდომაში შეიყვანდა. ხელებზე ხელთათმანები ჰქონდა წამოცმული.



45

რას უთხრა „იმან“ „ამას“



რასან ტრადიციად ვაქციეთ ჩემი „პროვოკაციების“ „ქართული ხალხური ანეკდოტებით“ დაწყება, ნურც დღეს დავარღვევთ ამ წესს და 70-იანი წლების ანეკდოტს გაგახსენებთ:

ის დროა, როდესაც „დუბლიონკა“ ფუფუნების საგნად ითვლება და მის მფლობელს ლამის შემოსავლების შესახებ ცნობა მიატანინონ „ო-ბე-ზე-ეს“-ში, „დუბლიონკის“ წართმევა კი, დაახლოებით დღევანდელი „მერსედისის“ გატაცების ტოლფასი იყო – დაზარალებულს ინფარქტი ემართებოდა, ან – თუ გადარჩებოდა, ხალხი სამძიმარზე მიდიოდა „აუნაზღაურებელი დანაკლისის“ გამო...

სწორედ იმ პერიოდში „თბილისელი სტუმარი“ საგარდო და სამაისო ქუთაისშია ჩასული და თავის „დუბლიონკას“ „ამარიანუებს“ ქუთაისელთა უსაყვარლეს ბირჟაზე – „ბაღის კიდეზე“. ერთი-ორჯერ აიარ-ჩაიარა და უცებ ვიდაცამ დაქაჩა კალთაზე. დაიხედა და, ხუთი-ექვსი წლის ცინგლიანი ბიჭი ამოჰყურებს:

– ბიძია, გეიხადე ჩემი დუბლიონკა...

– ე?! წადი შენი – წაუთაქა თავში.

ბავშვი აღრიალდა:

– დე-დაააა... მომეცი ჩემი „დუბლიონკააააა“...

ამ დროს „იჩითება“ ვიდაც მუტრუკი, ბავშვს ხელში აიყვანს და მუქარანარევი სიმშვიდით მიმართავს „მჩაგვრელს“:

– რასაა რომ ატირებ ბოვშს, მიეცი მისი „დუბლიონკა“!

ვინც ჩვენი ჟურნალის წინა ნომრის „პროვოკატორი“ წაიკითხა, ემანსოვრება, რომ იქაც დაახლოებით ასეთ ცინგლიან ბავშვზე გვექონდა საუბარი, მაგრამ ამ ბიჭივით „აბიჟნიკი“ ვერ იყო, რადგან დამცველ „მუტრუკს“ არ ეცალა და ამიტომ „დუბლიონკებს“ აწერავდნენ“ ცუდი ბიჭები, თავშიც წაუთაქებდნენ ხოლმე... მაგრამ ნათქვამია, „ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო“...

სწორედ ამის დასტურია ჩვენი პრეზიდენტისა და მისი ამაღლის ვიზიტი ამერიკაში: მაშინ, როდესაც აქ ყველა ფიქრობდა, ამერიკას ჩვენთვის აღარ სცალიაო (აქ კი არა, რუსეთშიც დარწმუნებულნი იყვნენ და თავიანთი ჭკუით, დრო იხელთეს – „დუბლიონკის“ გახდა“ მოგვინდომეს) და სახელმწიფო და შინაგან საქმეთა მინისტრები სასწრაფოდ გაემგზავრნენ ჩრდილოეთიდან ამომავალ მზეზე მისაფიცხებლად, სრულიად მოულოდნელად მოიცალა ამერიკამ ჩვენთვის და... „მიეცი ბოვშს მისი „დუბლიონკა“, – უთხრა ვისაც ჯერ არს.



აქედან გამომდინარე, საქართველოს პირველი პირის განცხადებები, რომელთა შორის დრო ხუთი დღე იყო, ხოლო მანძილი კი – ევროპა და ატლანტის ოკეანე, ფრიად განსხვავებოდა ერთმანეთისგან და დაახლოებით ასე ჟღერდა:

– რუსეთი ჩვენი დიდი მეზობელი და მეგობარია, ერთმორწმუნე ქვეყანა და მფარველი, მაგას ვეზუტუნე ჯიგარში... (ამერიკაში წასვლამდე).

– რუსეთი უკვე ძალიან გაბლატავდა, ამოვიდა ყელში მაგისი პროვოკაციები. მეზობელს კი არა, ცოლს შორდება ხალხი – „დაახვიოს“ ჩვენი ტერიტორიიდან და „ვაფშე“ შეგვეშვას, თორემ „დუბლიონკას“ კი არა, ტყავსაც გავაძრობთ (ამერიკაში ყოფნისას და ჩამოსვლის შემდეგ)...

P.S. საქართველოს ოფიციალური მასმედიის ცნობით, ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა საქართველოს პრეზიდენტს დაურეკა. საუბრის შინაარსი გასაიდუმლოებულია...

მაგრამ ადვილი მისახვედრია, რა უთხრა „იმან“ „ამას“: „ეხლა მანდ, თქვენ სიახლოვეს, დიდი გრუხუნი იქნება და შენ არ შეგეშინდეს, ჩემი ბიჭი...“

P.P.S. ამ სურათს ვინც დახედავს, აუცილებლად გაახსენდება (ცხადია, თუ წაკითხული აქვს) 80-იანი წლების დასაწყისის ჟურნალ „ოგონიოკის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული ვიდაც უზბეკი (თუ ყირგიზი) ქალის მოგონება: „სამაგალითო პიონერი ვიყავი და რომელიდაც დღესასწაულზე დიდი საჩუქარი მივიღე – მოსკოვში წასვლა და კრემლის სვეტებიან დარბაზში საზეიმო საღამოზე სხვა მომე რესპუბლიკების ბავშვებთან ერთად, ჩვენი ქვეყნისა და პარტიის ხელმძღვანელებისათვის ყვავილების მირთმევა...“

ყველაფერი წესისამებრ ჩატარდა, მაგრამ მე განსაკუთრებული ბედნიერება მხვდა წილად: სტალინთან მოვხვდი! ბელადმა ხელშიც კი ამიყვანა, თავზე მომეფერა და ახლაც კი მახსოვს, ჩემთვის გაუგებარ ქართულ ენაზე როგორი სიყვარულით გადაულაპარაკა ამხანაგ ბერიას: **Момашорет эс тилиани виришвили**, თან ალერსიანად მიღიმოდა...“

ობლის კვერის ზემოთ ხსენებულ ანდაზას რაც შეეხება, მისი ასეთი ვარიანტიც არსებობს: „ობლის კვერი ცხვა, ცხვა და... ვერ გამოცხვაო...“

პროვოკატორი

გასულ კვირას თბილისს საინტერესო სტუმარი ეწვია. კაცი, რომელმაც დიდი დარტყმა მიაყენა მაფიას — ასე იცნობს მსოფლიო პალერმოს ყოფილ მერსა და ამჟამად სიცილიის პარლამენტის წევრს, ლეოლუკა ორლანდოს. დღეს ის სიამოვნებით უზიარებს ყველას მაფიასთან ბრძოლის შედეგად მიღებულ თავის გამოცდილებას. თბილისში ლეოლუკა ორლანდო მარტო არ გახლდათ. მასთან ერთად იყვნენ კარდინალი სალვადორე პაპალანდო და სიცილიური გაზეთის „ჯორნალე დი სიცილიას“ რედაქტორი პიერო კაშუ. ამ უაღრესად საინტერესო სტუმრების მონვევა საქართველოში განხორციელდა კანონიერების კულტურის პროგრამით, რომლის ხელმძღვანელს — ბატონ გიგი თაყაიშვილს, უფრო კონკრეტულად ვთხოვეთ, მოეთხრო აღნიშნული ვიზიტის შესახებ.

ქვე ლომიძე

— კანონიერების კულტურის პროგრამით გათვალისწინებულია იმავეს გაკეთება, რასაც ორლანდო თავისი მერად მოღვაწეობის პერიოდში აკეთებდა. ეს პროგრამა შემუშავებულ იქნა სოროსის ფონდისა და ამერიკის სტრატეგიის ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ. სტუმრების ჩამოყვანა ამერიკელების ინიციატივით მოხდა.

— ლეოლუკა ორლანდოს თანმსლებ პირებზე რას გვეტყვიან?

— გახსოვთ ალბათ ცნობილი ფილმი — „100 დღე პალერმოში“, სადაც გენერალ დე ლაკეზას კლავენ. ეს იყო რეალური პიროვნება, რომლის დაკრძალვაზეც კარდინალ პაპალანდოს მიერ წარმოქმნილი სიტყვით დასაბამი მიეცა მაფიასთან ფართომასშტაბიან ბრძოლას. მან თქვა: სანამ რომში ბჭობენ, პალერმო დაპყრობილი რჩება და დროა საქმეს მივხედოთ... მანამდე არც ერთ სასულიერო პირს ხმა არ ამოუღია მაფიის წინააღმდეგ საბრძოლველად. თვით პაპმა (იოანე-პავლე II) ვოიტილამაც კი, მხოლოდ ამ ამბიდან 3 წლის შემდეგ დაუჭირა მხარი ამ პოზიციას — მაშინ, როცა მას არავის და არაფრის არ ეშინოდა. პაპალანდო დღეს უკვე გადაძვარი კარდინალია, მაგრამ თავის დროზე, მაფიის წინააღმდეგ ერთ-ერთი უძლიერესი მებრძოლი იყო. რაც შეეხება გაზეთის რედაქტორს — იგი „ჯორნალე დი სი-



ლეოლუკა ორლანდო

პალერმოში მაფიის სამართლებრივი დაპყრობა

ცილიას“ იმ გვერდს ხელმძღვანელობს, რომელშიც სტუდენტთა და მოსწავლეთა კითხვებს პალერმოს ოფიციალური პირები პასუხობენ. ლეოლუკამ დანერგა ეს ტრადიცია, მისი იდეა იყო, რომ მოზარდების კითხვებზე სახელმწიფო მოხელეებს ეპასუხათ.

— როგორც გავიგე, ორლანდო დღესაც გაძლიერებული დაცვით დადის. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მაფია ისევ საშიშია.

— მაფია ბოლომდე არ დამარცხებულა. უბრალოდ, ის აღარ კლავს ადამიანებს. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ ის აღარ არსებობს. მაფია სიცილიაში კვლავაც არის და ლეოლუკას კვლავ შეიძლება დაემუქროს საფრთხე მაფიის წინაშე ჩადენილი „ძველი ცოდვების“ გამო. მაფიის საბოლოოდ დამარცხება ისევე შეუძლებელია, როგორც ბოროტების ამოძირკვა. ორლანდომ მაფიის გაკლენის შემცირება მოახერხა. ადამიანის ცნობიერებაში მაფიის გაკლენის შესუსტება შეძლო. ხალხს აღარ ეშინია მაფიის და ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, მაფიის ეკონომიკის დამარცხებაა. მოგეხსენებათ, იტალიაში მაფია მე-19 ს-ის მე-2 ნახევარში ჩაისახა, როგორც მოსახლეობის ჩაგრული ფენების დამცველი საიდუმლო ორგანიზაცია. მერე, თანდათან, ის გაძლიერდა და დანაშაულებრივ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

ორლანდოს თქმით, სიცილიაში მისი წარმოშობა უკავშირდება იმას, რომ იქ საკუთრების საკითხი დიდხანს არ იყო სამართლებრივად მოწესრიგებული. ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე საქართველოში, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, მაგრამ საქართველოში, სიცილიისგან განსხვავებით, ჯერ კორუფცია გაჩნდა და მერე — მაფია. დღეს აქ ბევრად უფრო მძიმე სიტუაციაა, ვიდრე სიცილიაში იყო მაშინ, როცა ორლანდომ მაფიასთან ბრძოლა დაიწყო: რომშიც და სიცილიაშიც ბევრად ნაკლები კორუმპირებული მოხელე იყო, ვიდრე დღეს ჩვენშია, მაფიასთან მებრძოლი ხალხი კი ამას მთელ თავის ძალებს ახმარდა და არაფრით შეუბღალავს თავისი რეპუტაცია: არც გენერალ დე ლაკეზას, არც ორლანდოს, არც პაპალანდოს...

— როგორ იხსენებს ორლანდო საქართველოში პირველად ყოფნის პერიოდს? სად ცხოვრობდა ის მაშინ, როცა აქ იმალებოდა?

— წარსულიდან ისეთს არაფერს იხსენებს. მაგრამ მისი საუბრიდან შევიტყვე, რომ ის სამი თვე იმყოფებოდა სნოს ხეობაში ოჯახთან ერთად. ძალიან შეუყვარდა ქართველები. საინტერესოა, რომ როცა ის მერი გამხდარა, პალერმოს არქივში აღმოუჩენია ერთ-ერთი იტალიელი ბერის მე-14 თუ მე-15 საუკუნის დროინდელი ჩანაწერები

საქართველოზე და ეს იყო ერთგვარი ბიძგი იმისთვის, რომ პალერმოსა და თბილისს შორის გაფორმებულიყო ხელშეკრულება დაძმობილების შესახებ.

— როგორ მოხდა, რომ თავშესაფარი მაინცდამაინც საქართველოში იპოვა?

— საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი ქვეყანა იყო, ამიტომ მაფიას ჩვენზე ხელი ნაკლებად მოუწვდებოდა. ამდენად, ლოგიკური იყო, რომ სწორედ აქ ჩამოს-

მქონდა, ჩემი მასპინძლები მიშლიდნენ სატელეფონო საუბრებს. ვაითუ, ვინმემ მოვისმინოთო. ამის შემდეგ საქართველო და ქართველები, საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ყველა ფრაგმენტი და საერთოდ, ყველაფერი ქართული, უპირობოა ჩემთვის. შემოდის ყველა ქართველს ვუთხრა: როცა პალერმოში მოხვდებით, აუცილებლად დამირეკეთ და მეწვიეთ — გაგიმასპინძლებით ქართული ღვინით, რომელიც

თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე ხდება. საქართველო უძველესი ქვეყანაა, მაგრამ ძალიან ახალგაზრდაც არის, რადგან სახელმწიფო ჯერ მხოლოდ 10 წლისაა. ამიტომაც, ბუნებრივია, ამდენი პრობლემა რომ გაქვთ. მაგრამ მთავარია, არ დაიბნეთ და სწორი გზა აირჩიოთ, რომელიც კეთილდღეობას მოგიტანთ. დღეს საქართველოს მთავარი მტერი — კორუფცია და მაფიაა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სიცილიასაც ზუსტად ეს მტრები ჰყავდა. კორუფცია და მაფია ელობება დემოკრატიასა და ეკონომიკის განვითარებას. თუ ისინი ვერ დაამარცხეთ, ვერც ქართული თვითშეგნება ამაღლება და ვერც ევროპის ქვეყნების კავშირში ჩართვებით. ამის თქმის უფლებას საკუთარი გამოცდილება მაძლევს. ბერნარდ შოუ ამბობდა: გამოცდილება, ეს არის სახელი, რომელსაც ჩვენ — შეცდომებს ვარქმევთ. ამრიგად, რაც უფრო მეტ შეცდომას ვუშვებთ, მით უფრო დიდი გამოცდილება გვიკრავება. ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს და ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი შეცდომაც დაგვიშვია, მაგრამ შეცდომებს სწორი გადაწყვეტილებებით ვცვლიდით და ალბათ ამას მოწმობს განსხვავება 15 წლის წინანდელ და ახლანდელ პალერმოს შორის.

— როგორც ვიცით, ცნობილი ფილმი — „100 დღე პალერმოში“ საკმაოდ რეალისტურად ასახავს 15 წლის წინანდელი პალერმოს ცხოვრებას...

— 15 წლის წინ, პალერმო საშინელებათა ქალაქი იყო, სადაც წელიწადში 240 მკვლელობა ხდებოდა. სამწუხაროდ, ამ ქალაქში არ არსებობს ქალი,

გახსოვთ ალბათ ცნობილი ფილმი — „100 დღე პალერმოში“, სადაც გენერალ დე ლაკეზას კლავენ. ეს იყო რეალური პიროვნება, რომლის დაკრძალვაზეც კარდინალ პაპალანდოს მიერ წარმოთქმული სიტყვით დასაბამი მიეცა მაფიასთან ფართომასშტაბიან ბრძოლას.

ვლა ურჩიეს.

ჩვენდა სასიხარულოდ, თავად ლეოლუკა ორლანდოსაც შევხვდით. ეს კაცი პირველივე წუთებიდან დადებითად განგაწყობს და იმდენად საინტერესო მოსაუბრეა, რომ ინტერვიუსთვის დაგეგმილი 10 წუთის ნაცვლად, მთელი ერთი საათიც შეიძლება გესაუბროს.

— რას იტყვით საქართველოზე? ვიცით, რომ პირველად, საკმაო ხანი დაყავით ჩვენს ქვეყანაში.

— ჩემთვის სასიხარულოა ამ ულამაზეს ქვეყანაში ყოფნა. თბილისში ჩამოსვლაზე ფიქრიც კი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს ყოველთვის. მე დავალებული ვარ ქართველი ხალხისგან, ამის თაობაზე კი მოთხრობილია სან-ფრანცისკოში ახლახან გამოცემულ ჩემს წიგნში, სადაც დიდი ადგილი ეთმობა ამ თემას.

— როგორ მოხვდით საქართველოში? რა სიტუაციას გაერიდეთ?


— 1986 წელს სიცილიას საშინელი ზაფხული დაუდგა. მაფიასთან ბრძოლის ურთულესი ეტაპი დადგა. იტალიის მთავრობამ პირდაპირ გამაფრთხილა, რომ ჩემი და ჩემი ოჯახის უსაფრთხოების დაცვის პირობას ვერ მომცემდა და დროებით იტალიის დატოვება მირჩია. მაშინ გადავწყვიტე, თბილისს ვწვეოდი, ჩემს ოჯახთან ერთად. იმ დროს იტალიასთან არანაირი კონტაქტი არ

მუდამ მაქვს სახლში. სხვათა შორის, არა მარტო ღვინო — ჩემთან ბევრ ქართულ ნივთს ნახავთ: მაქვს სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქართული ხმლეობი, ხანჯლები, ყანწები, ქართველი მხატვრების ნამუშევრები.

— 1986 წლის შემდეგ დიდი დრო გავიდა. თქვენი თვალთახედვით, რამდენად შეიცვალა ჩვენი ქვეყანა?

— საქართველო ისეთივე ლამაზია, როგორც მაშინ იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა იმ სირთულეს განიცდის, რაც სახელმწიფოს დემოკრატიისა და

გიგი თევზაძე



რომელსაც ძაძები არ სცმია იმის გამო, რომ მისი ოჯახის წევრი ან ნათესავი მაფიის მსხვერპლი გახდა — იმიტომ, რომ ან თვითონ იყო მაფიის წევრი, ან მაფიას დაუპირისპირდა... წარმოიდგინეთ, შარშან პალერმოში, მთელი წლის განმავლობაში, სულ 7 მკვლელობა მოხდა. ქალაქისათვის, სადაც 1 მლნ მცხოვრებია, 7 მკვლელობა ძალიან ბევრია, ერთიც ბევრია, მაგრამ ხომ გაცილებით ნაკლებია 240-ზე! თანაც, არც ერთი მკვლელობა ამ შვიდიდან, არ არის მაფიის — ე.ი. ორგანიზებული დანაშაულის შედეგი. როცა მე პალერმოს მერი გავხდი, გარეგნულად, დემოკრატია და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები გვქონდა, მაგრამ მთელი სიმდიდრე მაფიოზების ხელში იყო. დღეს სიტუაცია რეალურად შეიცვალა: პალერმო დემოკრატიული ქალაქია, სადაც თავისუფალი ბაზარი და ნორმალური კონკურენცია არსებობს.

— და მაინც, უფრო კონკრეტულად, როგორ მოახერხეთ ამის მიღწევა?

— მსოფლიოს 40 გამოჩენილი მოღვაწე პალერმოს საპატიო მოქალაქეა. მათ შორის არიან: ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, დალაი-ლამა და სხვები. ყოველ წელს საპატიო მოქალაქის წოდებით ვაჯილდოებდი აგრეთვე მაფიის მიერ სიკვდილმისჯილებს — ე.ი. იმ ადამიანებს, ვინც ბრძოლა გამოუცხადა ამ

საშინელ მონსტრს. ჩვენი მიზანი იყო, ყველასთვის დაგვემტკიცებინა, რომ მაფიის დამარცხება შესაძლებელია, თანაც ისე, რომ არ დაიღუპო.

— ამით თქვენ ხელ-ფეხს უბორკავდით მკვლელებს, როცა მათ

პტომია. დროა, დაიწყოს სერიოზული მოძრაობა. 1978 წელს მაფიის მკვლელობათა ჯაჭვი სიცილიაში სწორედ 2 ჟურნალისტის მკვლელობით დაიწყო და დიდი ხნის შემდეგ, უკვე იმ სასულიერო პირის მკვლელობით დამთავრდა, რომელ-

საქართველოში მძიმე სიტუაციაა და თუ ქართველი ჟურნალისტის მკვლელობა კორუმპირებულებს უკავშირდება, ეს ძალიან საშიში სიმპტომია. დროა, დაიწყოს სერიოზული მოძრაობა. 1978 წელს მაფიის მკვლელობათა ჯაჭვი სიცილიაში სწორედ 2 ჟურნალისტის მკვლელობით დაიწყო.

მოსალოდნელ მსხვერპლს საპატიო მოქალაქედ აცხადებდით?

— დიან: ცნობილი ადამიანის მკვლელობა უფრო დიდ ხმაურს გამოიწვევდა და მათაც, შესაბამისად, მეტი მტერი გაუჩინდებოდათ.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ საქართველოში არსებულ სიტუაციაზე?


— ჩემი დაკვირვებით, ახლა აქ ნამდვილად არის კორუფცია და ამიტომ, — მაფიის გამოჩენის საშიშროებაც იგრძნობა. მაფია ეს არის დანაშაულებათა და დანაშავეთა სისტემა და არა ცალკეული დანაშაული ან დანაშავე, ეს არის დანაშაულებრივი ცხოვრების, ქცევის წესი. როცა კორუფციას ცალკეული გამოვლინება აქვს, მაშინ მაფია არ ყალიბდება, მაგრამ როცა იქმნება კორუმპირებულთა სისტემა, რომელშიც ბევრი ასეთი ადამიანი უკავშირდება ერთმანეთს, ჩვენ წინაშეა კორუფციაც და მაფიაც, ამიტომ, დაუფარავად გეტყვით, რომ საქართველოში მძიმე სიტუაციაა და თუ ქართველი ჟურნალისტის მკვლელობა კორუმპირებულებს უკავშირდება, ეს ძალიან საშიში სიმ-

იც თავის მრევლს განუმარტავდა — რატომ არ შეიძლება, რომ ადამიანი ერთდროულად მაფიოზიც იყოს და ქრისტიანიც... როდესაც ხმა ავიმადღეთ მაფიის წინააღმდეგ, ჩვენი სოლიდარობის ნიშნად, პალერმოელმა ქალებმა ფანჯრებში თეთრი ზეწრები გამოფინეს. მთელი პალერმო თეთრად ქათქათებდა მაშინ, სასწაული სანახაობა იყო. მე დაცვა მყავს, დაჯავშნილი მანქანით დავდივარ, იმ ქალებს კი არავინ იცავდა — უბრალოდ, ეყობა გამბედაობა და თავიანთი წვლილიც შეიტანეს მაფიის დამარცხებაში.

— ცნობილია, რომ თქვენ თავისებური ფორმა მოუძებნეთ მაფიოზთა ქონების განაწილებას...

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ციხეში მჯდომი მდიდარი მაფიოზი უფრო საშიშია, ვიდრე გარეთ მყოფი და ქონებაჩამორთმეული... მე ჩამოვართვი მაფიას ქონება და ეს სიმდიდრე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას მოვასმარე; მაგალითად, ნარკომაფიისათვის ჩამორთმეული ქონებით, ნარკომანების სარეაბილიტაციო ცენტრი გავხსენი, სასახლეებში — სკოლები დავაარსე. ჩემი წინამორბედი მერი, მაფიოზი იყო და 39 სახლი ჰქონდა. ჩამოვართვი და იქ 39 უსახლკარო ოჯახი შევასახლე. ამ სიმბოლურ ჟესტს არ მარტო იტალიამ დაუჭირა მხარი, არამედ ევროკავშირმაც: 1998 წლის გაზაფხულზე ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირში არ შეიძლება დარჩეს ქვეყანა, რომელიც ამ წესს არ დაემორჩილება.

პალერმო, პრეგორიის მოედანი



ია ფარულაგა სტუდია „მეისტროდან“ წამოვიდა, არ არის გადაწყვეტილი, რომელ არხზე გადავა იგი თავისი გადაცემით: „ჩემი მშვენიერი ლედი“. ია ცდილობს, ეს გადაცემა გადაარჩინოს, მაგრამ თუ ის მაინც შეწყვეტს არსებობას, მსახიობი ჩათვლის, რომ ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო.

ია ფარულაგა ბევრი ქართველი მამაკაცის საოცნებო ქალია, ამიტომ ჩვენს საუბარში ინტიმური ხასიათის თემები სჭარბობს.



ჩის ბაჟო კარგავს ია ფარულაგა მამაკაცებს...

ლელა ჭანკოტაძე

— ია, რატომ გაურბი იმ სვირინგზე საუბარს, ქიპის ქვემოთ რომ გაქვს? უფრო სწორად, რატომ მალავ ამ სვირინგს?

— არ ვმალავ. მთელმა საქართველომ გაიგო, რომ ჭიპის ქვემოთ სვირინგი მაქვს. ის ჩემი სვირინგია და ამაზე მეტი რა შეიძლება ვთქვა?

— კარგი, მაშინ შენი სილამაზის საიდუმლო გაგვანდე...

— ასეთი გამაჩინა ბუნებამ... გენეტიკაც მიწყობს ხელს: ასაკი არ მეტყობა. რა თქმა უნდა, თავსაც ვუვლი. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგად ვუვლი სახის კანს ან თმას, მაგრამ სულ სილამაზის სალონში ვარ, სულ ვიცვლი ვარცხნილობას, ამიტომ საკმაოდ პრობლემატური გამიხდა თმა. რაც შეეხება სახის კანს — ვცდილობ, შევინარჩუნო ის, რაც ბუნებისგან მაქვს ბოძებული. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში რაიმე კოსმეტიკური ან პლასტიკური ოპერაცია დამჭირდება. ეს ალბათ დაახლოებით რვა წლის შემდეგ მოხდება.

— ვიცი, რომ ხშირად გეუბნებიან: ბუნებრივად სვეული თმა უფრო გისდებოდაო...

— სწორი თმა მაწყენარებს. როცა თმა გასწორებული მაქვს, ჩემი ნერვებიც „გასწორებულია“. ცუდია, რომ ჩვენი სტილისტები ცუდად ხმარობენ „ფენს“

და ფაქტობრივად, თმის ნამდვილი წვა ხდება. რა თქმა უნდა, ცოტა ჭადარაც გამოძერია, რასაც შეღებვა სჭირდება. ჩვენთან კი, იმ ხარისხის საღებავები არ არის, თმა რომ არ დაგწვას და, ცხადია, ამ ყველაფრის გამო, ჩემი თმის ხარისხი გაფუჭდა. ვიცი, რომ კარგი თმა მქონდა, მაგრამ აღარ მაქვს.

— ყველაზე ძვირი, რაც თმის დაზარალებაში გადაგინდია, რა თანხა იყო?

— ამერიკაში ყველაფერი ათმაგად ძვირი ღირს, ყველაზე იაფი ვარცხნილობა 25 დოლარი დამიჯდა, შეჭრა — 30 დოლარი, ხოლო ყველაზე ძვირი, რაც შეჭრაში გადამიხდია, 200 დოლარი იყო. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი სტილისტები რაღაც ახალს და განსაკუთრებულს გვთავაზობენ. სერიალში „ძილის წინ“ ყველას ერთნაირი, ნაძვისებური ვარცხნილობა გვაქვს, რაც ძალიან მაღიზიანებს. სულ ჟურნალებით ხელში დავდივარ და ვთხოვ ჩემს სტილისტს, განსხვავებულად დამვარცხნოს. მაგრამ ერთი ბედნიერი გამოსავალი ყოველთვის მაქვს: გადავიწევ თმას, უბრალოდ გადავივარცხნი და შევიკრავ — ასეთი ვარცხნილობა ძალიან მიხდება.

— რადიკალურად განსხვავებული სტილი შენთვის იშვიათობას არ წარმოადგენს. ეს შენი შინაგანი ბუნებიდან

მომდინარეობს?

— თბილისში იმდენი კარგი მაღაზია გაიხსნა, რომ შეიძლება კარგად ჩაცმა. ბედნიერია, ვისაც კერვა ეხერხება, რადგან ახლა ძვირფასი ნაჭრების კარგი არჩევანი გვაქვს. მიჭირს საკუთარი თავისთვის ტანსაცმლის შერჩევა, ამიტომ ბოლო დროს ჩემს მკერავთან შევიკერე რამდენიმე კაბა და კმაყოფილი დავრჩი. რაც შეეხება ფერებს — შავი ელევანტურია, იოლია მასთან სხვა ფერების შეხამება. „ღონა კარანის“ კოლექციაშიც კი სჭარბობს შავი ფერი, თუმცა, სულ „ჩაშავებაც“ ცუდია. მაგალითად, მე მინდა, სულ თეთრი მეცვას: ბუნებით ქამელეონი ვარ. სულ მინდა ვიცვლებოდე. ერთი სტილის ტანსაცმელში დიდხანს ვერ ვივლი. მიყვარს ცვალებადობა და მადლობა ღმერთს, რომ ამის საშუალებაც მაქვს.

— ფაქტია, რომ ქართველ ქალებს დიდად არ ეხერხებათ მაკიაჟის ხელოვნება და ეს თვალში საცემია. ამბობენ, შენ პოლივუდში ისწავლე მაკიაჟის კეთება. წარმატებისთვის კარგი ხარისხის პარფიუმერია გადამწყვეტი ფაქტორია?

— შეიძლება ბაზრობის პარფიუმერია ისე კარგად არ ჯდებადეს სახის კანზე, როგორც „შანელის“ ან „კრისტინ დიორისა“, მაგრამ მთავარია, ყოველდღიური მაკიაჟი არ იყოს ძალიან მკვეთრი. მე თვალების ქვემოთ, სიშავის ამოსავსებად ვისვამ თეთრ ფერს. სახეზე ტონალური კრემი მისვია. „რუმიანა“ ჩვენს ქალებს მიტყეპნილი აქვთ ტალახივით. მე ვისვამ დიდი ფუნჯით, ოდნავ, ჯერ ღაწვებზე, შემდეგ შუბლზე, ცხვირსა და ნიკაპზე. ქუთუთოებზე თეთრი ფერი ჩემთვის აუცილებელია, ცოტა ზემოთ კი — წითელი, ეს ახალგაზრდული სტილია. პომადა არ მიყვარს, მაგრამ კონტურს აუცილებლად ვისვამ. სუნამოებს რაც შეეხება, არ ვლალატობ „დოლჩე კაბანას“.

— კინოს ნოსტალგიის გამო დათანხმდი ჯენ-ეირის როლს სერიალში?

— არა, ამის გამო არა, უბრალოდ, მომეწონა. თანაც, კოკა ყანდიაშვილმა შემომთავაზა — მადლობა მას ამისთვის: ამ სერიალში მონაწილეობა სიამოვნებას მანიჭებს.

— ჩემი მშვენიერი ლედი“—ს



მსგავსი გადაცემები თითქმის ყველა ქვეყანაშია. როცა შენს პერსონაჟს პირველად ხვდები, რამდენად გენმარება საკუთარი ნატურა ანუ ბოლო მოდაზე ჩაცმის, მაკიაჟის ხელოვნების ცოდნა?

— ჩემი გემოვნებით ვხვდები, ჩემს გემოს რა სჭირდება და როგორი იქნება ის საუკეთესო ვარიანტში, მაგრამ არიან ჭირვეულებიც, რომლებიც არ თანხმდებიან თმის შეჭრასა და შეღებვაზე. ასეთებთან მუშაობა ცოტა რთულია, თუმცა ეფექტი მაინც დიდია.

— ტანსაცმლითაც თუ საჩუქრდება სოლმე შენი გმირი?

— მაღაზია იმ ტანსაცმელს ვერ ჩუქნის, რომელსაც აცმევს, სამაგიეროდ, უკეთესს საჩუქარს ასი დოლარის ფარგლებში.

— ასეთი ენერჯიული და თავდაჯერებული, ქართველ მამაკაცებს არ აშინებ სოლმე?

— მგონი, ძალიან ვაშინებ. ერთ მა-

მაკაცს კომპლიმენტი გაუუკეთე. ისე დაიბნა — უღრმესი მადლობაო, — და ყურმილი დამიკიდა...

— შეიძლება ისე გაფასებდეს კაცი, რომ მიუწვდომელი ეჩვენებოდე და ეს ქმნიდეს ბარიერს...

— რა თქმა უნდა. ჩემმა მეგობარმა მითხრა: „რატომ ვიკვირს, შეიძლება მას ვერც წარმოუდგენია რაღაც...“ მე მარტო ვარ, მეუღლე არ მყავს. იმდენად მივეჩვიე განმარტობით ცხოვრებას, რომ ძალიან დიდი ძალისხმევა დამჭირდება, ვიღაცას რომ შევევუო. მაგრამ თუ შემეყვარდა, მაშინ მზად ვარ, მარტოობას გამოვეთხოვო. ოღონდ, ამ ადამიანს იუშორის გრძნობა უნდა ჰქონდეს.

— შეუძლებელია შენნაირი ქალი მარტო იყოს...

— სხვათა შორის, ყველაზე რომანტიკული ქალები ყოველთვის მარტონი იყვნენ. გავისხენოთ ჰოლივუდი, გრეტა გარბო... მე რბილი ხასიათი მაქვს, მაგრამ ამავე დროს, აუტანელიც. ჭირვეული ვარ. მაგრამ შემიძლია გადავლახო ჩემი ხასიათის ნეგატიური შტრიხები და ძალიან კეთილშობილი და ალერსიანი გავხდე. რა თქმა უნდა, თუ პარტნიორი მაძლევს ამის საშუალებას.

— რის გამო კარგავ სოლმე პარტნიორს, შენი ხასიათის თავისებურებების გამო?

— არა, ალბათ ისეთი ნიუანსების აღმოჩენის გამო, რომელსაც ვერ ვეგუები. ან უბრალოდ, გადის დრო და ეს დრო მაცილებს მას.

— მამაკაცის რომელი თვისება გალიზიანებს ყველაზე მეტად?

— ტყუილი. ტყუილი მაცოფებს. საერთოდ, ვერ ვხვდები, რა საჭიროა ტყუილის თქმა. ქალს რომ შეუძლია ტყუილის თქმა, კაცი როგორ მოიფიქრებს ისეთს?! მაგრამ ურთიერთობაში ტყუილი არ არის საჭირო. თან, ჩვენს მამაკაცებს უამრავი შინაგანი კომპლექსი აქვთ. ქალი იძულებული ხდება, ითამაშოს კარგი ფსიქოთერაპევტის როლი, ეს კომპლექსები რომ მოუხსნას.

— კომპლექსში ალბათ უფულობას გულისხმობ.

როგორ გგონია — კაცი შეიძლება იყოს თავდაჯერებული იმის მიუხედავად, თუ რა თანხა უდევს ჯიბეში?

— რა თქმა უნდა. ასეა ამერიკაში, — უფულოც თავდაჯერებულია, — მაგრამ ასე არ არის ჩვენთან...

— ურთიერთობა კაცსა და ქალს შორის შეიძლება იყოს ძალიან უბრალო, ხანმოკლე და ემყარებოდეს ორმხრივ გრძნობას? თუ შენ ისეთ ურთიერთობებზეც მიდიხარ, რომელიც მხოლოდ სექსუალური კავშირით იწყება და მთავრდება?

— ასეთი ურთიერთობების მომხრე ამ ასაკში ნამდვილად აღარ ვარ. შეიძლება ვნებამ გავიტაცოს, მაგრამ ჩემთვის ურთიერთობა მაინც გრძნობაზე უნდა იყოს დამყარებული, რადგან რომანტიკული ბუნების ადამიანი ვარ.

— სომ არ გინანია, რომ გადაგიღეს ფილმში — „სიყვარული ვენახში“?

— არ მანებებთ თავს ჟურნალისტები „სიყვარული ვენახში“-ს გამო... ისევ თქვენ — ჟურნალისტებმა და სარეკლამო აგენტებმა გაბუქეთ ეს ამბავი, თორემ მე კარგად ვიცოდი, რას ვთამაშობდი: იქ ცუდი არაფერი ყოფილა.

— ჟურნალისტები გალიზიანებენ სოლმე თავიანთი შეკითხვებით? თუ არსებობს ისე-



თი კითხვა, რომელსაც არ პასუხობ?

— ჟურნალისტს შეუძლია მკითხოს, ჩემი საქმეა — გავცემ პასუხს თუ არა. ჯერჯერობით ისეთი შეკითხვა არ დაუსვამთ, რომელზეც პასუხის გაცემა შემაშინებდა.

— როგორია შეყვარებული ია ფარულავა?

— თავგზაბუნელი, ალელუბული, ალბათ, როგორც ყველა ქალი.

— როგორია ის კაცი, რომელიც შენში ასეთ ემოციებს იწვევს?

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეთი კაცი არ შემხვედრია.

— როგორია იმის შეგრძნება, რომ სასურველი ხარ?

— ძალას ვგრძნობ, სიძლიერეს. ცოტა საშიში შეგრძნებაც არის, რადგან შეიძლება ეს ადამიანი აკონტროლო და შენს ნებაზე ატრიალო. მაგრამ ასეთი შემთხვევა ცუდია, ფატალურია...

— თუ ყოფილა შემთხვევა, როცა თავს ვერ აკონტროლებდი კაცთან ურთიერთობისას?

— არა. ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. მიმდობი, ბავშვური, ლალი ვარ, მაგრამ შინაგანად, სიტუაციას ყოველთვის ვაკონტროლებ. რა თქმა უნდა, გარეგნულად ეს არც მეტყობა და არც ჩანს.

— როცა კაცისგან შენდამი მხოლოდ სექსუალურ ლტოლვას ხედავ, რას გრძნობ ამ დროს? როგორ მოქმედებ?

— ჩემთვის ეს ნორმალურია, მაგრამ თუ მე ასეთ ურთიერთობაზე წავალ, ბოლოს, ეს უნდა გადაიზარდოს სიყვარულში.

— თუ ყოფილა ან თუ არსებობს რეალურად, ისეთი კაცი, რომლის გამოც გული დაგწყვეტია, შენ გვერდით რომ არ არის?

— ვფიქრობ... რადგან ვფიქრობ, ე.ი. არ არის... ადამიანს ალვიქვამ მთლიანობაში და არა რომელიმე კონკრეტული ნიშან-თვისების გამო. შეიძლება ერთი რომელიმე თვისება მომწონდეს და ვინატრო, რომ იმ კაცს, რომელიც მომავალში ჩემ გვერდით იქნება, ეს თვისება ჰქონდეს.

— წარმოგიდგინოთ, რომ მეგობარ კაცს სცილდები. შეი-

ძლება ეს იყოს ქმარი, შეიძლება — უბრალოდ, საყვარელი მამაკაცი. რომელი შემთხვევაა უფრო მტკივნეული — როცა ოფიციალური ურთიერთობები ირღვევა, თუ როცა საყვარელ კაცს კარგავ?

— სტატისტიკა იყო ასეთი: რას განიცდიან განშორების პერიოდში ქმარი და ცოლი. კაცი განიცდიდა ემოციურად, ქალი — უფრო ფინანსურად. ჩემი აზრით, ნებისმიერი განშორება, მტკივნეულია. მიჭირს განშორება, რადგან სენტემენტალური ვარ, გრძნობები მიჩნდება და მერე ამ გრძნობებისგან გათავისუფლება მიძნელდება. მაგრამ შეიძლება, უფრო მეტად მივტიროდე რაღაც ერთ შემთხვევას, ვიდრე ქორწინების მთელ სამ წელიწადს.

— ია, ვიცი, რომ ორჯერ იყავი გათხოვილი. სულ რამდენი წელიწადი იყავი ოფიციალურ ქორწინებაში?

— მხოლოდ ოთხი წელი. ეს არც ისე ბევრია... მძიმეა განშორება, მძიმეა წასვლა, ბევრი მამაკაცია, რომელიც ამ პროცესის გამო, საერთოდ არ ქორწინდება. არც ის მომწონს, როცა ერთი ურთიერთობიდან პირდაპირ მეორეში გადახტებიან ხოლმე...

— ვინც მიდის შენი ცხოვრებიდან, ყველა ტოვებს თავის კვალს?

— ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც შენთან ინტიმური კავშირი ჰქონია, თავის კვალს ტოვებს... ახლა ამაზე გამოკვლევები ტარდება და მალე შესაძლებელი გახდება იმის დადგენა, თუ რამდენ ადამიანთან არის ესა თუ ის პიროვნება ნამყოფი ინტიმურ კავშირში...

— ია, თუ შეყვარს თავგადასავალი?

— მიყვარს სახიფათო თავგადასავლები, მინდოდა, ჩემს გადაცემაში გადამელო ქალი პანკისის ხეობიდან — ლტოლვილი, უბედური... მაგრამ მხარი არ დამიჭირეს: სახიფათოა, საშიშიაო...

— ია, შიშველი ნატურით გადაღებას თუ ერიდები?

— თუ ფორმაში ვარ, პრობლემა არ მაქვს: თუ ქალი ფორმაშია და კარგად გამოიყურება, ფეხიც უნდა გამოაჩინოს და სხეულის სხვა ნაწილებიც.

— ცნობილია, რომ გამო-



ჩეულად გიყვარს ლამაზი თერთეული, თავისუფლად ჩნდები ეკრანზე ბიუსტჰალტერით... ეს შენთვის სტიმულია, კარგი განწყობის შესაქმნელად?

— მიყვარს ცნობილი ფირმების თერთეული. მაგალითად, „ლა პერლა“, „სანტორი“. ძვირფასი თერთეული შინაგან სტიმულს მაძლევს კარგი განწყობისთვის: ის პირველ რიგში, შენ უნდა განიჭებდეს სიამოვნებას და სულაც არ მინდა იმისთვის, რომ ვინმეს მოვაწონო, დავანახვო...

— დაბოლოს — ჭორები...

— არა, ჭორები არ მაღიზიანებს, ჭორები ზრდის ჩემს პოპულარობას, რადგან სანამ ჭორები არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ია ფარულავა ინარჩუნებს პოპულარობას და დამიჯერეთ, ია ფარულავა ყოველთვის იქნება პოპულარული!..

ყუჩადღება!

თხილისელთათვის

ჟურნალ „გზის“ გამოწვევის მსურველებს გთხოვთ, შეავსოთ ეს ქვითარი და გამოგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით, ან დარეკეთ 33-26-73

მსურს გამოვიწერო

ჟურნალი „გზა“

თქვენი მისამართი, ტელეფონი

სახელი, გვარი



რუსებმა კავკასიური ნაგაზის სამშარტოებს

იცით, საქართველოში რამდენი ძაღლია აღრიცხვაზე აყვანილი? — 40000! აქედან კავკასიური ნაგაზი მხოლოდ 500-ია. კინოლოგიის საერთაშორისო ფედერაციაში, სადაც მსოფლიოს 90 ქვეყანაა გაერთიანებული, ამიერკავკასიიდან მხოლოდ საქართველო განეწვრდა. ჩვენზე ერთი წლით ადრე, 1996 წელს, ამ ორგანიზაციაში განეწვრდა რუსეთი და ქართული კავკასიური ნაგაზიც, როგორც ჯიში, მან მისაკუთრა. რუსებმა ასევე მიითვისეს შუააზიური ნაგაზი და ერთ-ერთი უნიკალური უკრაინული ჯიში. ამრიგად, მსოფლიო კინოლოგიაში კავკასიური ნაგაზი დაფიქსირდა, როგორც რუსული წარმომავლობის სახეობა. რას აკეთებენ ქართველი კინოლოგები კავკასიური ნაგაზის „დასაბრუნებლად“? არის თუ არა საკმარისი ამ ჯიშის პოპულარიზაციისათვის ის, რომ თითქმის ყოველი ჩინოსნის აგარაკს რამდენიმე თუ არა, ერთი კავკასიური ნაგაზი მიიწვება?

ნანა ქიბიშაური

წმინდა სისხლის ლეკვის ფასი, 50 ლარიდან 300 დოლარამდე მერყეობს. ფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები, „ბებია“ და „ბაბუა“ და შორეული წინაპრებიც კი. ზრდასრული ძაღლის ღირებულებაც მისი სისხლის კეთილშობილებაზეა დამოკიდებული. ცნობილია, რომ 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონის პატრონმა, რომელსაც 6 თვით სთხოვეს ძაღლი, სანაცვლოდ კი 65.000 დოლარი შესთავაზეს, — გარიგებაზე უარი თქვა. ასტრახანში არის ულამაზესი კავკასიური ნაგაზი — აბრეკა, რომელშიც მის პატრონს, ივანოვს 25.000 დოლარი შესთავაზეს. Я друзей не продаю! — განაცხადა ივანოვმა და საქართველოდან ჩასული სტუმარი უადგილობის გამო, იატაკზე დააწვინა. ეს ქართველი სტუმარი კინოლოგი ვია გიორგაძე იყო, რომელიც იმდენად აღფრთოვანდა აბრეკას სილამაზით და მისი პატრონის ერთგულებით, რომ ის იატაკი ბუმბულის ქვეშაგებელზე უფრო რბილი და თბილი მოეჩვენა...

გიორგაძის განცხადებით, საქართველოში, კავკასიური ნაგაზის ყველაზე დიდი მოყვარული და ერთგული მეპა-

ტრონე, ასლან აბაშიძეა: მას 14 ძაღლი ჰყავს. აქედან ერთი — ბასმაჩი, ასლან ბაბუს „ლიუბიმიკად“ წოდებული, 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონია. საქართველოს პრეზიდენტს ორი ნაგაზი იცავდა — ბათურა და ბომბორა. ასლა ბომბორა ცოცხალი აღარ არის. ზურაბ ჟვანიამ თავისი საუკეთესო ნაგაზი, საუკეთესო „დაცვის ბიჭს“ აჩუქა. ძაღლების მოვლა არ ესწავლებათ კახა თარგამაძესა და კახა ბაკურაძეს — მათი ნაგაზები საუკეთესო ფორმაში არიან.

უკვე გადაწყდა, რომ 28 ოქტომბერს თბილისში საერთაშორისო გამოფენა მოეწყობა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აჭარიდან 24 ძაღლს ჩამოიყვანენ, სოჭიდან — 11-ს, მოსკოვიდან — 20-ს. საინტერესოა, გამოიყვანენ თუ არა თავიანთ „ლიუბიმიკებს“ ჩვენი ჩინოსნები? და თუ გამოიყვანენ — ვისი აჯობებს?! ამ კითხვაზე პროვნოზის ბათურა და ბომბორა

გაკეთება კავკასიური ნაგაზის მოყვარულთა კლუბის „ბომბორას“ თავმჯდომარეს, **ვია გიორგაძესაც** გაუჭირდა.

— პროვნოზის გაკეთება ძნელია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვიდან საუკეთესო ძაღლებს ჩამოიყვანენ და მათთვის ტიტულების მოსაპოვებლად უკან არაფერზე დაიხვეწენ.

— როგორც ვიცი, ჩვენთან ყველაზე ტიტულოვანი ძაღლი, სიმბაა.

— გეთანხმებით. ყველაზე ტიტულოვანი არის, მაგრამ ჩემი, როგორც ექსპერტის აზრით, დღეს საქართველოში საუკეთესო კავკასიურ ნაგაზად ლეგა მიმაჩნია.

— ეს თქვენი ძაღლი ხომ არ არის?

— არა. სამწუხაროდ, მე ძაღლი არ მყავს. კავკასიურ ნაგაზს ფართობი სჭირდება, ჩემს ერთოთახიან ბინაში კი, მეც ძლივს ვებტევი.

— კინოლოგიით როგორ დაინტერესდით?

— შემთხვევით მოვხვდი „ამ გაუგებრობაში“. პროფესიით ინჟინერი ვარ, პოლიტექნიკური ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. 1989 წლამდე ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოში ვმუშაობდი. მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით, ქარხნებში გამონტაჟებდით როულ საინჟინრო კონსტრუქციებს. მაგალითად, ისეთ მაცივრებს, შიგ ტრალიერები რომ ეტეოდა. მერე დრო შეიცვალა, ჩვენი სამსახურიც დაიშალა. ერთ დღეს ნავთლულის ბაზრობაზე გავიარე და ზოხბები ვნახე. ძალიან კარგები იყვნენ. ვიყიდე დედალ-მამალი და მერე დავიწყე ფიქრი იმაზე, სად წაემყვანა. ასე მივედი ზოლოპარკში და გავიცანი მისი მაშინდელი ღირექტორი, რომელიც თურმე ახალი ვოლიერების აშენებას აპირებდა და, როგორც მითხრა, ზუსტად ჩემნაირ კაცს ეძებდა. ზოლოპარკში 17 ვოლიერი ავაშენე



და ამ ვოლიერებში მივიყვანე პირველად წმინდა სისხლის კავკასიური ნაგაზი. ამის შემდეგ, მე ამ სახეობის გარდა, აღარაფერი მაინტერესებდა. მივიღე კინოლოგის სერტიფიკატი, შევქმენი კავკასიური ნაგაზის მოყვარულთა კლუბი, დავიწყე გამოფენების მოწყობა და ჩვენთან არსებული, თითოეული ნაგაზის აღრიცხვა, მათი გენეალოგიური შტოების დაფიქსირება და ასე შემდეგ...

— რამდენიმე წელია, რაც თქვენც საერთაშორისო ფედერაციის წევრი ხართ და რუს კინოლოგებთან თანაბარი უფლებებით სარგებლობთ. რატომ არ აკეთებთ განცხადებას, რომ კავკასიური ნაგაზი რუსული წარმოშობის ჯიში არ არის?

— რუსებს მესაკუთრული ინტერესები ძალღებზე კი არა, ჩვენს ტერიტორიებზეც ვერ დავთმობინეთ. ესეც არ იყოს, მათ იმხელა ამაგი აქვთ ამ ჯიშზე, რომ შეიძლება აფხაზეთი უფრო აღვილად დავვითმონ, ვიდრე კავკასიური ნაგაზი. რუსეთში ამ სახეობის 54.000 ერთეულია აღრიცხული. ჩვენთან კი — 500. ჩემი აზრით, აღურიცხავი 1600-მდე ეგზემპლარია, მაგრამ მათ მეპატრონეებს, ქართული დაუდევრობის გამო, არ აინტერესებთ ძაღლის რეგისტრირება. არადა, ამ „ბრძოლის“ მოსაგებად, ეს ძალზედ მნიშვნელოვანია. ჩვენ არ ვუფრთხილდებით იმას, რაც გვაქვს. კავკასიური ნაგაზის გარდა, გვყავდა კიდევ ერთი ენდემური სახეობა, სუფთა ქართული წარმოშობის ჯიში — ჩაქრა, ანუ ქართული მყეფარა. ეს კვერნის ძაღლია, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული და ისე გადაშენდა, რომ ერთ ნიმუშს კი არა, სურათსაც ვერსად მივაკვლიეთ. ოდითგანვე იყო ცნობილი აგრეთვე ჯიში „კოლხური ფუტკარი“, რომელსაც პატრონი არ ჰყავს და „კავკასიურ ფუტკრად“ მოიხსენიებენ. სწორედ ისეა ჩვენი საქმე — უპატრონო ეკლესიას ეშმაკები რომ ეპატრონებან. ბოლოს და ბოლოს, უნდა ვისწავლოთ ყველაფერი ქართულის მოვლა... კავკასიური ნაგაზი საქართველოსთვის საბოლოოდ დაკარგულად არ მიმაჩნია, მაგრამ იმისათვის, რომ ის თავის ფესვებს დავუბრუნოთ, ისეთივე დიპლომატიასა საჭირო, როგორც პოლიტიკაში. ამას სჭირდება დრო და ჩვენთან ამ სახეობის გავრცელება. 12-13 წლის წინ, თბილისშიც კი არ იცოდნენ, რა იყო კავკასიური ნაგაზი. 5-6 წელია, რაც ხალხმა გაიგო,

რა ჯიშთან გვაქვს საქმე. XX საუკუნის დასაწყისში პირდაპირ იალალებიდან, მასობრივად მოხდა ამ სახეობის გაყვანა საქართველოდან რუსეთში. კავკასიური ნაგაზი 40 გრადუსიან ყინვასაც თავისუფლად უძლებს. აი, ამ თვისების გამო მოხვდნენ ისინი ციმბირში, სადაც რუსებმა ზონების საყარაულოდ გაამწესეს. მას შემდეგ ჩვენთან ყურებწაჭრილი „ღვარნიაშკები“ ეგონათ კავკასიური ნაგაზები. სინამდვილეში, ისინი ციმბირში იყვნენ, სადაც ომის შემდეგ მათგან ახალი სახეობა შექმნეს — მოსკოვური საყარაულო ძაღლი. ეს არის კავკასიური ნაგაზისა და სენბერნარისაგან შექმნილი სახეობა. ამ ექსპერიმენტს შესწირეს კავკასიური ნაგაზის საუკეთესო ეგზემპლარები. დღეს შექმნილი მდგომარეობიდან, ერთადერთი გამოსავალია: ქართველებმა უნდა შევიცვალოთ დამოკიდებულება ძაღლების მიმართ. ვიცხოვროთ კინოლოგიურად, რაც იმას ნიშნავს, რომ ისევე მოვაშენოთ და მოვუაროთ ქართულ კავკასიურ ნაგაზს, როგორც ამას რუსები აკეთებენ. გამოფენებზე ჩამოყვანილი მათი ძაღლები ბრწყინვალედ გამოიყურებიან — დავარცხნილები, გაპუდრულები, თავიანთი მაგიდებით, ინვენტარით და ძვირფასი ყელსაბამებით. ჩვენი ძაღლები კი ხშირად მოუხსნიათ გამოფენიდან ჟანგინი საყელურის ან ჩხუბის შემდეგ დარჩენილი ნაიარევის გამო.

— ძალიან მიჭირს წარმოვიდგინო გაპუდრული და გაკეკლუცებული კავკასიური ნაგაზი, რომლის „ბაბუაც“ და „ბაბუის ბაბუაც“ იალალებზე მგლისგან იცავდა ცხვარს.

— ძაღლების გამოფენა იგივეა, რაც ქალებში სილამაზის კონკურსი, სადაც არც ერთი ქალი არ გამოცხადდება დაკემსილი კაბით და ნაიარევი ცხვირ-პირით. ძაღლიც უნდა ჯდებოდეს იმ სტანდარტებში, რაც კონკურსში მონაწილეს მოეთხოვება, ამით ჩანს პატრონის დამოკიდებულება მის მიმართ. გამოფენა სილამაზის კონკურსია, სადაც ყურადღება მხოლოდ გარეგნულ მონაცემებზეა გამახვილებული. რაც შეეხება ხასიათს, კავკასიური ნაგაზი არასოდეს „გაპუდერასტდება“ — ღმერთმა დავვიფაროს. მის ბუნებაში არ ზის დივანზე წოლა და ერთი ადგილის „აბზეგა“. ის იმდენად რაინდული, ვაჟკაციური და მკაცრია, რომ უბრალოდ ვერ აკადრებ იმას, რაც არ ეკადრება. რა მისი ბრალია, რომ მის პატრონს არ ჰყავს ცხვარი?! შეიძლება ნახევარ სიცოცხლეს ურჩევნია ერთხელ



გია გიორგაძე

იალალზე განაგარდება და მეგლთან შებმა, მაგრამ თბილისში ცხოვრობს, ერთ ან ოროთახიან ბინაში, მთელი დღეების განმავლობაში წვეს და დარდობს...

— ერთხელ ყაზბეგში შევესწარი, როგორ აჩხუბებდნენ კავკასიურ ნაგაზებს. იქაურების თქმით, ასეთი ბრძოლების სანახავად და ფულის დასადებად, თბილისიდან სპეციალურად ჩადის თურმე „რიგი ამხანაგებისა“...

— ჩემი აზრით, ეს დაუშვებელია: ასეთი ბრძოლები ეკოლოგიურმა პოლიციამ უნდა აკრძალოს, რადგან ძაღლებს ნაძალადევად აჩხუბებენ, ეს კი ცხოველების უფლებების შელახვაა: ძაღლმა თვითონ იცის, როდის უნდა იჩხუბოს...

— თქვენ თუ დასწრებისართ ასეთ ბრძოლას?

— არასოდეს.

— ეი. თქვენ არ მოგწონთ ის, რაც არასოდეს გინახავთ?

— არც დავესწრები ასეთ ბრძოლას — სწორედ იმიტომ, რომ ვიცი, ეს რაც არის. ასეთი იძულებითი ბრძოლების დროს ძაღლი აუცილებლად დასახინრდება. როგორც წესი, ასეთი ძაღლები, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, კონკურსზე აღარ დაიშვებიან. მერე ბევრი მეპატრონე ცდილობს, რომ კომისიას და მსაჯებს დაუმტკიცოს — ეს ტრავმები ჩხუბის დროს არ არის მიღებული, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ვერ ამტკიცებს. რამდენადაც ვიცი, საქართველოში



ძაღლების ჩხუბზე დიდ ფულს არავეინდებს. აქ მხოლოდ ე.წ. „პრესტიჟისთვის“ ჩხუბობენ. სხვა საქმეა, რუსეთი და შუა აზია: იქ კავკასიურ ნაგაზებს იშვიათად აჩხუბებენ. ისინი თვითონ ინაწილებენ ტერიტორიებს და ყოველმა მათგანმა იცის თავისი საზღვარი – სადამდე უნდა მისდის ადამიანსა თუ მტაცებელს. ჩხუბის დროს ის საოცარ კეთილშობილებას ავლენს. ის არ არის ღობერმანივით სისხლისმსმელი, რომელიც მოწინააღმდეგეს მანამდე არ ეშვება, სანამ არ მოკლავს ან თვითონ არ მოკვდება. კავკასიური ნაგაზი, როდესაც იგრძნობს, რომ მოწინააღმდეგეს მოერია, დგება და ჩხუბს წყვეტს. სწორედ, მისი ეს კეთილშობილება ვერ დააფასეს და ძალიან ცუდი რამ აკადრეს, კერძოდ – ვაი-მეცნიერებმა რუსულ მწვევართან შეაჯვარეს. რუსულ მწვევარს არ აქვს ტერიტორიის შეგრძნება. ის მსხვერპლს მისდევს მანამ, სანამ არ დაიკარგება. ამიტომ იფიქრეს, რომ თუ კავკასიური ნაგაზის ძალას, რუსული მწვევრის დევნის სტიმული დაემატებოდა, მიიღებდნენ ნაგაზს, რომელიც მგელს ქვეყნის დასალიერამდე გაეკიდებოდა. ეს ექსპერიმენტი კრახით დამთავრდა.

— თქვენ ძაღლების იძულებითი ჩხუბი ცხოველების უფლებების დარღვევად მიგაჩნიათ, არადა, მათ ყურებსა და კუდს აჭრით. ეს არ არის მათი უფლების დარღვევა?

— სტანდარტების მიხედვით, ეს გამართლებულია: ვერ წარმომიდგენია ყურებიანი ნაგაზი ან კუდიანი როტვეილერი.

— კი, მაგრამ მათ ყურებსა და კუდს ყოველგვარი ნებართვის გარეშე აჭრით, მათი სურვილის სანინააღმდეგოდ, იძულებით... სოფლებში გავრცელებულია აზრი, რომ

ძაღლს ყურები იმიტომ უნდა დააჭრა, რომ გაავდეს.

— ეს არ არის სწორი – უბრალოდ, კავკასიურ ნაგაზს დიდი ყურები ეზრდება. ჩხუბის დროს მას ყურით იჭერდა დათვი და მგელი, მერე ეს დაფლეთილი ყური ხშირად უმიზეზდებოდა, უჩირქდებოდა. აი, ამიტომ აჭრიან. მე თუ მკითხავთ, ამირანს რომ ყურმა ჰყავდა, სწორედ კავკასიური ნაგაზი იყო. რაც შეეხება ღობერმანისა და როტვეილერის კუდებს – ბოლოში ძალიან ფაქიზია: ამ ძაღლებს კუდზე ბეწვი არ აქვთ და ხახუნის შედეგად, ადვილად ეყვლიფებათ. ისე, ინგლისში კარგა ხანია აკრძალეს კუპირება. მოსალოდნელია, რომ მალე რუსეთშიც აიკრძალება. ასე თუ ვიმსჯელებთ, ზოოპარკიც არის ცხოველების უფლების დარღვევა. აკრძალოთ?

— ახლა კი თემას ოდნავ გადაუხვით. მთელი ჩემი ბავშვობა „შავყურა თეთრი ბიმის“ გამოვტიროდი ხოლმე. მაინტერესებს, მანანწალა ძაღლების პრობლემა როგორ უნდა გადაიჭრას ცივილი-

ზებული ფორმით?

— არა ისე, როგორც ჩვენში დამკვიდრდა. ამას წინათ ერთმა ჩემმა მეზობელმა დაიტრაბახა, რომ თოფით 800 ძალის ჰყავს მოკლული. ცივილიზებულ ქვეყნებში მაწანწალა ძაღლებს კი არ ხოცავენ – ცრიან, რომ ვეღარ გამრავლდნენ. ალბათ ჩვენში ტყვია უფრო იაფია, ვიდრე ვაქცინა.

— **ხშირად ამბობენ, ცხოველები თავიანთ პატრონებს ემსგავსებიანო...**

— ადამიანს თუ ემსგავსება ცხოველი, ეს ცუდი არ უნდა იყოს, მაგრამ ადამიანი ცხოველს რომ ემსგავსება – ასეთი ბევრი მინახავს: ადამიანი – თხა, ადამიანი – მაიმუნი, ადამიანი – ღორი, ადამიანი – მგელი... ბევრი ისეთი ძაღლიც მინახავს, თავის პატრონზე უკეთესი რომ არის...

— **იმაზე რას იტყვით, ეს კონკურსები პატრონებს შორის კონკურსს რომ ემსგავსება?**

— ვერ დაგეთანხმებით. მაყურებელი უკვე ისე კარგად ერკვევა ძაღლის ავკარგში, რომ მიკერძობას ადვილი არ უნდა ჰქონდეს. თვალზე ხელს ვერავის ააფარებ. ყოველი გამოფენა არის შოუ, სანახაობა, სადაც ყველაფერი ხელისუფლებზე ჩანს.

— **თქვენი აზრით, რომელი ძაღლი დაიმსახურებს ამ გამოფენაზე ყველაზე ხმამაღალ აპლოდისმენტებს?**

— მე არ ვიცი, როგორ ძაღლებს ჩამოიყვანენ საქართველოს ფარგლებს გარედან, მაგრამ კიდევ ვიბეჭდებ – საქართველოში ყველაზე მაგარი ძაღლი არის ლეკა!



ელისო გურბენიკა

— საქართველოში ყოველ წელს ჩამოვდივარ. რასაკვირველია, მინდა აქ უფრო ხშირად ჩამოვდიოდე და დიდი ხნით ვრჩებოდე, მაგრამ ისეთი ცხოვრება მაქვს, შინაურებიც იშვიათად მხედავენ.

— თქვენი მშობლები ისევ საქართველოში ცხოვრობენ?

— დედ-მამა გაზაფხულსა და ზაფხულს ბათუმში ატარებს, ზამთრობით კი ჩემთან მოსკოვში ჩამოდის ხოლმე. ბუნებრივია, ასაკის გამო, საკმაოდ უჭირთ, ყოველ წელს, ერთი ქვეყნიდან მეორეში ჩასვლა. ამიტომ მინდა, თბილისში დიდი სახლი ვიყიდო, სახლი, სადაც ჩემი მშობლებიც იცხოვრებენ და ჩვენც ხშირად ჩამოვალთ ხოლმე. მართალია, ამ სასტუმროში ხშირად ვჩერდები და თავს კარგად და კომფორტულად ვგრძნობ, მაგრამ მინდა გვექონდეს სახლი, სადაც ოჯახის წევრები ყველანი ერთად შევიკრიბებით.

— ვალერი, ქართულად არ საუბრობთ?

— ქართული, რასაკვირველია, მესმის, მაგრამ მეშინია, საუბრისას, რაიმე არასწორად არ ვთქვა. მშობლიურ ენაზე მაშინ ვლაპარაკობ, როცა ცოტას დავლევ ან ახლობლების ვიწრო წრეში ვარ.

— რუსულ პრესაში წერენ, რომ იმიჯი შეიცვალეთ. ეს თქვენს სიმღერებსაც ეხება და გარეგნობასაც.

— ჩემს ასაკში ცოტა სასაცილო იქნებოდა, ისევ ყმაწვილობის დროინდელ სიყვარულზე რომ მეძღვრა. ადრე ჩემი სიმღერები ძალიან ამაღლებული იყო. მაგრამ ცხოვრება სულ უფრო უხეში ხდება. მეც მომემატა წლები. 34 წლის ასაკში ბევრი რამის რწმენა შეიძლება დაკარგოთ თურმე. ნაკლებად უნდა გვეუბრებოდეს ერთგულების და მეგობრობის...

— ეს იმას ნიშნავს, რომ „უკანასკნელ რომანტიკოსს“ უნდა დავემშვიდობოთ?

— არავითარ შემთხვევაში. ისევ მჯერა, რომ შეყვარებული მამაკაცი ბევრ გმირობას სჩადის. ადამიანი კი, ყველა ასაკში შეიძლება, შეყვარებული იყოს. მაგრამ როცა წლები გემატება, უპირატესობას ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტას ანიჭებ და სიყვარული უკანა პლანზე გადადის.

— მეგობრობისა და ერთგულების რწმენა დამეკარგაო, ბრძანეთ. მიზეზი?

— 18 წლამდე საქართველოში ვცხოვრობდი და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელო-

ვერ გეტყვით, იმ საღამოს ვინ უფრო ბედნიერი იყო — „ლაგუნა ვერეს“ სცენაზე მდგომი ვალერი მელაძე თუ მისი მსმენელი. სცენას და ტრობუნებს წყლით სავსე აუზი ყოფდა, მაგრამ თავყვანისმცემელთა ხმა და შეძახილები მომღერლამდე მაინც აღწევდა. „ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ უმღერიათ ასე ხმაბალა ჩემთან ერთად. მინდა შევსვა ამ ცის სადღეგრძელო, რომლის ქვეშაც ახლა ჩვენ ვართ. აგვხდენოდეს ყველას ჩვენ-ჩვენი ოცნება. დღეს ეს წყალი გვეყოფს, მაგრამ მაინც ერთი ვართ. ჩვენს სამშობლოს — საქართველოს გაუმარჯოს!“ — ვალერი მელაძემ სადღეგრძელო შესვა და სასმისი სცენაზე დადგა. გაისმა „ყვავილების ქვეყანა“. შემოდგომის თბილისური თბილი საღამო, ღია სცენა და ახალამოსული სავსე მთვარე...

მომღერალს კონცერტის წინა დღეს, სასტუმრო „სიმპათიის“ ფოიეში შევხვდი. მიუხედავად იმისა, რომ ნამგზავრი და ძალზედ დაღლილი ჩანდა, ინტერვიუზე უმაღლეს დამთანხმდა.



„ukanaskneli romantikosi“ თბილისში სახლის შემწვანს აზიზებს

ვანი, ვაჟკაცობა და ღირსება იყო. სტუდენტობის წლები უკრაინაში გავატარე. ვერ გეტყვით, ჩემი პრინციპების გამო, იმ პერიოდში პრობლემები მექმნებოდა-მეთქი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მომღერალი გავხდი და შოუბიზნესის სამყაროში აღმოვჩნდი, ბევრჯერ მიღალატეს ადამიანებმა, რომლებსაც მეგობრებს ვეძახდი. თუმცა იმედების გაცრუების ხანამ უკვე გაიარა. იმ პერიოდს, შუა ასაკის კრიზისს დავარქმევდი. ახლა ყველაფერი ისევ თავთავის ადგილას დადგა: ისევ მიყვარს სიცოცხლე და გარშემომყოფი ადამიანები. ეტყობა, არ შეიძლება, ადამიანი მკვეთრად შეიცვალოს.

— რატომ შეგარქვეს „უკანასკნელი რომანტიკოსი“?

— ასე ერქვა ჩვენს ალბომს, შემდეგ ეს სახელი ჩემზეც გადმოვიდა. ალბათ იმიტომ, რომ იმ პერიოდში რუსულ ესტრადაზე ცოტა ვინმე თუ მღეროდა რომანტიკულ სიმღერებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ვალერი მელაძემ მშობლებისგან ისწავლა და საქართველოდან გამოჰყვა, სიცოცხლის სიყვარულია. დედ-მამა ყოველთვის უჩვენებდა იმის მაგალითს, რომ ცხოვრე-

ბის ყველაზე მძიმე წუთებშიც არ უნდა დაეკარგა იმედი და სიცოცხლის წყურვილი, ყოველთვის ჰქონოდა თუნდაც სულ მცირედი სიხარულის, ბედნიერების შეგრძნების უნარი. პატარა ვალერი კოსმონავტობაზე ოცნებობდა და ხშირად ავებდა საფრენ აპარატებს. ბავშვობაში ჩხენიშის (დელის სოფელი) მინდვრებში დარბოდა და მდინარე ცხენისწყლის ტალღებში ბანაობდა თანატოლებთან ერთად. ერთხელ მინდორში გაფუჭებული ტრაქტორი იპოვა. ტრაქტორს ნაწილები მოხსნა და წაიღო: აინტერესებდა, როგორ იყო მოწყობილი მანქანა. ამის შედეგად, 5 წლის ვალერიმ მილიციაში ამოყო თავი. „უკვე მილიციაში მოხვდა და რომ გაიზრდება, მერე რას იზამს?!“ — იფიქრეს შეწუხებულმა მშობლებმა...

მართალია, ვალერი კოსმოსში ვერ გაფრინდა, მაგრამ თვითონ იქცა ვარსკვლავად. მანამდე კი, ბათუმის რუსულენოვან მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა, ქლაქ ნიკოლაევში გემთმშენებლობის ინსტიტუტში ჩააბარა. იქ მისი უფროსი ძმა — კონსტანტინე სწავლობდა. თავისი მომავალი მეუღლეც ნიკოლაევში გაიცნო: ირინას ჯერ კიდევ ინსტიტუტში

დადგა თვალი. შემდეგ დისკოთეკაზე ნახა და საცეკვაოდ გაიწვია. ოღონდ, გაცნობისთანავე ჰკითხა: „მოგწონთ ქართველები?“ „მთავარია, ადამიანი იყოს კარგი“ – უპასუხა მაშინ ირინამ.

— დღეს რას ფიქრობს თქვენი მეუღლე ქართველებზე?

— ირინას ქართველები ჩემს გაცნობამდეც მოსწონდა და ახლაც მოსწონს. ოღონდ, სანამ ქართველის ცოლი გახდებოდა, ჩვენზე უფრო ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა. დღეს ჩემი ცოლი ქართულ კულტურას და ისტორიას სწავლობს. ჩემთან ერთად ჩამოდის საქართველოში, რომ უკეთ გაიცნოს ჩემი სამშობლო.

— თქვენი ქალიშვილები თუ სწავლობენ ქართულს?

— ინგა (10 წლის, სოფია – 2 წლის არის – ავტ.) სწავლობს. წელს ბებიასთანაც იყო ჩამოსული და უფრო „გაიტენა“ ენა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ქართულად თავისუფლად ლაპარაკობს.

— ირინასთვის თუა იოლი ქართველის ცოლობა?

— ისეთი ქართველის ცოლობა, როგორც მე ვარ, არც ისე ძნელია (იცინის).

— საკუთარ თავს კომპლიმენტს უკეთებთ?

— (იცინის) ქართველები ძალიან ემოციური ხალხი ვართ. როგორც დადებით, ასევე უარყოფით ემოციებს მაქსიმალურად ვავლენთ ცოლებთან. მე ხშირ-

ად ვლიზიანდები და ამას სახლშიც გამოვხატავ ხოლმე. ასე რომ, შეიძლება ჩემს ხასიათთან შეგუება არც ისეთი იოლი იყოს მისთვის, როგორც ვფიქრობ. მაგრამ ირინა ყოველთვის სწვდება ჩემი ქცევის საფუძველს და, რაც მთავარია, მას არასოდეს ეპარება ეჭვი, რომ ნებისმიერ სიტუაციაში კაცურად მოვიქცევი. ყოველთვის ვიცი, რომ პასუხისმგებელი ვარ ჩემი მეუღლისა და შვილების წინაშე. ასე გამზარდეს მშობლებმა და ამის მაგალითებს ყოველთვის ვხედავდი საქართველოში.

— კარიერის დასაწყისში, როცა უკრაინიდან მოსკოვში გადმოსვდით, პროდიუსერი გირჩევდათ, გვარი შეგეცვალათ და თავი უცხოელ მამაკაცად წარმოგედგინათ. გვარი რომ არ შეიცვალეთ, ვიცით, მაგრამ მეორე რჩევა თუ მიიღეთ?

— რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. მაშინ პროდიუსერს ვკითხე – თუ მოდაში შემოვა, კაცის ნაცვლად, ქალმა იმდეროს სცენაზე, ამ ცვლილებაზეც უნდა დაეთანხმდე-მეთქი? ჩემი მეუღლეც და შვილიც თავიდანვე გადმოვიყვანე ჩემთან მოსკოვში.

ნიკოლაევში, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ვალერიმ ასპირანტურაში ჩააბარა. ახალი დაქორწინებული იყო და საერთო საცხოვრებელში ცალკე ოთახი გამოუყვეს. მალე ცოლ-ქმარს შვილი შეეძინა. ოჯახი საკმაოდ ვიწროდ გრძნობდა თავს. ვალერიის დისერტაცია უკვე მზად ჰქონდა, მაგრამ მიხვდა, რომ მეცნიერებით ოჯახს ვერ არჩნდა (თუმცა, დისერტაცია, მოგვიანებით მაინც დაიცვა). გამოსავალი, საბოლოოდ, სიმღერა აღმოჩნდა: ინსტიტუტში ვალერი მელაძე სტუდენტურ კლუბში თავიდან კლავიშებიან ინსტრუმენტზე უკრავდა, სიმღერა კი მეორე კურსიდან დაიწყო. თანდათან მისი ძმის – კონსტანტინეს ლექსებზე დაწერილი სიმღერები, რომლებსაც ვალერი ასრულებდა, ნიკოლაევის სტუდენტურ

ვალერი ცოლთან – ირინასთან და, დასთან – ლიანასთან ერთად



წრეებში ყველაზე პოპულარული გახდა. ფართო მსმენელმა უკრაინაში, ძმები ჰიტ-პარადის წყალობით გაიცნო: ყველასათვის უცნობმა ქართველმა მომღერალმა ძმის ლექსზე – *Не тревожь мне душу, скрипка!* შექმნილი სიმღერა შეასრულა და პირველი ადგილიც მოიპოვა. მალე მელაძეებს უკრაინის სცენა ევიწროვათ და მოსკოვს მიაშურეს.

— არ გაგიჭირდათ რუსულ შოუბიზნესში გზის გაკვლევა?

— მოსკოვში რომ ჩავდივით, ჩვენი სიმღერები უკვე გვექონდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო – ფინანსები გვეჭირდებოდა, მე და კონსტანტინემ ფული ვისესხეთ. რასაკვირველია, თავიდან გაგვიჭირდა... ყველაზე მეტად, ის მიჭირდა, რომ არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი იმ სამყაროში, რომელსაც შოუბიზნესი ჰქვია. არასოდეს დამიმაღლავს, რომ პროვინციული ქალაქიდან ვარ და ვცხოვრობ ისე, როგორც ვცხოვრობ: არ მინდოდა, თავი დამეკარგა. მადლობა ღმერთს, რომ საკუთარი სახის შენარჩუნება შევძელი.

— ახლახან თქვენს პროდიუსერს დაშორებიხართ. რა იყო ამის მიზეზი?

— დღეს რუსულ ესტრადაზე პროდიუსერი „ქმნის“ მუსიკოსს: ყიდულობს სიმღერას, შემდეგ შემსრულებელს და მოცეკვავეებს ქირაობს. ასეთ შემთხვევაში, მომღერალი ყველაფერზე თანახმაა და იმას აკეთებს, რასაც ეუბნებიან. მე და ჩემი ძმა კი ერთად ვქმნით სიმღერებს და რასაც ვაკეთებთ, გულთ ვაკეთებთ. იშვიათად ვუგდებთ ყურს ადამიანებს, რომლებიც გვირჩევენ, რუსულ ესტრადაში დამკვიდრებული, მოდის შესაბამისად ვიმოქმედოთ. ბუნებრივია, პროდიუსერებს



უჭირთ ჩვენთან მუშაობა. მე და ჩემი პროდიუსერი ერთმანეთს ნორმალურად დაგშორდით. ბოლო კაპიკამდე გადავუხადე, რაც კონტრაქტის მიხედვით ეკუთვნოდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა რუსულ შოუბიზნესში.

— ძმასთან თუ გაქვთ გაფორმებული კონტრაქტი?

— არა. სხვათა შორის, ეს ბევრს უკვირს რუსეთში. ერთადერთი პრობლემა, რაც ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით იჩენს ხოლმე თავს, ის არის, რომ ერთმანეთისთვის, ორივეს უფრო მეტი გვემეტება...

— ვალერი, ხშირად გითქვამთ, რომ თქვენთვის სულიერ მხარეს, სულიერ კომფორტს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მატერიალურს. იმავდროულად, გიყვარს ლამაზი ცხოვრება და ფულის ხარჯვა. როგორ ახერხებთ „ორი ბატონის“ სამსახურს?

— წელს დაბადების დღე მონტე-კარლოში გადავიხადე. წარმოიდგინეთ, ქალაქის საუკეთესო რესტორანი: ჩააქრეს შუქი, შემოაქვთ ტორტი და მთელი რესტორანი „ჰეფი ბერსდეის“ მიმღერის. მაგრამ ზუსტად ამ მომენტში გამიფუჭდა განწყობა. თითქოს ყველაფერი მქონდა, რაც მჭირდებოდა, — სახელი, ფული — მაგრამ მაინც არ ვგრძნობდი თავს ბედნიერად,



მაშინ, როცა ბუნების ლამაზი სურათის დანახვისას უსაზღვრო ემოცია შეიძლება, დამეფუფლოს. ბედნიერებას ბევრი ფული არ სჭირდება, თუმცა, ღირსეული ცხოვრებისთვის მცირე თანხა აუცილებელია. სტუდენტობისას ხშირად, არ მქონდა ფული და არ შემეძლო ლამაზი გოგონა, რომელიც მომეწონებოდა, რესტორანში დამეპატივებინა.

— მაინც რა გაკლდათ მონტე-კარლოში?

— იქ არ იყვნენ ჩემი ახლობლები და მეგობრები. საოცრად დაძაბულად ვგრძნობდი თავს. ის გარემო არ იყო ჩემი. ჩემს ახლობელ ადამიანებთან ერთად, სულ უბრალო სუფრასთანაც კი, ბევრად უფრო კარგად ვიგრძნობდი თავს.

— ახლა რა გაკლიათ ცხოვრებაში?

— დრო. ცხოვრებაში იმაზე მეტსაც მივალწიე, ვიდრე ვოცნებობდი, მაგრამ დღე-ღამეში 24 საათი ძალიან ცოტაა: სიმღერის გარდა, ბიზნესითაც ვარ დაკავებული. მეგობრები და ოჯახიც თავისას მოითხოვენ და მეც ორ ცეცხლს შუა ვარ.

— რა ბიზნესი გაქვთ?

— ერთ-ერთი მოსკოვური კლუბის 30% მეკუთვნის, სამშენებლო ფირმის მეწილე და ერთ-ერთი ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრიც ვარ.

— ქალის იდეალი თუ გყავთ?

— არა. რამდენჯერაც კი მეყვარები, ყოველთვის სხვადასხვა სტილის ქალი მიყვარდა. ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც მაღალი ან, პირიქით, დაბალი ქალები მომწონს. ქალის იდეალს თვალეში ვეძებ, ყოველთვის მაინტერესებდა ამოუცნობი, ჭკვიანი ქალები. ერთხელ, დიდი ხნის წინ ძალიან მომწონდა ერთი ქალიშვილი, მაგრამ როდესაც გავიცანი, რესტორანში ერთსაათიანი საუბრის შემდეგ, ამ გოგონაზე საშინელი, ქვეყანაზე აღარავინ მეგონა... როცა ჭკვიან ქალს ვხვდები, ისეთს, რომელმაც საკუთარი თავის ფასიც იცის და ჩემში მამაკაცს ხედავს და ინტერესით მიყურებს, ჩემზე ბედნიერი არავინ მგონია...

— შეგიძლიათ თქვათ, რომ ბედნიერი კაცი ხართ?

— დიახ. ალბათ ასეა. რადგან ყველაფერი მაქვს, რაც ბედნიერებისთვის არის საჭირო: ბევრ რამეს მივალწიე და ახლა შემეძლია ცხოვრებითაც დავტკბე. თუმცა, მაშინაც ბედნიერი ვიყავი, როცა არაფერი მქონდა...

ბესტი ერუდიციაზე

1. რა ერძება პიპინია პრისტავის (მ/ფ „არაჩვეულებრივი გამოფინა“) რძალს?



- ა) ღამა;
- ბ) გლაშა;
- გ) ღუნიაშა.

2. პინგვინებში კვირცხებს ჩიქმენ:



- ა) მამლები;
- ბ) დედლები;
- გ) ორივენი.

3. ვის სწვდა თმაში მსახიობი ლევან უჩანეიშვილი მხატვრული ფილმის „პრეზიდენტის მოტაცება“ გადაღების დროს?



- ა) რამაზ ჩხიკვაძეს;
- ბ) არმენ ჯივარხანიანს;
- გ) ჰარისონ ფორდს.

4. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძულია:



- ა) მადაგასკარი;
- ბ) ზელანდია;
- გ) გრენლანდია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ინფორმაციულ-მედიაციური კონსულტაცია

ეონა დვალის უბის ნიენაკონი:

1. ჰომოსექსუალისტებს ირანში სიკვდილით სჯიან.
2. კარგად განვითარებული ტვინის გამო ზღვის რვაფუნას პრიმატს ეძახიან.
3. არლეკინი, პიერო, ტარტალია, პანტალონე, ბრიგელა, პულჩინელა – ეს სია იტალიური ნიღბების კომედიის – „დელ-არტეს“ – პერსონაჟთა ჩამონათვალია.
4. პესიმისტსა და ოპტიმისტს შორის ბევრი არაფერია განსხვავება: პესიმისტი კარგად ინფორმირებული ოპტიმისტი, ოპტიმისტი კი – კარგად ინსტრუქტირებული პესიმისტი.
5. „პუსტ ნეტუ ნი კალა ი ნი დვარა ზატო, ნე პლატიატ კარალიუ ნალოვი, რაბოტნიკი ნაჟა ი ტაპარა, რომანტიკი ს ბალში დაროვი...“
P.S. მულტიპლიკაციურ ფილმ „ბრემენის მუსიკოსებში“ ყველა სიმღერას ოლეგ ონუფრიევი ასრულებს.

P.P.S. ნეტა რას იტყვოდნენ ძმები ვრინები, ვინმეს მათთვის კლასიკად ქცეული ეს ნამუშევარი რომ ეჩვენებინა.

6. სამხედრო თვითმფრინავების პილოტირებაში ამერიკელები საუკეთესონი არიან მთელ მსოფლიოში.



7. ამერიკული სამეფო გველი – ჩრდილოაღმოსავლური გველების დაუმიწებელი მტერია. შხამი

მას ვერაფერს ვნებს. იგი თავს ესხმის თავის შხამიან თანამოძმებს, გულავს მათ და ჭამს.

8. დედალი ცხენისა და მამალი ვირის ნაჯვარს ვორი ჰქვია, ულაყისა და დედალი ვირის ნაჯვარს – ვორცხენა.

9. „თურქეთში თურქული მმართველობა“ – ამბობდა ჩეხოვი.

P.S. რამდენ ქართველს ენატრება, რომ თურქეთის მსგავსად საქართველოშიც ქართული მმართველობა იყოს.


10. მეორე მსოფლიო ომში წყალქვეშა ნავებმა უფრო მეტი გემი ჩაძირეს, ვიდრე თავად გემებმა, ავიაციამ და არტილერიამ ერთად აღებულმა.

11. „ანა აკაზივავტ პრედპაჩტენიე მნე...“ – ეს სიტყვები წარმოთქვა უკანასკნელად ანდრეი მირონოვმა. იგი 1987 წელს, 46 წლის ასაკში, სპექტაკლ „ფიგაროს ქორწინების“ თამაშის დროს, სცენაზე გარდაიცვალა.

12. ინგლისის ძველ არმიებში თოფის დასატენ ღენთს ვარისკაცები პაკეტით

მიამიწი შალიკუნას ეჭვები

მარინა ბაბუნაშვილი



შალვა მეტრეველი დინჯი კაცია. როგორც ყველა რაჭველს, მასაც ნელა უყვარს საქმის კეთება, მაგრამ რასაც აკეთებს, ყველაფერს ლაზათიანად, ხარისხიანად აკეთებს, ვერაფერში წუნს ვერ დასდებ. მართალია, რაჭველების ტრადიციას უღალატა, მეპურე არ გამოვიდა, თუმცა ისეთი ძლიერი მექანიკოსი გახდა, სამსახურში, თბილისის ერთ-ერთ მექანიკურ ქარხანაში მის გარეშე დირექტორიც კი ვერ წყვეტს ხოლმე რაიმე მნიშვნელოვან საქმეს. ყველა უფრთხილდება ნიჭიერ სპეციალისტს, ამიტომაც შინ თუ გარეთ, მოფერებით შალიკუნას ეძახიან.

შალიკუნამ სამი წელია, რაც ცოლი მოიყვანა, მაგრამ შვილი ჯერ არ შესძენია. არადა, გული უღონდება კაცს, ისედაც გვიან – ორმოცი წლისა დაქორწინდა. ოჯახი უზრუნველყოფილია ყველაფრით, თუმცა რაღა ოჯახი ჰქვია ცარიელ ოთახებს (მერე რა, რომ ავეჯით არის გამოტენილი), როცა იქ მხოლოდ ერთი ქალი და ერთი მამაკაცი ცხოვრობს?! შალიკუნას ცოლი – თებროლეც წარმოშობით რაჭველია – ონელი. ბუნებითაც და გარეგნობითაც ერთნაირები არიან: დიდი ტანის, ლოყებლაყობი, მშრომელები და დინჯები. ორივეს სულისთქმა და გულის წადილი მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ არის – ბავშვი!

როგორც გითხარით, ნიჭიერი და ხელმძრავვე კაცია შალიკუნა, ამიტომაც უფროსობა ხშირად აგზავნის მივლინებაში. ერთხელ, შეზარხოშებულმა კახელმა მეგობარმა ქეიფის დროს შეჰბედა და უთხრა: აგინებია, ბავშვი და ბავშვიო. ბაღსა, ძმაო, ქალი და კაცი ერთად სჭირდება, შენა კიდევა სულ მივლინებებში დადიხარ; არ გეშინია მინც, ეს ფერხორციანი ქალი ვინმემ რომ მოგტაცოსო? შალიკო სულაც არ იყო ბოღმა და წყენია კაცი, არც ეჭვიანობა ახასიათებდა, ამიტომაც დინჯი ღიმილით გაეპასუხა უტაქტო კაცს: შენ, ბოშო, ამაზე ნუ დარდობ, მე და თებრომ ვიცით ჩვენი საქმე; მოტაცებით კი ვერაზინ მომტაცებს, ამისი ადგილიდან დაძვრა ხარ-კამეჩსაც არ შეუძლიაო...

ორი დღის მერე, კვლავ მივლინება უწევდა შალვა მეტრეველს. ცოლს ბაზრიდან ქვეყნის ხორავი მოუზიდა და უთხრა: აჰა, თებროლე, მე მგონი, ორი კვირა გეყოფა, თუ არა და, ფულსაც დაგიტოვებ, ვაითუ, შემავგინდეს და ნუ იშიმშილებო. წავიდა შალიკუნა. დარჩა მართლაც თებროლე...

ოქროსხელება შალვამ მივლინებაშიც იმარჯვა: დაამონტაჟა მექანიკური დანადგარები და ორიც, ქარხნისთვის გამიზნული, მალევე გამოაგზავნა თბილისში. ორი კვირის საქმეს ათ დღეში მორჩა და ვადაზე ადრე შინ დაბრუნდა, თანაც უამრავი საჩუქარი ჩამოუტანა თებროლეს.

ხარი არც დარეკა, თავისი

გასაღები მთარგო კარს და გააღო. იფიქრა, მოულოდნელი ჩამოსვლით უფრო გაგახარებ ჩემს ცოლსო, მაგრამ ქალი შინ არ დახვდა. მიმდობმა და მიამიტმა შალიკუნამ თავისთვის ჩაილაპარაკა: ალბათ, ნათესავებთან ან მეგობრებთან წავიდაო და რადგან გვარიანად მოშიებოდა, საქმეს შეუდგა. მაცივარში თითქმის არაფერი იყო, ოთხი კვერცხის გარდა. გადაწყვიტა, ეროკვერცხი შეეწვა. ტაფა შემოდგა ცეცხლზე, ზეთიც ბლომად მოასხა და სანამ გაცხელდებოდა, ჩამოჯდა. სრულ სირუმეში რაღაც ფაჩუნი მოესმა. ყურთასმენა დაძაბა. „ნეტავ ქურდი ხომ არ შემომეპარა?“ – გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე უარყო ეს აზრი... საძინებელი ოთახიდან თებროლეს ხმა შემოესმა თითქოს. ფეხაკრეფით მიუახლოვდა ოთახს. კარი მჭიდროდ იყო მოხურული, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს იქიდან გამომავალი ჩურჩულის გაგონებას: „ჩემო სიცოცხლე... მხოლოდ შენ მიყვარხარ, შენს მეტი არავინ მინდა... სად ვიყავით აქამდე? რას ვუცდიდით ნეტავი?“ – ერთმანეთს ენაცვლებოდა ქალისა და კაცის სიტყვები.

შალიკუნას რეტი დაესხა. კედელს მიეყუდა, რომ არ წაქცეულიყო. „ესეც ასე... ამასაც მოვესწარი, ცოლმა რქები დამადგა, თანაც რამოდენა, კაცო! საკუთარ ოჯახში, საკუთარ ოთახში და საწოლში! მაინც, რად გამოვედი გეთი ბეყე... ის კახელი ტყუილად არ ჩამიკრავდა რამეს, უთუოდ რაღაც იცოდა და მიმანიშნა... აბა, მეტი რა ექნა? როგორც შეძლო, მაგრძობინა, მე კი ტყემლის ხეზე ავედი და ქლიავის ჭამა დავიწყე. ვაი, შენს პატრონს, რქიანო შალიკო!.. ალბათ, თებროლესაც მობეზრდა ჩემი ხშირი მივლინებები. ვინ იცის, უბავშვობასაც მე მამბრალეს და იმიტომაც „მოსინჯა“ სხვა კაცი. ეპ, თებროლე, თებროლე... ვერ გიცვნივარ კარგად! შენ თუ გგონია, სხვისი ბოეშიანად სახლში გაგაჩერებ, ძალიან ცდები“, – საკუთარ თავს ელაპარაკებოდა შალიკუნა და სიმწრისგან ტუჩებს იჭამდა.

ადუღებული ზეთის შიშხინი მოესმა.. ახლად გაახსენდა ეროკვერცხისთვის ქურაზე შედგმული ტაფა. უცებ სასტიკმა აზრმა

გაუელვა თავში... სწრაფად შევარდა სამზარეულოში... გაშავებული ზეთის შხეფები აქეთ-იქით ცვიოდა. ბევრი აღარ უფიქრია ეჭვებისგან „დაღრღნილ“ კაცს, დასტაცა ხელი ტაფას, ფეხით შეგლიჯა საძინებლის კარი, შუქიც აღარ ანთო, საწოლში მონებივრე წყვილს საბანი გადახადა და ადუღებული ზეთი ზედ გადაავლო. ყურადღება აღარ მიაქცია არც ქალის შეკვივლებას, არც კაცის ამოხვრას, თავის სახლში ჰაერიც არ ჰყოფნიდა თითქოს, ამიტომ გიჟივით გავარდა გარეთ. კიბეზე თავქვე დაშვებულმა, ვერც კი შეამჩნია ამომავალი ქალი. უცებ ნაცნობმა ხმამ შეაჩერა და გამოაფხიზლა.

– შალიკუნა, უკვე ჩამოხვედი? – ზედა სართულის კიბიდან ჩამოსძახა თვალეგაბრწყინებულმა თებროლემ.

კაცი ადგილზევე გაშეშდა, თვალები აუხამხამდა.

– შენა ხარ, თებროლე? – თითქოს არ იჯერებდა შალიკო.

ნელა მიუახლოვდა ცოლს და ფრთხილად შეახო ხელი.

– მე ვარ, ბიჭო, აბა, შემომხედე, რა ექნა, ავად ხომ არ ხარ? სიცხე ხომ არ გაქვს? – შეშფოთებულმა თებროლემ შუბლი და საფეთქლები გაუსინჯა ქმარს.

– აბა, ისინი ვინ არიან, იქ, ჩვენს ოთახში? – თითი ზემოთ გაიშვირა შალიკუნამ.

– უი, ჩემი სიკვდილი, საწოლში ხომ არ დაგიხვდნენ ეგ მიწადასაყრელები?.. (შალვამ თავის დაქნევად შეძლო) ჩემი და გუშინ აი იმ „ვერზილამ“ მოიტაცა, სხვაგან ვერსად წაიყვანა და ამ დღით მე მომადგნენ. რაღა უნდა მექნა, ხომ არ გავაგდებდი?! ერთმანეთი უყვართ და ჯანდაბა მაგათ თავს... შინ აღარაფერი მქონდა, ამიტომაც ბაზარში რაღაცების საყიდლად წავიდი! – ჩაურაკრაკა თებროლემ.

შალიკუნამ ერთი კი იტკიცა ლოყაზე ხელი და იქვე, კიბის საფეხურზე ჩაიკეცა...

კუკიაზე, დამწვრობის ცენტრში მკურნალობის ხარჯები, რა თქმა უნდა, შალიკუნამ გაიღო, ხოლო როცა სიძემ დაჯდომა შეძლო, მშვენიერი ქორწილიც გადაუხადა.

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეორი დღის უბის წიგნაკიდან:

დაატარებდნენ. ბრძოლის დროს ამ პაკეტებს პირდაპირ კბილებით ხსნიდნენ და ისე ყრიდნენ თოფის ლულაში. ამასთან დაკავშირებით არსებობდა სპეციალური ბრძანება: „გატენეთ თოფები!.. პაკეტის გახსნისას ნერწყვით არ დაასველოთ დენთი.“

13. დედა ნიანგსა და მის შვილებს თვრამეტი სხვადასხვა სიგნალის საშუალებით აქვთ ურთიერთობა. ასეთი სახმო სიგნალები ძუძუმწოვრებისთვის არის დამახასიათებელი და რეპტილებში მათი არსებობა მით უფრო საოცარია.

14. სტოკჰოლმში ჰომოსექსუალთა და ლესბოსური სიყვარულის მიმდევარ ქალთა ყოველწლიური ფესტივალი 19 აგვისტოს ტარდება.

15. „თუ თითში ხიჭვი შეგერჭო, გიხაროდეს, რომ თვალში არ მოგხვდა. თუ ჯიბეში ასანთის კოლოფი ავიფეთქდა, გიხაროდეს, რომ იქ დენთი არ გქონდა და თუ ცოლმა გილაღატა, გიხაროდეს, რომ მან სამშობლოს არ უღალატა.“ – ასეთი შავი იუმორით უპასუხა გაუთავებელ წუწუნზე სსრკ-ის ერთ-ერთი რესპუბლიკის ხელმძღვანელს იური ანდროპოვმა.

16. ანრი ტულუზ-ლოტრეკს ათამანი (სიფილისი) „მულენ-რუჟის“ ერთ-ერთმა ლამაზმანმა დამართა.


17. იური სენეკევიჩი მონღოლეთშია დაბადებული.

18. „ჩვენი მეგობრების ნახევარი არასწორმა ღვინის სმამ წაიყვანა ამ ქვეყნიდან და ვინც დავრჩით, ნახეთ რასა ვგავართ“ – ეს სიტყვები ერთ-ერთ შეხვედრაზე რამაზ ჩხიკვაძემ წარმოთქვა.

P.S. ამ დიდ მსახიობს ღვინო აირწინდით აქვს დალეული.

19. ქარვის მოპოვების 90 პროცენტს კალინინგრადის ოლქზე მოდის.

20. საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსს XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში ემიკალასბაში ერქვა. მის დაქვემდებარებაში შემდეგი თანამდებობები ასეთი თანმიმდევრობით შედიოდა: ბოქაულთუხუცესი, ბოქაული, სოიბათიასაული, ყორიასაული, იასაული, მემანდარი, ყაფიჩი და თალიში. P.S. ალექსანდრე ჭავჭავაძის მამა, გარსევან ჭავჭავაძე, მეფის ემიკალასბაში იყო.



„სროლის ხასიათზე ვარ, იხოლე, და გესვრი“ — დაზარალებულის თქმით, ასე დაიძახა პოლიციელმა გასროლის წინ

ტყვიამ 33 წლის ახალგაზრდა იმსხვერპლა

უახლოეს მომავალში თბილისის საოლქო სასამართლოში ერთ-ერთი პოლიციელის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყება. სასამართლო 2001 წლის 30 იანვარს თბილისში, მათუდის კომბინატის შენობაში მომხდარ ფაქტს შეეხება: ამ დღეს 33 წლის კახა კალანდარიშვილი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილმა ტყვიამ მოკლა. იარაღი — მაკაროვის სისტემის პისტოლეტი გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ინსპექტორს, პოლიციის ლეიტენანტს — 33 წლის ზაზა იანვარაშვილს ეჭირა ხელში.



მეზი სანავა

იმ მომენტში აშკარა მკვლელობაში ეჭვი არავის შეჰპარვია. ამას შემთხვევის ადგილას მყოფი არაერთი თვითმხილველის ჩვენება მოწმობს, რომელიც გამოძიების მასალებშია ასახული. სწორედ მათზე დაყრდნობით და მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე (როგორც ამას საქმის მასალებში ვკითხულობთ), დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურამ საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრა და დაპატიმრებულ იანვარაშვილსაც შესაბამისი მუხლი შეუფარდა. თუმცა, ცოტა ხანში ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მოწმეებმა, ერთმანეთის მიყოლებით, ჩვენებები შეცვალეს, ერთი ექსპერტიზის პასუხს მეორე, სრულიად საპირისპირო დასკვნა მოჰყვა. საბოლოოდ კი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა ცვლის ბრალდებულისთვის შეფარდებულ მუხლს და ამტკიცებს, რომ ზაზა იანვარაშვილმა კახა კალანდარიშვილი გაუფრთხილებლობით მოკლა — მას იარაღი შემთხვევით გაუვარდაო. ამისთვის სასჯელი, შესაბამისი მუხლით, 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიების მიერ აკინძული მასალები დანაშაულის კვალის დასაფარავად, პოლიციელების მიერ პოლიციელებისთვის გაწეული სამსახურის ტიპური, კლასიკური ნიმუშია“, — აცხადებენ სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსებში უკვე კარგად გარკვეული დაზარალებულები.

ფაქტი 2001 წლის 30 იანვარს თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე მათუდის კომბინატის შენობის დარბაზში მოხდა. ამ დარბაზში გლდანის რაიონში მცხოვრები კახა ლაჩაშვილის მეგობრები და ყოფილი თანაკლასელები იმყოფებოდნენ. მათ შორის იყვნენ კახა კალანდარიშვილი და ზაზა იანვარაშვილი. პირველი, ლაჩაშვილის კლასელი გახლდათ, მეორე კი — მისი მეზობელი და მეგობარი. კალანდარიშვილი და იანვარაშვილი ერთმანეთს მანამდეც იცნობდნენ.

სტუმრები სუფრიდან დაახლოებით საღამოს 6 საათისთვის წამოიშლნენ. დარბაზი ხალხისგან ჯერ კიდევ არ იყო დაცლილი, როცა სროლის ხმა გაისმა. კახა კალანდარიშვილი ძირს დეკარდა, მასთან ერთად დაეცა ჯემალ იანვარაშვილიც — ზაზა იანვარაშვილის მამა. თუმცა, დაჭრილი მხოლოდ კალანდარიშ-

ვილი აღმოჩნდა. მას სხეულში ერთი ტყვია მოხვდა. ჭრილობა ძალზედ მძიმე აღმოჩნდა, რის გამოც საავადმყოფოში მისთვის აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების მიუხედავად, კალანდარიშვილი შემთხვევიდან ხუთი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ბუნებრივია, დარბაზში ამ ფაქტს არაერთი თვითმხილველი ეყოლებოდა. მოწმეებმა მომხდარი მაშინვე ასე აღწერეს: როცა სტუმრებმა წასვლა იწყეს, კახა ლაჩაშვილმა მეგობრებს და კლასელებს დარჩენა სთხოვა. სუფრასთან დაახლოებით 10-15 კაცი დარჩა და სმა განაგრძო. მათ შორის იყვნენ კახა კალანდარიშვილი და ზაზა იანვარაშვილი. ცოტა ხანში ეს უკანასკნელი მაგიდიდან წამოდგა და დარბაზიდან გავიდა. შენობიდან გავიდნენ კალანდარიშვილი და ალექო ბენდელიანიც. როცა ისინი უკან დაბრუნდნენ, კალანდარიშვილსა და იანვარაშვილს ერთმანეთთან ხანმოკლე შელაპარაკება მოუვიდათ. კალანდარიშვილი, შვილს, ზაზა იანვარაშვილის მამამ — ჯემალმა მთარია და იგი გვერდზე გაჰყავდა, როცა ზაზა იანვარაშვილმა ქამრიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და კალანდარიშვილის მიმართულებით გაისროლა.

ალექსანდრე ბენდელიანის ჩვენებიდან:

„... შემომესმა გასროლის ხმა, მივიხედე და დავინახე, რომ ჩემ წინ ერთ-ორ მეტრში იდგა ზაზა იანვარაშვილი, რომელსაც ხელში ეჭირა ცეცხლსასროლი იარაღი. რამდენადაც დავინახე, მაკაროვის სისტიმის პისტოლეთი იყო... მანამდე რაიმე შელაპარაკებას ადვილი არ ჰქონია, არ გამოვიდა დარბაზში არავითარი ჩოჩქოლის ხმა. ზაზა იანვარაშვილსა და კახა კალანდარიშვილს შორის გაწევი-გამოწევის და ერთმანეთისთვის ფიზიკურ შეურაცხყოფას ადვილი არ ჰქონია. მე გავიფიქრე, რომ ზაზა იანვარაშვილმა შეაგინა დედის მისამართით კახა კალანდარიშვილს, ჩვეულებრივი ხმით, ყოველგვარი ყვირილისა და აყალმაყალის გარეშე და შეგინებისთანავე მოახდინა გასროლა... ზაზა იანვარაშვილი და კახა კალანდარიშვილი ორივე ჩემი მეგობრები არიან, მათ შორის, რამდენადაც მე ვიცი, არ იყო კარგი ურთიერთობა...“

სამართალდამცავთათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მოწმე კახა კობახიძე აღნიშნავს:

„გასროლის შემდეგ ჩვენ კახას მივეპარდით, რამდენიმე კაცმა ზაზა იანვარაშვილს ხელები გადაუვრინა. მას ხალხი ეჭვიდავებოდა და ცდილობდა მისთვის იარაღის წართმევას. ხელი გადაუვრინეს და წაართვეს. ვნახეთ, რომ კალანდარიშვილი დაჭრილი იყო...“

კახა ლაჩაშვილის ჩვენებიდან:

„... ხალხს ხელში აყვანილი მოჰყავდა კახა კალანდარიშვილი. იგი გრძობაზე იყო, მაგრამ არ ლაპარაკობდა. მე ვიკითხე, რაში იყო საქმე-მიპასუხეს, რომ მანქანა იყო საჭირო. მე გავვარდი გარეთ და დაუწყვე ძებნა ღია მანქანას. მხოლოდ ერთი მანქანა დამხვდა ღია. იგი ეკუთვნოდა ჩემს მეზობელს – ზაზა იანვარაშვილს. თეთრი ფერის „ბე-ემ-ვე“ იყო. საჭესთან მე დავეყეტი, კახა კალანდარიშვილი უკანა სავარძელზე დავაწვინეთ და მე და ჩემმა კლასელმა – ალექო ბენდელიანმა იგი თბილისის მე-8 საავადმყოფოში მივიყვანეთ. ვაში კალანდარიშვილს ხმა არ ამოუღია...“

გასროლის შემდეგ, ზაზა იანვარაშვილმა დარბაზი დატოვა და წავიდა. მოვივინებთ, პროკურატურაში იგი თავისი ფეხით

გამოცხადდა. იმ დღეს ის, ისევე, როგორც კახა კალანდარიშვილი, ნასვამი იყო.

თვითმხილველები აღნიშნავენ, რომ იცოდნენ იანვარაშვილსა და კალანდარიშვილს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის შესახებ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დანაშაულის ნამდვილ მოტივზე ბევრს წარმოდგენაც არ ჰქონდა. მკვლელობის მიზეზი ისევ გამოძიების მასალებში გამოიკვეთა, თუმცა ბოლოს შესაბამისი ჩვენებები პროკურატურამ გააბათილა და უსაფუძვლოდ ჩათვალა.

მომხდარი ფაქტის შემდეგ, დასაკითხად დაბარებულმა, დაზარალებული ოჯახის წევრებმა დასძინეს, რომ კახა კალანდარიშვილსა და ზაზა იანვარაშვილს შორის ახლო მეგობრული ურთიერთობა არასოდეს ყოფილა. მათი თქმით, ისინი უბრალოდ, ნაცნობები იყვნენ, ბოლო პერიოდში კი მათი ურთიერთდამოკიდებულება ძალიან დაიძაბა. მოკლულის ნათესავები აცხადებენ, რომ იანვარაშვილმა შემთხვევამდე რამდენიმე თვით ადრე კალანდარიშვილის დედაშვილი – ემზარ ჯუღაყიძე ქუჩაში დააკავა, თუმცა იმავე დღეს გაშვებაც დაჰპირდა. „ჯიბეში ნარკოტიკებს ჩაგდე ან სხვა რაიმე მიზეზს ვიპოვი და ციხეში გაგიშვებ, თუ 300 დოლარს არ მოიტანო. ფულს დავპირდით, ახლობლის თანხლებით, პირადად გადავციე იანვარაშვილს თანხის ნაწილი, დანარჩენი 100 დოლარის მიცემა კი უახლოესი მომავლისთვის აღვუთქვით“, – ჰყვება ჯუღაყიძის დედა. თანხის გადახდას დაპირებისამებრ, ვერ ახერხებდნენ. ამის გამო, იანვარაშვილი თავისი მეზობლის კახა ლაჩაშვილის პირით უთვლიდა მოთხოვნებს კახა კალანდარიშვილს, რადგან იცოდა, რომ იგი ამ უკანასკნელის ახლო მეგობარი, კალანდარიშვილი კი – ჯუღაყიძის დედაშვილი იყო.

კახა ლაჩაშვილის ჩვენებიდან:

„კახა კალანდარიშვილის დედაშვილს ემზარ ჯუღაყიძეს ასე დოლარი ჰქონდა მისაცემი ზაზა იანვარაშვილისთვის. მე ერთ-ერთი შეხვედრის დროს იანვარაშვილს ვუთხარი, რომ კალანდარიშვილებისთვის დაენებებინა თავი და შეშვებოდა ემზარ ჯუღაყიძეს, ჩაეთვალა ისე, თითქოს ის ასე დოლარი მე მაჩუქა. ამაზე იანვარაშვილმა თანხმობა განმიცხადა და მითხრა – აღნიშნულ ფულს არავის აღარ მოვთხოვო...“

თუმცა, მეგობრის წინაშე ამგვარი დაპირების მიუხედავად, როგორც ჩანს, იანვარაშვილი წყენას არ ივიწყებდა და კა-

ლანდარიშვილის ყოველ დანახვაზე, ამ უკანასკნელის დედაშვილი და 100 დოლარი ასხნდებოდა. დაზარალებულებმა პროკურატურაში იანვარაშვილსა და კალანდარიშვილს შორის ადრე მომხდარი ინციდენტის შესახებ განაცხადეს. არსებობს მოწმეთა ჩვენებები, რომელთა თქმით, ბრალდებულმა კალანდარიშვილს 2000 წლის აგვისტოშიც დაუმიზნა იარაღი, თუმცა, მაშინ კახას ტყვეა ასცდა.

მარინე ჯაფიაშვილის ჩვენებიდან:

„ვარ შპს საუნა „გლდანის“ თანამშრომელი. კახა კალანდარიშვილს ვიცნობდი, როგორც დადებით პიროვნებას. იგი საუნაში ხშირად ჩამოდიოდა. 2000 წლის აგვისტოში, რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, თავის მეგობარ ბიჭთან ერთად იყო მოსული. საუნის ბარში ისხდნენ. ბარში იმყოფებოდა კიდევ დაახლოებით ექვსი ადამიანი – საუნის თანამშრომლები და ქუჩიდან შემოსული პირებიც. კახა კალანდარიშვილი შესასვლელ კართან, დივანზე იჯდა. ამ დროს ბარში ზაზა იანვარაშვილი შემოვიდა. დაინახა თუ არა კალანდარიშვილი, მაშინვე უთხრა: სადაც მე ვარ, შენ იქ არ უნდა იყო. ამ სიტყვების დამთავრებისთანავე, ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი და კახას დაუმიზნა. ამ მომენტში მასთან, ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა ბიჭი მივარდა და ხელში ამოარტყა. მოხდა გასროლა, მაგრამ ტყვეა ბეტონის კედელს მოხვდა. ამის შემდეგ იმ უცნობმა ბიჭმა იანვარაშვილს იარაღი წაართვა და იგი ხელკავით გაიყვანა საუნის შენობიდან. გასვლისას ზაზა იანვარაშვილი კახას მისამართით ივინებოდა... რამდენიმე წუთში საუნიდან კახა კალანდარიშვილიც წავიდა. ის შენობიდან მარტო გავიდა. როგორც ჩანს, მანქანაში ჩაჯდა, რადგან კარის დახურვისა და მანქანის დაძვრის ხმა გავიგონე...“ – ამ ჩვენებას გამოძიების მასალებში სხვა მოწმეც – მარიამ ბარბაქაძეც ადასტურებს.

თავად ბრალდებული – ზაზა იანვარაშვილი, როგორც საუნაში მომხდარ ამ ეპიზოდს, ისევე მაულის კომბინატის დარბაზში ჩადენილ დანაშაულს, გამოძიების პირველივე დღიდან კატეგორიულად უარყოფს. მისი თქმით, იგი გარდაცვლილის უახლოესი მეგობარი იყო და მის განზრახ მკვლელობას არასოდეს დაისახავდა მიზნად.

ზაზა იანვარაშვილი, ბრალდებუ-
ლი:

„ძალიან ენერჯიულობ და განვიც-
დი იმ უბედურებას, რაც 2001 წლის
30 იანვარს მოხდა, მაგრამ რაც შეეხება
ჩემ მიმართ წარდგენილ ბრალდებას,
განზრახ მკვლელობის მუხლით, თავს
დამნაშავედ არ ვგრძნობ. ძალიან მი-
ჭირს ამის ხმამაღლა განცხადება,
რადგან გარდაცვლილი კახა კალან-
დარიშვილი ჩემი ერთ-ერთი უახლოე-
სი მეგობარი იყო. მე არასოდეს არ
მქონია მისი მოკვლის განზრახვა და
მასთან ყოველთვის მაკავშირებდა
კარგი, ახლობლური დამოკიდებულება,
ჩვენ შორის კონფლიქტი არასოდეს
ყოფილა.

2001 წლის 30 იანვარს მე დილ-
იდანვე სამსახურში ვიყავი. იმ დღეს
ჩემი მეგობრის და შვილის ნათლი-
ის – კახა ლაჩაშვილის დედის
დაკრძალვა იყო. დაახლოებით 12
საათისთვის ხელმძღვანელობას დაე-
ეთხოვე და ჩემი მანქანით – „ბე-
ემ-ვე“-თი წავედი ჩემს სახლში,
საიდანაც დაკრძალვაზე მამაჩემი,
ჩემი მეუღლე და უმცროსი ვაჟი
წავეყვანე. იქიდან მუდის ფაბრიკის
სასადილო დარბაზში ქელეხის სუ-
ფრაზე მივედი. კახა კალანდარიშ-
ვილი ჩემთან ახლოს იჯდა.

იმის გამო, რომ ქელეხის შემდეგ
ისევ სამსახურში უნდა დაებრუნე-
ულიყავი, სუფრასთან ორი-სამი სა-
დღეგრძელოს მეტი არ დამიღვევია.
თანაც, სასმისებს ბოლომდე არ
ვცვლიდი. პალტოს ჯიბეში აღმოვა-
ჩინე სამსახურის კაბინეტის გასაღე-
ბი, გამახსენდა, რომ იგი თანამშრომ-
ლისთვის უნდა მიმეცა. გამოვედი
დარბაზიდან და ჩემს უმცროს ვა-
ჟთან ერთად, მანქანით სამსახურში
წავედი. თანამშრომელს გასაღები გა-
დავეცი, ცოტა ხანი ვისაუბრე მას-
თან და მანქანით კვლავ ქელეხზე
დავბრუნდი.

ფაბრიკასთან რომ მივედი, მან-
ქანიდან გასაღები აღარ გამომიღია,
რადგან მანქანაში პატარა ბავშვები
ჩასხდნენ. როცა დარბაზში შევედი,
სუფრა უკვე აშლილი იყო. ხალხი
ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდა. დარბაზ-
ში მამაჩემი შევნიშნე. იგი კალანდა-
რიშვილთან და სხვებთან ერთად იდგა.
მამაჩემს ვუთხარი – მალე წავიდეთ-
მეთქი, მერე მეუღლესთან მივედი, ბავშ-
ვი დაუბრუნე და მასაც იგივე ვუთხ-
არი. ამის შემდეგ ტუალეტში შევე-

დი. საპირფარეშოში
შესვლისას ტაბე-
ლური იარაღი ამოვ-
იღე, რომელსაც სპე-
ციალური შალითის
– „კაბურის“ გარეშე
ვატარებდი. პისტო-
ლეტი შარვლის სა-
ქამრეზე ვიწრო სპე-
ციალური ტყავის თა-
სმით მქონდა მიმა-
გრებული. რამდენა-
დაც საპირფარეშოს-
თან ბევრი ხალხი
ირიოდა, მე ნაჩქარე-
ვად დავეკეტე იარ-
აღის სამაგრი თასმა
და პისტოლეტთან ერ-
თად, შარვლის საქამ-
რეში ჩავიდე. როცა ტუალეტიდან
გამოვედი, მამაჩემის მიმართულებით
წავედი. მას თითქმის მივუახლოვდი,
როცა საქმრიდან იარაღი ამომივარდა
და დაახლოებით მუხლის დონეზე,
თასმაზე დაეკიდა.

არ გავჩერებულვარ – ისე, მარ-
ჯვენა ხელით ავიღე იარაღი და ჩვეუ-
ლი მოძრაობით შევეცადე, თასმა
გამესწორებინა. ამ დროს მოულოდ-
ნელად, ჩემი იარაღიდან გასროლა
მოხდა. გასროლის მომენტში მე
თითქმის მისული ვიყავი მამაჩემთან
და მის გვერდით მდგომ პირებთან.
კახა კალანდარიშვილი და მამაჩემი
იატაკზე დაეცნენ. მოულოდნელო-
ბით გაოგნებული ვიყავი, ატყდა
ჩოჩქოლი, ხმაური, მახსოვს, ვიღაცამ
დაიძახა – კაცი დაჭრილიაო. იარ-
აღი კვლავ ხელში მეჭირა. ვიღაცე-
ბი მომცვივდნენ და რამდენიმე
ნაბიჯით იქაურობას გამარიდეს. ამავე
დროს, ხელში აყვანილი კახა დარ-
ბაზიდან გაჰყავდათ. მეც ვარეთ გავე-
დი, იქვე ჩემი ნაცნობი პოლიციელი
– დათო მოთიაშვილი შევნიშნე, მას
იარაღი მივეცი და ვთხოვე, ჩემს სამ-
სახურში წარედგინა და მომხდარის
შესახებაც ეთქვა“.

საჭირო იყო ექსპერტიზის დასკვნა,
რომელიც თასმაზე იარაღის გამოღების
კვალს დადასტურებდა. ექსპერტებმა თას-
მაზე ამის დამადასტურებელი ვერაფერი
იპოვეს, მიუხედავად იმისა, რომ იანვარაშ-
ვილი ჩვენებაში აღნიშნავს: „იარაღიდან
თასმის მოხსნა გამიჭირდა და იგი სასხ-
ლეტი კაუჭიდან გამოვვლიჯე“. მოგვი-
ანებით, ჩატარდა კიდევ ერთი ექსპერტი-
ზა. ამჯერად ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ



მრავალჯერადი ცდიდან ერთ შემთხვევა-
ში თასმას იარაღის სასხლეტი კაუჭი
გამოეღო.

ეთერ კალანდარიშვილი, გარ-
დაცვლილის დედა:

„ამას მოჰყვა მოწმეთა განმეო-
რებითი დაკითხვები, სადაც მათ
ჩვენებები ერთიმეორის მიყოლებით
შეცვალეს. პროკურატურასაც მეტი
რა უნდოდა? ექსპერტიზის დასკვნა,
რომელიც ისედაც შეიძლება გაიგო
და ასედაც (პისტოლეტის სასხლეტ
კაუჭზე თასმის გამოღების შესა-
ძლებლობას უფრო გამოიციხავს, ვი-
ღრე ადასტურებს) და ბრალდებუ-
ლის ჩვენება საკმარისი გახდა იმ-
ისათვის, რომ განზრახ მკვლელო-
ბის მუხლი, გაუფრთხილებლობის
შესაბამისი მუხლით შეეცვალა“.

მართლაც, თუკი მოწმე კახა ლაჩაშ-
ვილმა პირველ ჩვენებაში იანვარაშვილ-
ისთვის ფულის გადაცემასთან დაკავშირე-
ბული კონფლიქტი დადასტურა, მოგვი-
ანებით დაკითხვისას, მან ყველაფერი უარყო.
მისი თქმით, პირველი ჩვენებისას მან დაზ-
არალებულთა თხოვნით, სიცრუე დაწერა.
ჩვენებები საუნა „გლდანის“ თანამშრომ-
ლებმა – ჯაფიაშვილმა და ბარბაქაძემაც
შეცვალეს. მათი თქმით, საუნაში ისინი
ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის
ფაქტს არასოდეს შესწრებიან და არც
იანვარაშვილი უნახავთ ოდესმე. საუნის
კედელზე ჩატარდა სათანადო ექსპერტიზა,
რომლის დასკვნის მიხედვით, დაზინებუ-
ლი ადგილი ნატყვიარი არ არის. ექსპერტთა
ვარაუდით, ეს მკვრივი საგნის დანარტყამს
ან ამონაკვეთს უფრო ჰგავს.

ეთერ კალანდარიშვილი:
„ექსპერტიზის დასკვნებს რომ

პროკურატურა თავის გემოზე არგებს საქმეებს, დღეს ყველამ იცის. ნატყვიარის დამახინჯებაც არავის გაუჭირდებოდა... ყველაფერთან ერთად, საეჭვო ისიც გახლავთ, რომ ფაქტის შესახებ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს მხოლოდ მეორე დღეს შეგვატყობინეს. კახა უკვე ქალაქის პროზექტურაში ესვენა...

სუფრასთან ბევრს გაუგონია, რომ ინვარაშვილს ჩემი შვილისთვის მის დედაშვილთან დაკავშირებული 100 დოლარის შესახებ შეუსხენებია. თქვენ რა ფული შემაწერეთო? ვის აწერს ეგ (ჯულაყიძე) ფულსო? — და ჯულაყიძის მისამართით შეუგინია. კახას უთქვამს — აქ ჩემი დედაშვილი არ არის, ამწუთას მე მარტო ვარ და მისი მისამართით რომ იგინები, გამოდის, მეც მაგინებ და შეწყვიტეთო. ინვარაშვილს უპასუხია: კახა, იცოდე, გაჩერდი, თორემ სროლის ხასიათზე ვარ და გესვრიო. — მესროლე მერე, თუ ეგ გინდაო — უთქვამს კახას. ამ მომენტში მათთან თურმე ინვარაშვილის მამა იდგა. მას კახასთვის ხელი ჩაუვლია და გვერდზე გაუყვანია: მორჩით ახლა, წამოდი, თავი დაანებე ამასო — უთქვამს. ამ დროს, ზაზა ინვარაშვილმა იარაღი ამოიღო საქმრიდან და კახას მიმართულა გაისროლა. კახა ძირს დაეარდნია. დაეარდნისას, როგორც ჩანს, ინვარაშვილიც მას მიჰყვა და ინერციით, ისიც წაიქცა...

მომხდარის შესახებ იქ მყოფი კახას კლასელები თავდაპირველად ასე გვიყვებოდნენ. მერე კი, უძრავლესობამ თქვა, რომ დარბაზში გასროლის მომენტს არ შესწრებია, არც შელაპარაკება შეუნიშნავთ და არც გინება გაუგონიათ. ერთ-ერთი მოწმის — ბენდელიანის ჩვენებას ვერ უხერხებენ ვერაფერს. იგი წერდა — გავიგონე, ინვარაშვილმა კახას როგორ შეაგინა, მერე იარაღი ამოიღო და ესროლაო. მოგვიანებით, ბრალდებულმა თავის ჩვენებას ისიც დაუმატა, რომ თანმიდან იარაღის გადმოვარდნის მომენტში, ძირს დახრილმა, პისტოლეტის მისამართით შეიგინა. ბოლოს, ბენდელიანიც დაიყოლიეს და ინვარაშვილთან დაპირისპირებისას ათქმევინეს, რომ გინების მომენტში ეს უკანასკნელი მოხრილი იყო...“

განმეორებითი დაკითხვისას, თითქმის

ყველა მოწმე აღნიშნავდა, რომ მათ ინვარაშვილის საწინააღმდეგო ჩვენებების მიცემას დაზარალებულები სთხოვდნენ. უფრო მეტიც, ჯაფიაშვილმა გამოძიებელს მობილური ტელეფონი „ფილიპსი“ გადასცა და უთხრა — ეს პირველი ჩვენებისთვის, საჩუქრად, დაზარალებულმა მომცესო. შესაბამისი ოქმი საქმეში არსებობს.

ეთერ კალანდარიშვილი:

„ეს ყველაფერი ბინძური ფარსია. ისეთი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობენ, თითქოს ჩვენ — დაზარალებულები მოწმეებს ვატერორებთ და ვაშანტაჟებთ. ამხელა უბედურება დამატყდა თავს — შვილი მომიკლეს და სხვისი შანტაჟი მე რას მარგებს? განა ტყუილი შვილს გამიცოცხლებს? მე ნამდვილად ვიცი — ინვარაშვილმა კახა მოკლა. შემთხვევით რომ მოსვლოდა, ვაპატიებდი. მე ტყუილად მისი მკვლელად მონათვლა არ მინდა. იმის ნაცვლად, რომ ვაჟკაცურად ეღიარებინა, იმ დღიდანვე ტყუილს ამტკიცებს. ამ მკვლელობას მას არ ვაპატიებ, არც პროკურატურას შევარჩენ ამ შეთითხნილ საქმეს.“

მთვარისა ოსიაური, გარდაცვლილის მეგობარი:

„მე კახას შესახებ ყველაფერი ვიცოდი. მისი ყოველი ნაბიჯი ჩემთვის ცნობილი იყო. ვხედავდი, ვისთან მეგობრობდა და ვისთან — არა. თუკი ცხოვრებაში რაიმე კონფლიქტი ან უსიამოვნება შეხვედრია, ყველაფერს მიყვებოდა. მიუხედავად ამისა, პროკურატურა ჩემით ერთხელაც არ დაინტერესებულა. სამართალდამცავთაგან არავის უფიქრია, რომ მე ინვარაშვილისა და კახას ურთიერთობაზე რაიმე ვიცოდი და მის ახსნას შევძლებდი. არადა, მათ შორის ურთიერთობა იმ ფულის გამო ნამდვილად დაიძაბა...“

ამას წინათ ამ საქმის გამოძიებელთან — შოთა გენგაშვილთან მივედი და ვთხოვე, გამოძიების დეტალებში გავერკვიე. საქმე უკვე დახურული იყო. გენგაშვილმა მითხრა — რა ვქნათ, ვიცით, რაც მოხდა, ჩვენ კი გავუშვებდით „პოლნი კატუშკით“, მაგრამ არ გავიკვირდეთ, რომ ინვარაშვილი პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლონო... ამ სიტყვების შემდეგ, ჩემთვის ნათელია, რა ხდება გამოძიების მასალებში. იმის

შესახებაც შევიტყვე სანდო წყაროებიდან, რომ ინვარაშვილს დახმარებას გამოძიებაში (არაოფიციალურად), გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს სამძებროს უფროსი — თამაზ ოშაყმაშვილი, ე.წ. „კუკარაჩა“ ცდილობს: ინვარაშვილი ხომ მისი თანამშრომელი იყო. „კუკარაჩას“ ბინძური „მოღვაწეობის“ შესახებ კი, ბოლო ხანებში, „ნო წუთის“ მეშვეობით, მთელმა საქართველომ შეიტყო...“

ოსიაურთან შეხვედრის შემდეგ, გამოძიებელ შოთა გენგაშვილს დაუკავშირდით. მან ამ ქალბატონის ზემოთ მოყვანილი სიტყვები სრულიად უარყო და ისიც აღნიშნა, რომ ზაზა ინვარაშვილის საწინააღმდეგოდ საქმის მასალებში რეალური მტკიცებულება არ მოიპოვება. მასალები კი, მისივე თქმით, ობიექტურად არის მოძიებული და გამოკვლეული.

შოთა გენგაშვილი:

„როცა ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მთავრდება, ორივე მხარე კმაყოფილი არასოდეს რჩება. ეს არ უნდა დაგვაიწყდეს. ამ შემთხვევაში, მე დაზარალებულის კარგად მესმის, მაგრამ საქმის ოქმებს თუ გადახედავთ, ინვარაშვილის ბრალი განზრახ მკვლელობაში არაფრით არ დასტურდება. ხოლო ის, რომ დაზარალებულის მხარისგან რომელიმეს შეხვედი და ვუთხარი — ვიცი, იგი მკვლელია, მაგრამ საქმეში მასალები გავაყალბეთო — სინამდვილეს არ შეეფერება. ცხადია, როგორც გამოძიებელი, დაზარალებულს ამას არ ვეტყვი...“

თუმცა, საქმის მასალების სამართლიანობის საკითხი სასამართლომ უნდა გაარკვიოს. დაზარალებულებს იმედი ჯერ კიდევ არ გადასწურვიათ და დასძენენ, რომ პასუხისმგებლობისგან უსამართლოდ გაათავისუფლებულ დამნაშავე პოლიციელთა რიგს ინვარაშვილიც არ უნდა დაემატოს.

ეთერ კალანდარიშვილი:

„პროკურატურა, ვიცით, რაც არის. თუკი იმედი სასამართლოშიც გავვიცრუვდა, მთელი ჩემი გაუბედურებული ოჯახის წევრები საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ვიტყვით. ჩვენ ასეთ დაუცველ, უსამართლო და უუფლებო ქვეყანაში ცხოვრება ნამდვილად არ გვინდა.“



კინოდან წასვლის უაღრესი

გვიჩვენა უსსრ კინოში ჩვენს დროს უფრო

ლელა ჭანკობაძე

ბურნუთა:

— ქართულ კინოში შემთხვევით მოვხვდი. მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი. მეგობრებთან ერთად ქუჩაში ვთამაშობდი. ჩემს მეგობრებს ჟესტებით, უსიტყვოდ რაღაცას ვუხსნიდი. მოულოდნელად, უცნობი კაცი შევინშნეთ, რომელიც ვაითვალთვალებდა და თან მე სურათებს მიღებდა. როგორც იქნა, ჩვენკენ წამოვიდა. ბიჭებს ალბათ, უბნის ინსპექტორი ეგონათ, შემინებულები აქეთ-იქით გაიქცნენ. მე რატომ გაგჩერდი, არ ვიცი. უცნობმა კინოში გადაღება შემომთავაზა და თან რამდენიმე სურათიც გადამიღო. შემდეგ გავიგე, რომ ეს კაცი რეზო ესაძე იყო. ის ეძებდა მთავარ გმირს თავისი ფილმისთვის „ერთი ნახვით შეყვარება“. იმან სწორედ მე მიმიწვია მთავარ როლზე. სინჯები ლენინგრადში გადამიღეს და უპრობლემოდ დამამტკიცეს კიდეც. უნდა გამოვიტყდეთ, რომ მსახიობობაზე არასოდეს მიოცნებია. ასეთი რამ თავში აზრადაც არ მომსვლია. ბატონ რეზოსთან შეხვედრის წყალობით მოვედი კინოში. გავხდი პოპულარული და ვიპოვე ჩემი ნამდვილი მოწოდება. გადაღებების დასრულებისთანავე ჩამომიყალიბდა გადასადგმე მოედანზე თამაშის მოთხოვნილება. სიყვარული კი იმწუთსვე გაჩნდა, როგორც კი კამერის წინ აღმოვჩნდი. ამიტომაც ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში. ორი წლის მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, სტუდენტი გავხდი, უფრო სწორად, გავხდი პროფესიონალი მსახიობი.

— ამით იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ თქვენი როლები ფილმებ-

ში „ერთი ნახვით შეყვარება“ (რ. ესაძე), „ბოშის კოცნა“ (ბ. ჩხეიძე), „ვალსი მთაწმინდაზე“ (ბ. ნულაძე) და „დილის ნისლივით“ (გ. ხოჯავა) „არაპროფესიული“ კინოროლებია?

— საერთოდ მე ვთვლი, რომ მსახიობს თანდაყოლილი ნიჭი უფრო სჭირდება, ვიდრე ინსტიტუტი, მაგრამ სწავლა მაინც აუცილებელია. სტუდენტურმა სპექტაკლებმა დიდი გამოცდილება შემძინა. თან ისეთი ძლიერი პედაგოგების დახმარებით ვეუფლებოდი სამსახიობო პროფესიას, როგორებიც ვახლავთ: ლილი იოსელიანი და რევაზ მირცხულავა. მათი წყალობით დავხვეწე თამაშის ტექნიკა.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენი ქორწინებაც ერთი ნახვით შეყვარების შედეგი იყო, ისევე როგორც თქვენი პირველი ფილმი.

— მეგობრის ბანკეტზე გავიცანი ირინა. სხვათა შორის, მან იაქტიურა და ახლა საყვედურსაც ვეღარ მეუბნება...

ირინა:

— ეს მართლაც ერთი ნახვით შეყვარება იყო. მე სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ჩემთან ვქეთივობდით. ერთ-ერთმა ჯგუფელმა მოიყვანა ვახტანგი. მაშინ ის პოპულარული არ იყო. მხოლოდ თავის პირველ ფილმში იყო გადაღებული. სიყვარული იცით, როგორ ამიხსნა? — კარგი თმა გაქვს, შენი თმა მომწონსო, მითხრა... კარგა ხნის განმავლობაში სულ ამას მიმეორებდა. ბოლოს გაბედა და მითხრა: შენც მომწონხარო.

— ასეთი მორიდებული ხართ? — ვეკითხები ვახტანგს. — სიმო-

ვახტანგ ფანჩულიძემ ქართულ კინოში ბევრი საინტერესო, დასამახსოვრებელი სახე შექმნა და ემოციის, იუმორის, გრძობების ნამდვილი კორიანტელი დააყენა, მაგრამ მისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი მაინც კინოში დაბრუნებისა და ახალი როლების მოლოდინად იქცა.

ვახტანგ ფანჩულიძე — იგივე ბურნუთა, უკვე სამი წელია, რაც საქართველოდან წავიდა. როგორც უამრავი ქართველი, ახლა ისიც, ოჯახის რჩენის მიზნით, რუსეთში ცხოვრობს და მუშაობს. თბილისში კი მისი მომლოდინე ქალბატონი ირინა და მათი ვაჟი თემური მხოლოდ ფოტოებითა და იკლავენ მონატრებას. ეს ინტერვიუები ცალ-ცალკეა ჩანერილი, ამიტომ ჩემი რესპონდენტებისთვის ერთგვარი სიურპრიზიც იქნება.

რცხვე მსახიობის დამახასიათებელი თვისება ნამდვილად არ არის.

— რატომღაც ჰგონიათ, რომ მსახიობი უკომპლექსო უნდა იყოს. მე ასეთი არ ვარ. პირიქით, ძალიან მორიდებული ვარ. რეზო ესაძის ფილმში „ერთი ნახვით შეყვარება“ ჩემი გმირი საოცრად მორიდებულია. მეც ასეთი ხასიათი მაქვს. ემოციების უცბად გამოძვლავება არ შემიძლია და ბოლომდე მორცხვი ვრჩები. ალკოჰოლი, შედარებით თამამს მხდის. ჩემს ეზოში, ვგრძნობ, ყველას ვუყვარვარ და ყველანი ერთად სიამოვნებით ვსვამთ ხოლმე. უფრო ხშირად, თამადა მე ვარ. ასეთ დროს იმდენს ვსვამ, ყოველ დაღვევაზე თავს პირობას ვაძლევ: მორჩა, გათავდა, დამთავრდა ჩემი თამადა-მეთქი, მაგრამ დღემდე ეს ქაღილი ვერ ავასრულე.

— ვინც თქვენ გიცნობთ, ყველა აღნიშნავს, რომ ბავშვივით გულწრფელი და უშუალო ხართ ურთიერთობაში. მაგრამ მე ისიც გამიგია, არც მუშტი-კრისს რომ არ არიდებდით თავს. რომელია სიმართლე?

— არაფერი დაფარული არა მაქვს. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ სხვებისთვის გადაშლილი წიგნივით ვარ და არასოდეს ვცდილობ, ვინმეს ჩემი ხასიათის რომელიმე თავისებურება დავუმალო. კონტაქტში იოლად შევედივარ და ბოლომდე გახსნილი ვრჩები. ოჯახშიც არ მიყვარს აყალმაყალის ატენა. რაღაც ისე რომ არ კეთდება, როგორც მე მინდა, ვბრახლები. ვიტყვი საყვედურს ორჯერ-სამჯერ. თუ მაინც არ გაითვალისწინებენ ჩემს რჩევას, ვწუმდები: ვერიდები ზედმეტ ნერვიულობას. ახალგაზრდობაში ზოგჯერ „კურევილი“

კიდეც. ჩხუბით არასოდეს მიჩხუბია.

ირინა:

— მიუხედავად იმისა, რომ ეკრანზე რბილი და ლოიალური ჩანს, პირად ცხოვრებაში სერიოზულია. ასეთი იყო ყოველთვის. თუმცა მისი ყოველი მოქმედება შეზავებულია იუმორით.

თამარ (შვილი):

— მისი სერიოზულობა გამოიხატებოდა სიმკაცრეში ჩემ მიმართ. ბავშვობიდან ვვარჯიშობდი. მამა ვერ იტანდა, როცა ვაცდენდი. ერთხელაც, მოვედი სახლში და მკითხა: იყავი ვარჯიშზე? დიახ — ვუპასუხე — მოვატყუე. გახსნა ჩემი ჩანთა. თურმე კედლები ზონრებით ერთმანეთზე გადაუბამს. რომ მევარჯიშა, ჩანთასაც გაგხსნიდი და ზონარსაც. მან კი, ისევ ერთმანეთზე გადაბმული ზონრები რომ დაინახა, გადაირია... მცემა. საერთოდ, ასე მსგავსა ხოლმე. მაგრამ არ მახსოვს, ისევ თავად რომ არ შემრიგებოდეს. ღამით აუცილებლად მოვიდოდა და მომეფერებოდა. თვითონ უფრო ნერვიულობდა, როცა მსჯიდა, ვიდრე მე.

— კინოდან ნასვლის შემდეგ როგორი იყო ბურნუთა? არ გაუჭირდა ცხოვრება კინოს გარეშე?

ირინა:

— ალბათ, ყველა მსახიობი, წუთითაც არ უშვებს იმ აზრს, რომ დარჩა კადრს მიღმა. ვახტანგაც ასე ფიქრობდა... როცა მისი ფილმი გადაიღო ტელევიზიის ამა თუ იმ არხზე, დიდი ყურადღებით უყურებდა და იღიმიებოდა. მისი ყოველი დღე ალსავსე გახლდათ იმდენი, რომ ვიდაც დაუძახებდა და როლს მისცემდა. ალბათ, ნერვ-

იულობდა კიდეც, მაგრამ ჩვენთვის ეს არასოდეს უგრძობობინებია.

— ძველი მეგობრებიდან თუ შემორჩა ვინმე?

— გაა ბურჯანაძე და ვახო ერთად სწავლობდნენ. ისინი კარგი მეგობრები იყვნენ. შარშან ზამთარში მოვიდა ჩვენთან. ნასვამი იყო... ვახო უკვე ორი წელია, წასულია-მეთქი, ვუთხარი. ძალიან ეწყინა. ცუდია, აქ რომ არ გაუძარტლაო, გულწრფელი სინანულით მითხრა... ალბათ, არ გაუძარტლა, თორემ ნიჭიერი ნამდვილად იყო და შთამბეჭდავი ეკრანული სახეებიც შექმნა. მას ტრაგიკული ბედის, რთული და არასტანდარტული ადამიანები უყვარს და ყოველთვის უნდოდა ასეთი გმირების ეკრანზე გაცოცხლება. მისთვის საოცნებოდ დარჩა ელგუჯასა და ჰავი-მურატის როლები.

— ბატონო ვახტანგ, ახალგაზრდობაში რა ოცნებები გქონდათ და თუ შეძელით მათი ასრულება?

— მეზღვაურის ფათურაკებით აღსავსე ცხოვრება მომეწონდა. ოცნებებში, ხან ქარიშხალს ვებრძოდი, ხან კი უცხო ქვეყნებში ვმოგზაურობდი. მაგრამ მეზღვაურობა ბავშვობის ოცნებად დარჩა. ასტრონომიაც ბავშვობიდან მიყვარდა. ვარსკვლავებთან მიახლოება ისეთი ძალით მეწადა, რომ გადაწყვეტილი მქონდა, მფრინავი გამოვსულიყავი. ყოველთვის მაინტერესებდა იმის გაგება, მარტონი ვართ თუ არა ამ უზარმაზარ სამყაროში და არსებობს თუ არა სადმე, დედამიწის მსგავსი სხვა პლანეტაც. იყო პერიოდი, როცა მფრინავ თევზებთან კონტაქტში შესვლასაც ვცდილობდი.

— გამიგია, ბურნუთა მთის წვერზე იჯდა და მფრინავ თევზს ელოდა, სტუმრად ჰყავდა უცხოპლანეტელები დაბატონებულიო...

— ქართველებს გვიყვარს ყველაფრის იუმორად ქცევა. ისე, მსგავსი შემთხვევა ნამდვილად იყო... რაჭაში ვისვენებდი. არის იქ ერთი ულამაზესი სოფელი — სევა. მერწმუნეთ, იმ ადგილას ცა ყველაზე



„ვალსი მთაწმინდაზე“, ხათუნა ხობუასთან ერთად

მეტადაა ვარსკვლავებით მოჭვდილი... მართლაც, ვიჯექი რამდენიმე ღამე ტრიალ მინდორში და როგორც ხაზებს ჩემს ხელისგულზე, ისე შევეყრებდი ვარსკვლავთა ტრასებს ზეცაზე... ალბათ, ვგრძობდი, უცხოპლანეტელები ჩემთან კონტაქტში უნდა შემოსულიყვნენ. ვიცოდი, წამოყვანდნენ თავიანთ პლანეტაზე და მიჩვენებდნენ ჩვენთვის ესოდენ მიუწვდომელ სამყაროს.

— რით დასრულდა თქვენი მოლოდინი?

— მერწმუნეთ, კარგად დასრულდა.

— როგორც ვხედავ, სშირად გეძალბებთ ხოლმე სევდა...


— უნდა გამოგიტყვიო, რომ სშირად ვფიქრობ ხოლმე კაცობრიობის დასასრულზე. მაგალითად, დედამიწაზე სიცოცხლე რომ შეწყდეს, ან მზე რომ აფეთქდეს... ამ ფიქრმა ისე შეიძლება გამიტაცოს, რომ მთელი კვირა ცუდ გუნებაზე ვიყო. ზოგჯერ რაიმე სერიოზულის გაკეთება რომ მინდა, ხელს ჩავიქნევ და ვიტყვი ხოლმე: რა აზრი აქვს? — მაინც ხომ უნდა მოვკვდეთ-მეთქი... ალბათ ომარ ხაიაშის პესიმოზმი მჭირს.

— იქნებ, ესეც კინოს ნოსტალგიით გამოწვეული სევდის თავისებური გამოვლინებაა?

— ჩემთვის ხალხის სიყვარული ყველაფერია. ყველა მცნობს. არავის ავიწყდება ბურნუთა. ქუჩაში მაჩერებენ. ბაზარში გავლა მიჭირს: ყველას უნდა რაღაცით მასიამოვნოს, ზოგი სასმელსაც მთავაზობს. მეც ვსვამ თითო ჭიქას ყველასთან. ძალიან პატივად ვარ საიმისოდ, რომ ასეთი მცირე სურვილიც არ შეგუსრულო ადამიანებს... კინოს ნოსტალგიით ვცხოვრობ და მე მგონი, ეს ნორმალურიცაა. როცა ჩემს ფილმებს ვუყურებ, სევდა განსაკუთრებით მაშინ მიმძაფრდება. თუმცა ვთვლი, რომ ბედნიერი კაცი ვარ, ცოტა ხანს მაინც რომ ვიცხოვრებ კინოს სამყაროში. რეზო ესაქმე ფილმზე რომ მიმიწვია, ცხადია, დაბნეული ვიყავი. გამამხნევა და მითხრა:



„ხარება და გოგია“, მარიკა ჭიჭინაძესთან (მარცხნივ) და ნინო თარხან-მოურავთან ერთად



შვილთან ერთად. 1988 წ.

კინოს ყველაზე დადებითი თვისება შენთვის ის იქნება – როგორც ახლა ხარ, ასეთი დარჩები წლობით ეკრანზე, მაშინაც კი, როცა დაბერდები და დაჩაჩანაკდებიო. ეს მართლაც საოცრად დიდი ღირსება ყოფილა და თუნდაც ამის გამო, შეუძლებელია, თავი ბედნიერ კაცად რომ არ ჩავთვალო.

— თვით გადაღებებიც ბევრი საინტერესო ამბით დაგამახსოვრებოდათ...

— საშა რეხვიაშვილი იღებდა ფილმს „ანთიმოზ ივერიელი“... უამრავი რუსი მსახიობი დააკავა ამ ფილმში. ერთ-ერთი კადრისთვის კი ოცი ულამაზესი გოგონა რუსეთიდან ჩამოიყვანა... მასსოვს, იყო ასეთი შემთხვევა: გადაკეტეს გზა, რადგან კამერა სწორედ სამანქანო გზაზე იდგა... რუსი გოგონები შიშვლები იწუნენ წყლის პირას და მზეს ეფიცებოდნენ. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა კახელები ძალზე გაგვიანწყენდნენ. გახსოვთ ალბათ ფილმში – „სიყვარული ყველას უნდა“, არის ასეთი ეპიზოდი: ვენახში დგას გივი ბერიკაშვილი და ჩხუბობს, – ჯერ რა დროს ცოლია, ეს რთველი ჩავათათ და მერე ცოლსაც გათხოვებ და ცოლისდასაცო... ისე განრისხდნენ ამის ნახვისას კახელები, რომ ცოტა არ იყოს, შეგვაშინეს კიდევ მუქარით... სულ ვფრთხილობდით. ამიტომ, როცა დავინახეთ, მანქანა მთელი სისწრაფით მოქროდა ჩვენკენ, ვიფიქრეთ, ნამდვილად კამერას დაგვიმტვრევს-თქო. მანქანა გაჩერდა. გადმოხტა იქიდან რამდენიმე კაცი და გამოიქცა ჩემკენ. მე მღვდლის ანაფორა მეცვა და თმა მქონდა ყვითლად შეღებილი. ამის გამო შეიძლება,

ვერც ვეცნე მათ. ამ იმედით გამხნეებული, არ გავიქეცი. მტაცეს ხელი და სულ ლანძღვა-გინებით შემაგდეს მანქანაში. უნდა გენახათ, როგორ მობრუნდნენ ჩემს საშველად შიშველი გოგონები და თავად საშა რეხვიაშვილი. თვალის დახამხამებაში გამოკეტეს, მერე კი დაერივნენ შიშველ რუსებს და თან წვიროდნენ: არ ჩააცვათ, ვერე წამოიყვანეთო. მაგრად შევშინ-

დით... თურმე მოწყობილი საქმე იყო. გაკოჭილები პირდაპირ ქორწილში მიგვიყვანეს. ასე უცნაურად გადაგვიხადეს სამაგიერო. დაუვიწყარია ის ქორწილი ყველა მათგანის ცხოვრებაში, ვინც მაშინ გადაღებაზე იყო.

— რუს ქალებზე გამახსენდა — თქვენი პირველი გატაცება ხომ სწორედ რუსი გოგონა იყო?

— გატაცება კი არა — სიყვარული! მაშინ მეუღლე არ მყავდა და, ცხადია, თავისუფალი არჩევანის უფლება მქონდა. რეზო ესაძის ფილმში ვთამაშობდით მე და ის გოგონა ერთად. გახსოვთ ალბათ, შშვენიერი ნატაშა იურისდიკაია. ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი. მართალია, ეს ერთი ნახვით შეყვარება არ იყო, მაგრამ ჭეშმარიტად გულწრფელი და წმინდა გრძნობა გვექონდა ორივეს. მერე მოხდა ისე, რომ რეჟისორმა ფილმი დასამონტაჟებლად თბილისში წამოიღო. ჩვენ დროებით დავშორდით ერთმანეთს. მასსოვს, როცა კი საშუალებას გამოვნახავდი, მაშინვე ლენინგრადში ჩავიღოდი ნატაშას სანახავად. მაგრამ ჩვენი გზები არ გადაიკვეთა. შეიძლება, გადამწყვეტი ამ შემთხვევაში ბედისწერა იყო. მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი. ჩემს რეჟისორს თვალეში შეეყურებდი, მისი ყოველი სიტყვის მჯეროდა. ქართველმა კაცმა ქართველი ქალი უნდა შეირთოს ცოლადო, — მირჩია და მეც მისი რჩევა გავითვალისწინე.

— არ გინანიათ?

— მე არაჩვეულებრივი მეუღლე მყავს. ის დიდ სიყვარულსაც იმსახურებს და დიდ ერთგულებასაც. კაცს უნდა გეყოს ბედნიერება. ბედნიერება კი კაცისთვის ისაა, სახლში რომ მოსიყვარულე ცოლი გელოდება, შეცდომებს გაბატობს, შვილს გიზრდის და მომავალს გიქმნის. ახალგაზრდობაში ბევრი რამ გეპატიება. მეც მიღალატია ცოლისთვის. იყო პერიოდი, როცა რუს ქალებშიც „დავებრუნდო“, მაგრამ ცხოვრება ჩემი შვილისა და ცოლის გარეშე წუთითაც არ მნდობებია.

— ქალბატონო ირინა, რთულია მსახიობის მეუღლის ხვედრი?

— ზოგჯერ კი. იყო პერიოდი, როცა ვახო სახლში იშვიათად მოდიოდა. თვეობით გადაღებებზე იყო. წუთით შემოირბენდა და ისევ გაიქცეოდა. მასსოვს, ერთხელ ღამით მოვიდა. გარეთ მანქანა ელოდებოდა. სანამ მე და თემური გავიღვიძებდით, ისევ წავიდა. მაგრამ როცა ერთად ვიყავით, ყველა ჩვენ შემოგვნატროდა... სულ მეზუმრებოდა. შეეძლო თემური გარდერობში ან კომოდის უჯრაში დაემალა და მერე ჩემთან ერთად მთელი დღე ეძებნა — აქაოდა, ბავშვი სადღაც გაგვეპარაო... მასსოვს, ერთხელ ვიკამათეთ. განაწყენებული, მეგობართან წავედი და წერილი დავტოვე: „ცოტა შემაგვიანდება, არ ინერვიულო. ირინა“. შინ გვიან დაგბრუნდი. წერილზე მინაწერი დამხვდა: „მეც“...

თიამური:

— მამა ყველაფერს იუმორით აკეთებდა. ბავშვობაში ვითხოვდი, ძილის წინ ვინმეს ზღაპარი მოეთხრო ჩემთვის. მომიწვებოდა მამა და მიაბობდა აუცილებლად, მხოლოდ ერთ ზღაპარს. დაიწყებდა თხრობას: „იყო ერთი ბაყაყდევი. გაუღდა გზას. იარა, იარა და...“ „მერე, მერე რა ქნა?“ — ვკითხებოდი. ის კი მპასუხობდა: „ჯერ გზაშია...“ წარმოიდგინეთ, ის ბაყაყდევი დღემდე გზაშია... ■



„ვალსი მთაწმინდაზე“, ხათუნა ხობუასთან ერთად

სსსრ-ის რეპრესიები და უსუსრე პარტიკლავი უფილს

რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ჯეჯორის (რიონის მარცხენა შენაკადი) სეობაში, ზღვის დონიდან 1280 მ-ზე მდებარეობს სოფელი ცხმორი. ვინც იქ ერთხელ მაინც ყოფილა, ალბათ, ვეღარასოდეს დაივიწყებს ცადაზიდული კლდეებისა და კლდეთა სიღრმეში ჩაკარგული ჩანჩქერების სილამაზეს. ვინუღივით ცივი წყაროებისა და სამკურნალო წყლების სიმრავლე განუმეორებელსა და დაუფინყარს ხდის ამ სოფელს. ამგვარი ბუნება ქმნის

ალბათ, ადამიანებს გასაოცარი ძალის პატრონებად, რადგან ცხმორელთა ვაჟკაცობა და ძალ-ღონე თაობიდან თაობას გადაეცემა. ჩემმა რესპონდენტმა მბსილ მბისურაძემ უკვე რამდენიმე წლის წინ შეასრულა ცხრა ათეული წელი და ისე კარგად გამოიყურება, საუკუნეზე გაცილებით მეტს იცოცხლებს ალბათ... ბატონი ვასილი, ცხმორის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, ახლა ძველი ამბების გახსენებითა კმაყოფილდება.

ლელა ჭანკობაძე

– უწინ ყველა ოჯახში იყო ბავშვი, ახლა კი ისეთი ოჯახი, რომელშიც აკვანი ირწოდეს, ცხმორში აღარ არის. მხოლოდ მოხუცები ვართ დარჩენილები. ახალგაზრდები თბილისში წავიდნენ. აქ ისეთი სახლი არ არის, მის მპატრონეს თბილისში შვილები ან შვილიშვილები რომ არ ჰყავდეს. ოცი-ოცდახუთი ვლენი თუ რჩება ზამთარში, დანარჩენები ქალაქში მიდიან. მოხუცებს აქ გვტოვებენ. კაცმა არ იცის, როგორ გაუძღვებ ჭარმაგი ვლენი ზამთარს – ან მოკვდება, ან დარჩება... ყველაზე უხუცესი ჩვენ შორის კასანია: ის 1905 წელშია დაბადებული. მას მოჰყვება კოწია, პოპინა და შემდეგ ვარ მე.

– ძლიერი სოფელი იყო უწინ ცხმორი?

– ძალიან ძლიერი, შეკრული და ბენიერი. ყველა ოჯახს ჰყავდა გამწევი ძალა. 120 უღელი ხარი ჰყავდა სოფელს. ოთხი კოლექტივი იყო ჩაბოყალიბებული, ყველა შრომობდა. ახალმა მთავრობამ სოფელს კარგი არაფერი გაუკეთა, გარდა იმისა, რომ თავისუფლება გვინდოდა და მოგვცა კიდევ ეს თავისუფლება: გინდა – დათესავ, გინდა – დახნავ, არავინ არ შეგაწუხებს. თუ გინდა, სულ არ იმუშავებ და შიმშილით მოკვდები. არც ამას დაგიშლიან. არავინ შეგეკითხება: რატომ შიმშილობო?..

– ახალ მთავრობაზე ნანყენი ჩანხართ...

– მთელი ცხოვრება იმ სახელმწიფოს ვემსახურე, რომელმაც ბოლოს ამ სამსახურისთვის დამსაჯა, დამაყაჩაღა, სალაროში შეტანილი დასამარხი ფული წამართვა. არ არის ეს ყაჩაღობა?! ამ მთავრობამ ხალხს სიამაყე წართვა... ესა ყველაზე საშიში და დამღუპველი. სოფელი უმწეობასა და უძღურებას შეეჩვია. ჩვენი წინაპრები ასეთები არ



ვასო მაისურაძე

იყვნენ.

– ამბობენ, ცხმორს გასაოცარი ჯან-ღონის მქონე ვაჟკაცები ჰყავდა, მათი საქმეები ლეგენდებადაც კი ქცეულაო.

– მე მხოლოდ იმ ამბებს გაგიმხელთ, რაც ხალხს საკუთარი თვალით უნახავს. ჩემი ბაბუა – ვასილა ძალზე შეძლებული და ძლიერი კაცი იყო. მის ვაჟკაცობაზე მეზობელ სოფლებშიც ლაპარაკობდნენ და მარჯვენას უქებდნენ. ერთ საღამოს ცოლმა დაუძახა: საქონელი არ მოვიდა და უნდა წახვიდე მოსაძებნად. რა თქმა უნდა, ვასილა წავიდა. იოლი საქმე ზომ არ არის, მარჩენალი ძროხისა და ხარ-კამეჩის დაკარგვა! კარგა ხნის ძებნის შემდეგ, თავისი ძროხა იპოვა – თურმე ბევრი ბალახი უჭამია და მომკვდარა. სახლიდან შორი მანძილი იყო. უკან უნდა დაბრუნებულიყო, რათა დანა წაეღო, რომ ძროხა დაეკლა და გაეტყავებინა. უწინ ტყავს არავინ ავლებდა – ტყავით ქალამნებს იკერავდნენ. მკვდარი ძროხის ხორცს კი ძალღებს აჭმევდნენ. ვასილას დახარება დანისთვის აღმართზე ასვლა და ჩამოსვლა. გაუღია ძროხა ბეჭზე და აძოუ-

ტანია სახლში. შეწუხებულან ძმები – მარტომ რატომ იწვალე, ვერ შეგვატყობინეო? უმცროსი ძმისთვის უთქვამს ვასილას: აბა, დოქით ღვინო მოიტანე, სული რომ მოვითქვაო. შემდეგ კი მოუყვებია დოქი და სულმოუთქმელად გამოუცლია, დოქში დარჩენილი ღვინის რამდენიმე წვეთი ცერზე დაუქცევია – ასე მტერი დაგვეცალოსო. აი, ასეთი ბაბუა მყავდა მე.

– ასეთი ძლიერები, ერთეულები იყვნენ თუ სოფელში ბევრი ჯანიანი კაცი სახლობდა?

– ყველანი ძლიერები იყვნენ, ერთეულები კი, გასაოცარი ძალით გამოირჩეოდნენ... ცხმორელები: როსაკა, სიმონა, ბასილა, გერასიმე და კოსტა მაისურაძის მამა ფრიდონა ყოფილან ონში წასულები. პარასკევ დღეს იქ დიდი ბაზრობა იმართებოდა. იქიდან დაბრუნებულები, როგორც კი გამოსცდნიან მუკე წყლებს, დასასვენებლად გაჩერებულან, სოფლამდე ჯერ დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი. სიმონ მაისურაძეს უთქვამს: ვინც მე ბეჭზე დამიჯენს და ისე ამიყვანს ცხმორში, კარგ პურმარულს გაუშლიო. გერასიმეს უპასუხია: კიდევ ავიყვან ცხმორში და კიდევ გაქეიფებო; დაუწყიათ ბჭობა და ბოლოს, ასე შეთანხმებულან: გერასიმეს უნდა შეესვა ბეჭზე სიმონა და ცხმორში ასე მიეყვანა, მხოლოდ ერთი პირობით, ნახევარი გზის გავლის შემდეგ, საკვირაოზე უნდა დაესვენათ. სიმონა გოლიათივით დიდი კაცი იყო. გერასიმეს რომ დაუჯენია ბეჭზე, ისეთი სანახაობა შექმნილა, თითქოს თავად სალი კლდე მოდიოდა. საკვირაოზე მართლაც შეუსვენიათ. გერასიმეს ჩიბუხი მოუწევია და ისევ გაუგრძელებიათ გზა... ცოლს რომ დაუნახავს, ჩემი ქმარი მხარზე შესმული მოიყვანესო, კივილი დაუწყია: დავიღუპე, ნამდვილად მომიკვდაო... კივილზე მთელი სოფელი შეყრილა და

ამიტომაც დაუნახავს დიდსა თუ პატარას, როგორ ამოიყვანა ზურგით გერასიმემ გოლიათი სიმონა... ეს ამბავი შეიძლება უცხოეთის გასაკვირი იყოს, ცხმორელ კაცს კი არ გაუკვირდება, რადგან ცხმორს ბევრი უფრო ძლიერი და მკლავმაგარი ვაჟკაცი გაუზრდია.



კოსტა მაისურაძე

სტას კი იქიდან გადმოუგდია და დაუწყიათ ამ უზარმაზარი ქვით ბურთობა. ასეთ რამეს არათუ მრავალძაღულები, სხვა ვერც ერთი მხარის ადამიანი ვერ შეძლებდა ალბათ. რა თქმა უნდა, ჯვარი პირველად ცხმორელებს დასწერეს.

— ისეთ სოფელში, როგორც ცხმორია, ალბათ უნინ ქორნილიც სამაგალითო და დაუვინყარ ზეიმად იქცეოდა ხოლმე. იქნებ ვინმეს ქორნილი გაიხსენოთ, ან საქორნილო რიტუალი აღგვიწეროთ?

— შქმერიდან გამოდიოდა ხოლმე ყველაზე კარგი მაყრიონი. როგორც ახლა „მერსედესით“ იწონებენ თავს, უწინ ცხენი ითვლებოდა ღირსებად: შეკაზმული ცხენი უნდა გელოდოდა, ყაბალახი და ნაბადი გქონოდა და სასიძოდ, ვეღარავინ დაგიწუნებდა. შქმერელები ისეთ „მაყრულს“ მღეროდნენ, ჩიტიც კი სმენად გადაიქცეოდა ხოლმე... ცხმორში იყო ქორწილი: ხარიტონ მაისურაძეს მოჰყავდა ქალი შქმერიდან. კოსტა მაისურაძე ახალი ჩამოსული გახლდათ ბაქოდან, ჩვენს სოფელს კი ასეთი ტრადიცია ჰქონდა: სოფლის სტუმარი აუცილებლად მაყარში უნდა წაეყვანათ. დაახლოებით ორმოცი კაცი წავიდა შქმერში, მათ შორის კოსტაც. რადგან უწინ ხელმოუწერელ და ჯვარდაუწერელ ქალს ოჯახიდან არ გამოუშვებდნენ, ჯვრისწერა შქმერის ეკლესიაში უნდა შემდგარიყო. შქმერში ეკლესიას უზარმაზარი ქვის გალავანი არტყია, მოხდა ისე, რომ ცხმორელ მექორწილეებზე ადრე მრავალძაღულები მივიდნენ ჯვრის დასაწერად და მოითხოვეს, პირველად მათთვის დაეწერათ ჯვარი. ატყდა კამათი. ისე დაიძაბა მდგომარეობა, რომ მღვდელმა განაცხადა: გალავანში „საჯილდო“ ქვა გვაქვს, რომელი სოფლის წარმომადგენელიც აწევს ქვას, იმათ დავეწერ პირველად ჯვარსო. გამოსულა კოსტა და უთქვამს ასევე ცხმორელი კაცისთვის: ალექსი, აიღე ქვა და გალავანს იქით გადმომიგდო და გადამხტარა გალავანზე. ალექსი კობერიძეც დიდი ფიზიკური ძალის პატრონი იყო. აუწევია ქვა და იმხელაზე გაუსროლია, რომ გალავანზე გადაუგდია, კო-

კოსტა მაისურაძე ალბათ განსაკუთრებით გიყვართ ცხმორელებს...

— ცხმორში დაიბადა კოსტა მაისურაძეც, სახელოვანი ქართველი ფალავანი. მისი სახლი დღესაც დგას ცხმორში. ცხმორელებს ეამაყებთ დაუჯერებლად ძლიერი, ლეგენდარული მოჭიდავე, მათ მიწაზე რომ გაიხარდა. იყო დრო, როცა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფალავნები სიხარულით ჩამოდიოდნენ თბილისში კოსტასთან შესახვედრად, რათა საკუთარი თვალით ენახათ იგი და გამოეცადათ... საქართველოს მიწაზე კოსტა არასოდეს დავარდნილა ბეჭებით. მიუხედავად იმისა, რომ უწინ მსოფლიო ჩემპიონატები ოფიციალურად არ იმართებოდა, მთელი მსოფლიოს ფალავანთა შორის კოსტა იყო აბსოლუტური ჩემპიონი. ვერავინ შეძლო მისი დამარცხება. ასეთი ფალავანი მაშინდელ მსოფლიოში არ მოიძებნა. ბეჭდაუდებელი ფალავანი 37 წლის ასაკში პირველად დამარცხდა. მისი დამარცხება მხოლოდ სიკვდილმა მოახერხა. ონის სამხარეო მუზეუმში დღესაც ინახება 11 მმ-იანი სისქის რკინა, რომელიც კოსტამ მაჯაზე დაიხვია.

— ყველაზე კარგი მსმელი ვინ იყო თქვენს სოფელში?

— კოსტა მაისურაძის ძმის სიმამრი ადღგომელა გლოველი შქმერელი იყო

და ის ითვლებოდა საუკეთესო მსმელად. წერეთლის წვეულებაზე ჩასავალი მოუხადეს თურმე. ჩასავალი — ვეებერთელა ქვევრია, რომელსაც დიდი თავი აქვს, კაცი შიგ რომ ჩავიდეს გასარეცხად. ჭიქა არ მინდაო, — უთქვამს ადღგომელას: დაწოლილა მუცელზე. პირით შეუხვრებია ღვინო და ქვევრში ერთ მტკაველზე დაუყვანია. ჩვენს სოფელშიც იყო შეუდარებელი მსმელი — შალვა მაისურაძე. თან უგანათლებულისი ადამიანი. მას ცოცხალ ლეგენდას ეძახდნენ. იმდენ ღვინოს სვამდა, ვინ შეეჯიბრებოდა?! ის ზესტაფონის სამხედრო კომისარი იყო. უთქვამს: ვინც სმაში მაჯობებს, ჯვარიდან დაეტოვებო. თითქმის ყველა წვეკამდელს მიჰყავდა მასთან თურმე ვინმე კარგი მსმელი შესაჯიბრებლად, მაგრამ შალვას მჯობნი ვერავინ აღმოჩნდა. უამრავი სანაძლეო და შეჯიბრი მოუგია თავის სიცოცხლეში. ბულგარეთიდან ჩამოუყვანიათ ერთი კაცი, ასევე კარგი მსმელი. შეჯიბრებიან ერთმანეთს. 16-16 ლიტრი ღვინო დაუღვევიათ, ბულგარელი დაცემულა. შალვას კი ორი კათხა ღვინო კიდევ დაუმატებია. 18 ლიტრს ის თავისუფლად სვამდა. მისი მსგავსი ცხმორში სხვა არ დაბადებულა. სამსახურიდან შესვენებაზე რომ გამოდიოდა, რვა ბოთლ კონიაკს სვამდა.

ცხმორში სიმღერაც საუკეთესო სცოდნიათ. ყოველთვის კარგი გუნდი გვყავდაო — სიამაყით მითხრეს ცხმორელებმა და მათი თანასოფლელების კაკო მაისურაძის შემოქმედებით საღამოზე მიმიწვიეს. ბატონი კაკო ონის რაიონმა ღირსების ორდენზე წარადგინა. ის ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელია... მის რეპერტუარში ყველა კუთხის სიმღერებია შეტანილი.

— ბატონო კაკო, ძალიან პატარამ დაინყვთ დაკვრა. ცხ-



„ყველა ოჯახს ჰყავდა გამწვევი ძალა“

მორში თქვენზე ამბობენ: რაც ფეხი აიდგა, მას შემდეგ გუნდის ხელმძღვანელიაო. ასეა სინამდვილეში?



კაკო მაისურაძე

— ხუთი წლიდან ვმღეროდი და ვუკრავდი ფანდურზე. ფანდურზე დაკვრა მე თვითონ ვისწავლე. გიტარა დედამ მასწავლა, სალამური — მამამ. გარმონზე დაკვრაც ჩემით ავითვისე. VI კლასში უკვე სკოლის გუნდს ვხელმძღვანელობდი, ხოლო X კლასში ცხმორის სასოფლო გუნდის ხელმძღვანელად დამნიშნეს. გუნდის თითოეული წევრი 2-3-ჯერ უფროსი იყო ჩემზე. მათი ისე მრცხვენოდა, ხმას ვერ ვიღებდი. დამიკეტეს დარბაზის კარი და მითხრეს, სანამ არ გვამღერებ, აქედან არ გაგიშვებთო. რადგან ერთხელ დავძლიე სიმორცხვე, მერე აღარც გამხსენებია. თბილისში რომ წამოვედი, ჯერ ხალხურ საკრავთა საორგანოზე ვსწავლობდი, შემდეგ საგუნდო-სადირიჟოროზე. ზაქარია ფალიაშვილის ძმა — ბატონი ვახტანგ ფალიაშვილი მასწავლიდა. დიდებული და შეუღარებელი პედაგოგი იყო. სტუდენტობის წლებშივე ჩამოვაყალიბე ანსამბლი ერთ-ერთ პურის ქარხანაში, სამედიცინო სასწავლებელშიც შევეკრიბე გუნდი, მყავდა საბინაო სამმართველოსა და ბიბლიოთეკების გუნდებიც. მე და ომარ კელაპტრიშვილი ერთად ვსწავლობდით. ყველა კუთხის სიმღერებს ვმღეროდით.

— კიდევ რომელ საკრავებზე უკრავთ, ბატონო კაკო?

— სალამური, სტვირი, ჩონგური, ფანდური, გიტარა, გარმონი... ნებისმიერი ხალხური საკრავის ენა მესმის. მე მათ მოსასმენად ვარ დაბადებული. ქალაქ პერმში ვიყავი სამუშაოდ. იქ შევექმენი თხუთმეტკაციანი გუნდი. ინსტრუმენტები ჩემით გავაკეთე. სამუშაოდან დაღლილები რომ ვბრუნდებოდით, სალამურს ვაკვნივდით, რუსებსაც ვასწავლიდით ჩვენს ქართულ მრავალხმიან სიმღერებს...

— თბილისიდან რატომ წამოსვენდით? რატომ შემოფარგლეთ თქვენი ასპარეზი მსოფლიოდ რაჭით?

— მამაჩემი რომ დაავადმყოფდა, იძულებული გავხდი, ჩამოვსულიყავი ცხმორში და ოჯახისთვის მიმხედა. რაიონის ხელმძღვანელობამ მაშინვე გუნდი მომამაგრა... მერე დედაც გარდაამეცვა-

ლა. ავადმყოფი და დარჩა ჩემს იმედად. როგორღა მივატოვებდი?! თან, თუ გუნდის ჩამოყალიბება შეიძლებოდა რომელიმე სოფელში, ყველა მე შევექმენი, საქმეს ვეღარ მოვწყდი.

— თბილისელი მეგობრები და პედაგოგები როგორ შეგელივინენ?

— თბილისი დიდი ქალაქია, გენიოსებსაც კი შეეღევა. მე მაშინ ვინ ვიყავი?! მითვლიდნენ — ჩამოდიო, მეხვეწებოდნენ კიდევ, მაგრამ არ გამოვიდა.

— ცოლი რატომ არ ითხოვეთ? ნუთუ გული ქალაქში დაგრაჩათ?

— მიყვარდა თბილისელი გოგონა, პროფესორის ქალიშვილი. მე ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა კაცი ვიყავი, ამიტომ მისმა ოჯახმა კარგად მიმიღო. დაქორწინებაც გადავწყვიტეთ, მაგრამ სასიამაოროდ გამოაცხადა: ერთადერთი შვილი მყავს, გათხოვების შემდეგაც ჩემთან უნდა იცხოვროსო. ვითაკილე — ჩასიძებული კაცის სახელი არ მინდოდა დამრქმეოდა. რა თქმა უნდა, მოეტყუედი, შეცდომა დავეუმი... მერე, წლების შემდეგ მოვწონდი რამდენიმე გოგონას, ცოლობაზე ბევრი არ მეტყოდა უარს, მაგრამ გული მქონდა გატეხილი, აღარ მოვიწადინე. ალბათ ჩემი ბედიც ასეთი იყო.

— ბევრი სიმღერა გაქვთ, ბატონო კაკო?

— უამრავი. როცა გუნდები ოლიმპიადაზე გამყავდა, ყოველთვის ახალ-ახალ რეპერტუარს ვქმნიდი მათთვის. რაჭაში ყველამ — დიდმა თუ პატარამ იცის ჩემი „რაჭული“... სუფრიდან ისე ვერ ადგება რაჭველი კაცი, ჩემი დაწერილი ორი-სამი სიმღერა რომ არ შეასრულოს. უძველესი სიმღერები მაქვს მოძიებული და განძივით შენახული. ლენტეხში სვანური რომ იმღერა ჩემმა გუნდმა, უზუცესი სვანები სცენაზე ამოვიდნენ — უეჭველად სვანი იქნები, თორემ ასეთი ძირძველი სვანური სიმღერები არ გეცოდინებოდაო... ბენდიერი კაცი ვარ. გარეგნულად ღარიბს ვგავარ: ძროხებს ვუვლი და ძალზე მცირე მეურნეობა მაქვს, სინამდვილეში კი მე და ჩემი სახლ-კარი უდიდეს ეროვნულ განმსვინახავთ. ჩემი ღარიბული ბინა ქართული მრავალხმიანი სიმღერებითაა ფასდაუდებელი.



ბასილა მაისურაძე

— ზამთრის გადატანა არ გიჭირთ ხოლმე? თქვენ სომეხულ ზამთარს რაჭაში ატარებთ?

— ზამთარში ყველანი, ვინც სოფელში ვრჩებით, საღამოობით ერთად ვიკრიბებით. ვხუმრობთ, ვმღერით, სუფრას ერთად ვუსხდებით ხოლმე. გაგვყავს მუხთალი წუთისოფელი. ცხმორში სხვადასხვა გვარის შვილები ვსახლობთ, მაგრამ გვარებს არა აქვს მნიშვნელობა — ზამთარში ყველანი ერთნი ვართ...

უმდიდრესი სოფელია ცხმორი — თავისი ტრადიციებითა და ადამიანებით. განუმეორებელია იქაური იუმორი, თვალშეუღვამია ბუნების სილამაზე, თითქოს გასურათხატებული ედემია, რომელსაც დროულად უნდა მიხედვა, შესწავლა, შენარჩუნება და გამოყენება. სხვაგვარად ხვალ კიდევ ერთი დაცარიელებული სოფელი შეემატება მთას და კიდევ ერთ სოფელში აღარ გაისმება ომახიანი ქართული შეძახილი.

– გიორგი მასწ., მე კალიებს აღარ ვკვამ, აღარც ხოჭოებს. ჩვენთან მოდით რა, ისევ წავიყვანეთ... – რეკავს 12 წლის დენისი.

– მასწ., მე დედა ესტონელი მეყავს, მამა კიდე სომეხი, მე კიდე ქართველი (!) ვარ!.. – ამბობს 11 წლის მეგი.

– აქ ძალიან კარგია. ბევრ, ბევრ ხილს გვირიგებენ... – წერს 10 წლის თამუნა.

ეს მოზარდები თბილისის ისანი-სამგორის რაიონის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის „სათნოების“ აღსაზრდელები არიან. ამ ზაფხულს „გაუმართლათ“ და, როგორც თვითონ ამბობენ, კეთილმა ძიებმა და დედებმა მანავში წაიყვანეს დასასვენებლად. იქ გატარებულ დღეებს ყველაზე ბედნიერს უწოდებენ და უკვე მომავალ ზაფხულზე ოცნებობენ...

ჩვენი სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაცია-კავშირის – „იმედი და თანადგომა“ თავმჯდომარე, ეთნოლოგი მარინე ბოკუჩავა.

ელენე სალარიძე

– ფონდის – „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში გავიმარჯვეთ. ჩვენი პროექტი ასეთი იყო – საზაფხულო შემეცნებითი ბანაკი მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის. ჭიჭინაძის ქუჩაზე (ე.წ. „აფრიკაში“) მდებარე ბავშვთა სახლი შევარჩიეთ და მისი 30 ბინადარი მანავში წაიყვანეთ. ამ ზაფხულმა „აფრიკელი“ მოუთვინიერებლები“ (ასე ეძახიან თურმე მათ დასახლებაში) დაარწმუნა, რომ შეიძლება, მართლა იყვნენ ბედნიერები (ეს ყოველგვარი გადამტების გარეშე). ჩვენმა ჯგუფმა კი გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ამ ბავშვების შემდგომ ბედზე ვიზრუნოთ...

– ვინ არიან თქვენს ჯგუფში გაერთიანებულნი?



მარინე მასწალებელმა შუადღისას ერთხელ დააპირა თვალის წალუღვა, მაგრამ... ვინ დააყადა.

„აფრიკელი“ მოუთვინიერებლები“ მანავში

– ძირითადად ეთნოლოგები – მეცნიერები, რომლებიც ადამიანთა ყოფას და კულტურას შეისწავლიან. ეთნოგრაფი, თერაპევტი და ფსიქიატრიც გვყავს.

– როგორც ვიცით, თქვენს პროგრამაში ბავშვთა ფსიქორეაბილიტაციაც იყო ჩართული. რამ გამოიწვია ეს?

– თუნდაც იმან, რომ ამ პატარებს ძალიან აკლიათ ოჯახური სითბო, ყურადღება...

საუბარში ფსიქიატრი გიორგი გელეიშვილი ჩავეერთო:

– დიან, გარშემომყოფთა ყურადღების ნაკლებობა განსაკუთრებული სიმძაფრით მოზარდის ფსიქიკაზე იჩენს თავს. ამიტომ ვცდილობდით, პატარებისთვის სითბო და სიყვარული გვეწილავდა. რამდენად ვანერხებდით, ეს ბავშვების ნახატებშიც აისახა: პირველ დღეებში ილონამ შემოდგომის

დღის სულიერი მდგომარეობა ყველაზე უკეთ მის ნახატებში მჟღავნდება... გველი მთლიანობის არაცნობიერი სიმბოლოა, წრე – ოლითგან ღვთაებას აღნიშნავს. ამ ორი თემის გადახლართვა განუხორციელებელი სურვილია ოჯახური მთლიანობისა. მანავში ბავშვები შეუცნობლად ძერწავდნენ გველს (წრის ფორმით). თითქოს წარმოუდგენელიცაა, მაგრამ 10 წლის ბიჭი ძერწავს დედა გველს, მამა გველს და მათ წიწილას. ძერწავს და არ იცის, რომ ამით იგი ამჟღავნებს ოცნებას ოჯახზე. ერთმა გოგონამ ჩიტის ბუდე გამოძერწა სასაცილო კერცხებით, მეორემ – კალათა, რომელშიც ბევრი კი არა – სულ ოთხი ყვავილი მოათავსა... ესეც ოჯახისკენ სწრაფვის გამოხატულებაა.

– სხვაგვარად თუ გამოხატავენ პატარები ყურადღების დეფიციტს?

– დენისი ჭამდა კალიებს, მაისის ხოჭოებს, ბაყაყებს... შეიძლება, სხვისგან რომ გამეგო, არც დამეჯერებინა, მაგრამ მე თვითონ დავინახე, როგორ დაიჭირა ხვლიკი, კუდი მოაწყვიტა და... პირისკენ გააქანა. მაშინ ვერ მივუსწარი. სხვა გზა აღარ მქონდა და იმ წუთიდან დენისი განუწყვეტლივ ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა – ოღონდ ისე, რომ ბავშვს არ უგრძობია ეს. ვუყვებოდი ზღაპრებს, ნადირობის ამბებს (თავიდან არ მისმენდა, ცოტა ხანში კი, თვითონ მთხოვდა, რამე „გაჟაკცური“ მომეყოლა). ზოგჯერ, სახელდახელოდ მის-



დღის სეკლიანი სურათი დახატა, ასაკისთვის შეუფერებელი მუქი ფერებით. რამდენიმე დღის შემდეგ კი, გოგონა სულ სხვა სურათს ხატავს – მხიარულ, ზაფხულის დღეს, ხალისიანი ფერებით აფერადებს... მოზარ-

აი ისიც, „საზიარო“ დაბადების დღის გორგი

თვის შეთხზულ ამბებსაც ვუყვებოდი, რადგან ასეთ ბავშვებს „ბურატინოს თავგადასავლითა“ და „წითელქუდას“ ზღაპრით ნაკლებად დაინტერესებ...

— ე.ი. მკურნალობის მეთოდი ამ შემთხვევაში, სთბოსა და ყურადღების დეფიციტის შევსება ყოფილა...

— ასეა. როგორც კი დენისის მამართ თბილი ატმოსფერო შეიქმნა, რამდენიმე დღეში ბიჭს კალიებისკენ აღარ გაუხედავს. ამას წინათ ღამიერეკა და პირველი რაც მითხრა, ეს იყო, — კალიებს აღარ ვჭამო...

— ქალბატონო მარინე, გიორგი მოზარდებს ფსიქიატრის თვალით ხედავდა. თქვენ თუ ამჩნევდით ამ უცნაურად გამოხატულ ყურადღების დეფიციტს?

— ამის ვერდანახვა შეუძლებელი იყო. ერთმა გოგონამ შემთხვევით ხელი გაიჭრა. გიორგიმ დაუშუშავა, ბრილიანტის მწვანე წაუსვა და... რამდენიმე წუთში მეორე გოგონა მოვიდა გააკარული თითით. ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო... ერთ საათში ლამის 30-ივე ბავშვს მწვანედ აუჭრელდა ცხვირ-პირი და ხელ-ფეხი... დიდი გამოძიება არ სჭირდებოდა იმას, რომ ოღონდ ვინმე მოფერებოდა, ოღონდ სითბო გამოეჩინა და ძალით იკაწრავდნენ სხეულს... ერთ ფაქტსაც გეტყვით: ქალები პატარა გოგონებს ვაბანავდით. ერთ მშვენიერ დღეს, 14 წლის ინგამ მთხოვა: მეც დაბანეთ, რა, მარინე მასწ...

ბავშვები მაინცდამაინც კარგი სწავლით არ გამოირჩევიან. „სათონების“ სახლიდან ახლომდებარე სკოლაში კი დადიან, მაგრამ... ყველა მდინარეს, მტკვარს ეძახიან, მსოფლიოში მათთვის სულ რამდენიმე ადგილი არსებობს: თბილისი, „აფრიკა“ (სადაც მათი „სახლია“), და ახლა ამ სიას მანავი დაემატა... ეს მათი ნაწერებიდანაც ივრძნობა. თუმცა, არც ერთს არ ავიწყდება, რომ მაღლობა გადაუხადოს ძა ჯორჯ სოროსს... მაგრამ გამორჩეულია 12 წლის ზაზა არნანიამვილის წერილები. ქვემოთ ერთ მათგანს ვთავაზობთ (სტილი დაცულია):

„ერთ გაზაფხულის მშვენიერ დღეს ჩვენთან მოვიდა ორი კარგი მარინე და ნათია დეიდები, რომლებმაც დირექტორს უთხრეს თქვენი ბავშვები დასასვენებლად უნდა წავიყვანოთო. ჩვენ ავტებზე ყრიამული. წარმოიდგინეთ ჩვენ ხომ არას-



ნატო და ნათია დები არიან. ორივეს უნდა დიდი, ძალიან დიდი სახლი ჰქონდეს

დროს არ ვყოფილვართ დასასვენებლად. წავიყვანეს ზღაპარში, მართაღს გეუბნებით, ჩვენ ხომ ნამდვილი ზღაპარი დაგვხვდა. ბევრი რამე ვნახეთ. ეს არ ვიცი, რას შევადაროთ. ყველა ივლისში დაბადებულ ბავშვებს გადაგვიხადეს დაბადების დღე. ჩვენ თვითონ შევწვით მწვადები, ზოგი ცეცხლს ანთებდა ზოგი შამფურზე ხორცს აგებდა. დიდი დიდი ტორტი გავკვიკეთეს.

თურმე ბიძია ჯორჯ ეს ბენიერი დღეები თქვენის წყალობით ყოფილა. ნეტავ მანახა თქვენი თავი და მიინდა რომ ბევრი და ბევრი გაეცოტო. ბიძია ჯორჯ, თქვენ მსოფლიოში ყველაზე კარგი ბიძია ხართ“.

— ალბათ, როგორ გაინარება, ვისი დაბადების დღეს ივლისში იყო.

— გამოვაცხადეთ, რომ ივლისში დაბადებულ ბავშვებს დღეობას გადაუხადილით. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ

ჰქონდა, როცა აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ბავშვი... ივლისში იყო დაბადებული. საღამოს მათ პირად საქმეებში ჩავიხედეთ და, ასეთი მხოლოდ ორი მათგანი აღმოჩნდა. აქაც იგივე — ყურადღების დეფიციტის ფაქტორი. რა გაეწყობოდა — ყველას ერთად გადაუხადეთ ერთი დიდი დაბადების დღე. ყველას მოვუშნადეთ საჩუქრები. ყველამ ერთად ჩააქრო სანთელი „საზიარო“ ტორტზე. დაჭრამიც თვითონ გვეხმარებოდნენ, ცდილობდნენ, ტორტის გარეშე არავინ დარჩენილიყო.

— ახლა ისევ თქვენს ახალდაარსებულ კავშირს დაგუბრუნდეთ. რის გაკეთებას აპირებს „იმედი და თანადგომა“?

— საქართველოში 40-ზე მეტი ბავშვთა სახლია, სადაც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელები არიან, ძირითადად 13 წლამდე. შემდეგ აგზავნიან სკოლა-ინტერნატებში ან ოჯახებში აბრუნებენ. ოჯახებში, სადაც მათ სათანადო პირობები არა აქვთ და თვითონ უწევთ მძიმე ტვირთის აკიდება... უარეს შემთხვევაში კი, პირდაპირ ქუჩაში ხვდებიან. ჩვენი ორგანიზაციის ამოცანაა, შევქმნათ ბავშვთა სახლი 13-დან 17 წლამდე მოზარდებისთვის. ახლის აშენება ალბათ არ დაგვჭირდება, რადგან თბილისში ახლა უამრავი მიტოვებული, ნახევრად დანგრეული ან გაძარცვული შენობაა. იმედი გვაქვს, ჩვენი პროგრამა კვლავ გაიმარჯვებს...

სურათის გადაღება ბიჭებსაც მოსწონთ. მარჯვნივ დენისია, რომელიც ახლა კალიებს აღარ ჭამს



რეაქციონარი



ერთადერთი სიამოვნება ცხოვრებაში – ეს არის განუწყვეტელი მისწრაფება.
ემილ ზოლა

დარდის განდობით დარდს იმსუბუქებ.
პიერ კორნელი

თუ გსურს ცხოვრება წყნარი და გრძელი, არ გაიხსენო ტკივილი ძველი; არ დაიდარდო, ერიდე წყენას, აწმყო იწამე, ეძალე ღხენას, კაცთმოძულეობით არ დაზიანდე და მომავალი ღმერთებს მიანდე.
იოჰან ვოლფგანგ გოეთე

გატაცების გარეშე ცხოვრება არ არის!
ჟან ფრანსუა შამპოლიონი

საფრთხეს უნდა შეეგებო, კი არ ელოდო.
ალექსანდრ სუვოროვი

ბედნიერება მათი ხვედრია, ვინც ბევრს შრომობს.
ლეონარდო და ვინჩი

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.
შოთა რუსთაველი

რისხვას აქვს საფუძველი, მაგრამ იშვიათად – დამაჯერებელი.
ბენჯამინ ფრანკლინი

ვიდრე ადამიანი ცოცხალია, იმედი არ უნდა დაკარგოს.
ლუციუს ანეუს სენეკა უმცროსი

ჩოგონი ვახნაძე ჯგისშვილის ნაგვანრიყოლი

„აგიაშვილნი არიან
მასხარაშვილები ძველად?!“
იბაკო ახუაშვილი

მასხარაშვილების მენსიერებას ასეთი გადმოცემა აქვს შემონახული: „მასხარაშვილთა გვარის ფუძემდებელია სიმონ აგიაშვილი. იგი მეფესთან დაახლოებული პირი ყოფილა. იყო მეფის მრჩეველი. რაღაც საკითხის გამო უთანხმოება მოსვლია ხელმწიფესთან. მეფეს ხმლისთვის დაუვლია ხელი და სიმონისკენ გაწეულა. მეფის მცველები გადაჰფარებიან. მეფეს მოუხერხებია და ცალი ყური ჩამოუთლია, აზნაურობამდე ჩამოუქვეითებია და მასხარა შეურქმევია. აქედან დაწყებულა ახალი გვარის – მასხარაშვილის ათვლა“. გვარის წარმოშობის ადგილებად ასახელებენ რაჭას (ონისა და ამბროლაურის რაიონებს).

სინამდვილეში მათი ადრინდელი გვარი ომათმათიძე ყოფილა. ისტორია შემდეგს გვამცნობს: „XVII საუკუნეში იმერეთის მეფეს თურქებთან ომი ჰქონია. ომის დროს, სხვებთან ერთად მეფის ლაშქარში ომათმათიძეებიც (ისტორიულ წყაროებში ეს გვარი ორივე ნაირადაა მოხსენიებული. – ავტ.) ყოფილან. ერთ-ერთ ომათმათიძეთაგანს ომში თავისი გმირობით ყველა გაუკვირვებია. მისი ვაჟკაცობით აღფრთოვანებულები იძახდნენ თურმე: „აგია ნამდვილი მამულისშვილი, აგია შვილიო“. მეფეს ომათმათიძის მამაცობით ომი მოუგია და მისი გმირობის აღსანიშნავად ომათმათიძეებისათვის აგიაშვილი უწოდებია“.

ომთამათიძეების გვარი დავით აღმაშენებლის დროიდანვე ჩანს და ფრიად დაწინაურებულიც არის. „დიდებული“ გვარი იყო და თავის „დიდებულობის“ დამადასტურებელი



სენათმამულები


ლი ხსენებული მეფის „გუჯარიც“ ჰქონდა. წყალობის წიგნში მეფე ალექსანდრე III ციხისთავ იოვანე ომათმათიძეს ეუბნება: „ხელმწიფის კურთხეულის დავით აღმაშენებლის გუჯარი მოიტანეთ თქვენის ოჯახის დიდებულობის და განგიახლეთ და ჩვენც ხელი მოგიწერეთ“.

ამრიგად, აგიაშვილები ომათმათიძეების შთამომავლები არიან და ომათმათიძეთა მთელი ყმა-მამული, აზნაური ყიფიანები, ბოჭორიშვილები და სხვები, რომლებიც ციხისთავ იოვანე ომათმათიძის სიგელშია ჩამოთვლილი, შემდეგში აგიაშვილთა აზნაურებად ჩანან.


დღეს აგიაშვილები მრავალ ადგილას ცხოვრობენ, მათ შორის ჭიათურაში, ხარაგოულში (ხიდარი), ზესტაფონში, არიან თერჯოლაში, თბილისში და სხვაგან.

1995 წლის თებერვალში ვაუჩერი მიუღია 458 მასხარაშვილს (თბილისი – 153, ჭიათურა – 85, ქუთაისი – 79), აგიაშვილებიდან 121 სულს (თბილისი – 46, თელავი – 23, ქუთაისი – 8).

P.S. აგიაშვილები თავადებად ჩანან XVII საუკუნის II ნახევრიდან, იკავებენ სამეფო ციხესიმაგრეების მთავარი კომენდანტის ადგილს, XVIII საუკუნის დასაწყისში მიიღეს სარდლის წოდება, ხოლო 1753 წლიდან – აგრეთვე სამეფო გვარდის უფროსობა (ქეშიკოუხუცესობა).



როგორ იქცევით რთულ სიტუაციაში?
 როგორ იქცევით რთულ სიტუაციაში?
 როგორ იქცევით რთულ სიტუაციაში?
 როგორ იქცევით რთულ სიტუაციაში?



ჩვენ მიერ შემოთავაზებული თამაზის მეშვეობით დაადგენთ, შეგიძლიათ თუ არა რთულ სიტუაციაში გადაწყვეტილების სწრაფად მიღება, ინფორმაციის გაანალიზება და შესაბამისად მოქმედება. ამ თამაზის შესრულებისას მნიშვნელოვანია სისწრაფე და სიზუსტე.


თქვენ წინაშეა ნახატი-ლაბირინთი. დავალების არსი კი შემდეგში მდგომარეობს: დაინიშნეთ დრო, დააკვირდით ნახატს და რაც შეიძლება სწრაფად, მხოლოდ თვალის მიდევნებით (ისე, რომ საწერი საშუალება არ გამოიყენოთ და ნახატს თითი არ გააყოლოთ) იპოვეთ გასასვლელი A წერტილიდან B წერტილამდე. როგორც კი გასასვლელს იპოვით, აიღეთ ფანქარი და თქვენ მიერ ნაპოვნი გზა ნახატზეც დააფიქსირეთ.

დააფიქსირეთ თამაზის შესრულებისთვის დახარჯული დრო და შეამოწმეთ ნაპოვნი გზის სისწორე ლაბირინთის პასუხის მიხედვით:

2 წუთი და ნაკლები:
 საუკეთესო მაჩვენებელია, თქვენთვის გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს, სწრაფად აზროვნებთ, გადაწყვეტილებებსაც სწრაფად იღებთ და ამის გამო ცხოვრებაშიც ხშირად გიმართლებთ.

2-იდან 4 წუთამდე:
 საშუალო შედეგია, რთულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გიჭირთ, მაგრამ საკუთარ თავში ეჭვი გეპარებათ და ამის გამო შესაბამისად ვერ მოქმედებთ. სწორედ ამიტომ ხშირად გიწევთ უხერხულ სიტუაციაში ჩავარდნა.

4 წუთი და მეტი:
 დაბალი მაჩვენებელია, რთულ და გამოუვალ სიტუაციაში ყოველთვის იბნევით, გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ და საკუთარი აზრის მართებულობაშიც ეჭვი გეპარებათ. იყავით უფრო თავდაჯერებული, ეცადეთ, რეალურად, სწრაფად აღიქვით მოვლენები, სწრაფადვე გაანალიზოთ მიღებული ინფორმაცია და, რაც მთავარია, იმოქმედოთ!



7 კვე რამდენიმე ათასი წელია, რაც მასაჟი გაჯანსაღების და გაახალგაზრდავების საშუალებად ითვლება. ძველი რომაელები ტანის საერთო მასაჟის დროს კანში ზეთუნის ზეთს აზელდნენ, პროცედურას სარგებლობა მაშინ მოჰქონდა, თუ ადამიანის ტანი 2 ლიტრ ზეთს შეინოვდა. სრული მასაჟი 4 საათის მანძილზე გრძელდებოდა და მას მხოლოდ არისტოკრატებს და მებრძოლებს უკეთებდნენ. ჩინელები უპირატესობას წერტილოვან მასაჟს ანიჭებდნენ და მისი საშუალებით ფსიქიკურ დაავადებებს კურნავდნენ. მათ ამჟამადაც არ ჰყავთ ბადალი ეროტიკული სახის მასაჟში. ეგვიპტელებს მკვდარი ზღვის სანაპიროებიდან სპეციალური სამკურნალო ტალახი ჩამოჰქონდათ, მას აქლემის რძეში აზავებდნენ და ამ ნაზავს კანში აზელდნენ. მასაჟი მაშინ მთავრდებოდა, როცა ადამიანის სხეულს 6-8 სმ-ის სისქის ფენის „სარკოფაგი“ დაფარავდა. ამ გარსს გაცივებას აცდიდნენ და ამტვრევდნენ. შედეგი საოცარი იყო — ძლიერდებოდა სისხლის მიმოქცევა, ქრებოდა ცხიმოვანი ნაკეცები, ტალახის გარსს თან მკვდარი უჯრედები მიჰყვებოდა, კანი გაახალგაზრდავებულად და გაახლებულად გამოიყურებოდა, წვრილი ნოჭები კი ქრებოდა.

მასაჟი

თქვე
დღე




თუ მასაჟის გაკეთების დროს ოდნავ ტკივილს შეიგრძნობთ, იმას ნიშნავს, რომ სპეციალისტმა თქვენს მტკივნეულ ადგილს მიაგნო. სხეულზე მრავალი გამაფრთხილებელი სიგნალი არსებობს: თუ მარჯვენა ტერფზე კოჟრი გაქვთ, შესაძლოა ღვიძლთან ან ნაღვლის ბუშტთან დაკავშირებული პრობლემები შეგექმნათ; თუ ფეხის დიდი თითი შიგნით შეგედუნათ, ე.ი. თქვენი ტანის კეფა-ზურგის არე არასაკმარისად ისვენებს და მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაშია; ულამაზო შეშუპებები უმოძრაობის შედეგია: ხელის, ფეხის თითები სქელდება, ფეხები, წვივები და კოჭი კი — სივდება.

თვალის გარშემო გაჩენილი ბუქი წრეების გაქრობა სახის წერტილოვანი მასაჟით შეიძლება. ამისათვის საჭიროა, შუა თითის ბალიშებით დააწვეთ საფეთქლებს,

მიწის ქვეშ გაყვანილი კორილორი	უაქიზი, ნაზი	გეომეტრიაში: აბსცისა და ...	რა ერქვა შორენას ნუკრს - („დიდოსტაგის მარჯვენა“)	თავდაყ...
შინაური ცხოველი	მსხვილი სამრეწველო საწარმო	ხმელეთში ღრმად შეჭრილი ყურე სკანდინავიაში	სოფელი ობურგეთთან	საღამო ჰუსტინი (ქვეყანა)


სახეულის ასნაული



ტურ-ცხვირის ნაკეცებს, ცხვირის ძვალს და ნიკაპს.

თუ ტურის კუთხეებში ღრმა ნაკეცები გაგიჩნდათ, იმის ნიშანია, რომ კუჭ-ნაწლავის სისტემა გაქვთ დარღვეული. ამ შემთხვევაში ნევთიერებათა ცვლის მასტრმულირებელი მასაჟი დაგეხმარებათ, ამას დაუმატეთ სახის კუნთების დაჭიმვა, ღრმა ამოსუნთქვასა და ჩასუნთქვასთან ერთად. ამ პროცედურის შედეგად ჟანგბადით მდიდარი სისხლი კაპილარებში შეაღწევს და ნაკეცებიც გაგიქრებათ.

ალბათ ხშირად შეგინიშნავთ, რომ ზოგიერთს ზამთარში სახეზე კვანძების მსგავსი წითელი ძარღვები უჩნდება. ასეთი ულამაზო „ნახატები“ თურმე ხშირად აწუხებდა ცნობილ მსახიობს, იზაბელ აჯანის, სანამ მათგან მარტივი ხერხით – მასაჟით არ გათ-



ავისუფლდა. სახლიდან გასვლამდე ის სახის, ყელის და მკერდის არეში ცხიმიან საცხს ან ზეთს იზელს. შემდეგ სხეულის დიადიგელებზე ცივ, კარგად გაწურულ პირსახოცს ან ყინულის ნატეხებს იდებს. ფორები იხურება და ამავე დროს ისინი კარგადაა დაცული ცხიმით. ამ პროცედურების შემდეგ უსიამოვნო წითელი ლაქები აღარ ჩნდება.

მასაჟი საკმაოდ ეფექტურია გაცივების შემთხვევაშიც. წამლების მიღების ნაცვლად, სჯობს, კანში ქაცვის ზეთის, ჟოლოს ნაყენის და ალოეს წვენი ნარევი შეიზილოთ, ნაქსოვი წინდები ჩაიცვათ, თბილ საბანში გაეხვიოთ და კარგად გამოიძინოთ. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მკურნალობის ამ მეთოდის გამოყენება არ შეიძლება მამინ, როცა სიცხე გაქვთ – მასაჟის შედეგად ბაქტერიები და ვირუსები მთელ ორგანიზმს მოედება და ანთების ახალი კერის გაჩენას შეუწყობს ხელს.

ფრანგმა რეჟისორმა ლიუკ ბესონმა კი თურმე ეროტიკული მასაჟი აითვისა და მისი მეშვეობით თავისი რჩეული, მსახიობი მილა იოვოვიჩი მოხიბლა. „გადიდებებით დატვირთული სამუშაო



დღის შემდეგ ლიუკი ჩემთან ნომერში შემოვიდა და ფეხის ტერფების დახელება დამიწყო, – ჰყვებოდა შემდგომში მილა. – დაღლილობა მოთენთილობის და განცხრობის შეგრძნებამ შეცვალა, შემდეგ კი ალგზნებაც მეწვია და ეს ყველაფერი საზოგადოებისთვის უცნობი მასაჟისტის – ლიუკ ბესონის წყალობით. მას ძალიან მგრძნობიარე ხელები აღმოაჩნდა, თუმცა ლიუკი ირწმუნება, რომ ეს ჩემი ფეხები გამოდგა მგრძნობიარე.“

ფრიდანი პარაზიტი მწერი	მცენარეული	ანტიბიოტიკი	წიწკიანი მცენარის წებოვანი მასა	ნაწილაკი რაჭულ დიალექტში	ლურჯი ფერის ძვირფასი მინერალი	რა მიიღება ხის ლაქით
ნაშენი	ნაშენი	ნაშენი	ნაშენი	ნაშენი	ნაშენი	ნაშენი
სამეცნიერო დაწესებულების ქვედანაყოფი	მსახიობი ომარ ...	ფილმის გავრძელება პოლიფურად	გამის ნოტი	წადისეული საწვევი		

საუკუნეში საქართველოს სამეფო ტახტი მეფე მირიანს ეჭრა. მირიანს პონტიელი მთავარსარდლის ასული, ნანა დედოფალი ესვა ცოლად. მირიანი ცეცხლსა და ქართულ კერპებს სცემდა თავყვანს. სარწმუნოებრივი შემწეობა ბლობითაც გამოიჩინოდა და ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამო, ქრისტიანული მოძღვრების შესახებაც ჰქონდა გაგებული. მის ყურამდეც მისულიყო წმინდა კონსტანტინე დიდის მიერ მტრის სასწაულებრივი ძლევის ამბავი.

მირიანის მეფობის დროს საქართველოში წმინდა ქალწული ნინო შემობრძანდა საქდავებლად. მხურვალე ლოცვითა და ვაზის ვკრით შეიარაღებულმა ქალწულმა იწყო „მოქცევა ქართლისაი“ და კურნება წარმართთა მრავალგვარი სენისგან. თავად კი მეფის სასახლის ბაღში დაიგანა.

ნანა დედოფალი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ნინოს ქდავებას. ემობდა ახალ მოძღვრებას და მის მქადაგებულს. მირიან მეფეს კი „აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა და არა დააბრკოლებდა ქდავებად ნინოს და მოწაფეთა მისთა“.

გავიდა ხანი. ღმერთმა უკურნებელი სენი შეჰყარა ნანა დედოფალს. იქამდე არ განიკურნა დედოფალი ნანა, ვიდრე მისი ჯანმრთელობისათვის წმინდა ნინო არ შეეცდრა უფალს. ამ შემთხვევამ ნანა დედოფალი ქრისტიანულ სჯულზე მოაქცია. დედოფლის განკურნების შემდეგ მეფე მირიანიც დაინტერესდა ქრისტეს რჯულით და ურთიყოფილ აბათარს ხშირად ეკითხებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებზე. მეფეს ქრისტეს სჯულზე მოქცევის სურვილი გაუჩნდა.

ერთხელ სანადიროდ თხოთის მთაზე წაყვდა მეფე. მოუხდა უჩინო მტერი გულში, კვლავ კერპთა და ცეცხლის სიყვარული ჩაუღლი და გადააწყვეტინა ქრისტიანეთა მხვილით მოკვდინება. მაგრამ უფალმა ღმერთმა, რომელიც მკვლევარია ყოველი ადამიანის



სამთავრო. წმ. მირიან მეფისა და დედოფალ ნანას ფრესკა

თვალეები ეხილებოდათ და დავრდომილნი აღსდგებოდნენ.

ამასობაში კონსტანტინოპოლიდან დაბრუნდნენ მოციქულები იოანე ეპისკოპოსისა და სამღვდლო დასის თანხლებით. წმინდა კონსტანტინე დიდმა, ქრისტეს სჯულს შემდგარ მეფეს და ერს გამოუგზავნა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა. ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი — კვარცხლბეგი და სამსჯვალე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მტკვრისა და არაგვის შესართავთან ნათელიღეს მეფემ, დედოფალმა, სამეფო კარმა და სრულიად ქართლმა. საზეიმო ნათლისღების შემდეგ იოანე ეპისკოპოსი და მისი თანხლებნი ერუშეთს გაემგზავრნენ, ააშენეს ეკლესია და დატოვეს სამსჯვალე უფლისა, შემდეგ მანგლისის დაიწყეს ეკლესიის შენება და იქ ძელიცხოვლის ნაწილი დაასვენეს. მირიან მეფე შეწუხდა. მას სურდა, საქართველოს დედაქალაქშიც ყოფილიყო დასვენებული სიწმინდეები.

მცხეთაში ერთი კლდის თავზე მშენიერი, სურნელოვანი, სასწაულომოქმედი ხე იდგა. როდესაც იოანე ეპისკოპოსს უუწყა ეს ამბავი, ბრძანა: „ჰქვმდარიტად ღვთისა მიერ აღმოცენებულ არს ხე იგი და დამარხულ ჟამისა მისთვის და აწლა მოეფინა მადლი ღვთისა ქართლსა და მის ხისგან ჯერ არს შექნა ჯვარი ბატიოსანი, რომელსაც თაყუანი სცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან“.

წმინდა ნინოს რჩევით, მეფემ ერთი ჯვარი დასავლეთით, თხოთის მთაზე აღმართვნა, მეორე — ქალაქ უჯარამში. მესამე ჯვრისთვის კი ადგილი ვერ შეარჩიეს.

მირიან მეფემ ლოცვით შესთხოვა უფალს მიენიშნებინა ადგილი, სადაც ჯვარი უნდა აღმართულიყო. ღმერთმა ისმინა კეთილმორწმუნე მეფის ვედრება და ანგელოზის პირით აუწყა, რომ ჯვარი აღმართა არაგვის გაღმა, კლდოვან ბორცვზე. როცა მცხეთაში ეს პატიოსანი ჯვარი აღმართა, მაშინვე ყველა კერპი დაიმსხვრა ქართლში.

სიკვდილის წინ საქართველოს პირველმა ქრისტიანმა მეფემ აკურთხა ძე თვისი ბაქარი. ანდერძად დაუტოვა წმინდა სამების ერთგულება, ბრძოლა კერპების წინააღმდეგ და ღვთივ მიისვენა. წმინდა კეთილმსახური მეფე საკუთარი სურვილისამებრ დაკრძალეს სამთავროს ეკლესიაში. რადგან კეთილმსახურმა მეფემ არ ისურვა დასაფლავება სვეტიცხოვლის ტაძარში, რომელსაც „წმინდათა წმიდაი“ ერქვა, იმ მოკრძალებისა და რიდის გამო, რომელიც ნათლის სვეტის წინაშე ჰქონდა. მეფე მირიანის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, გარდაცვალება ნანა დედოფალიც და დაიკრძალა იქვე, მირიან მეფესთან.

14 თქტობერი წმინდა მოციქულთასწორი მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ხსენების დღე

ბუნებისა და მისი ქმედების განჭვრეტაც წინასწარ ძალუძს, დაიფარა მეფე მირიანი ამ საშინელი ცოდვისაგან. თხოთის მთაზე ასულ მეფეს მზე დაუბნელდა. ჩამოწვა უკუნი. შემინებულმა მირიანმა კერპებს შესთხოვა დახმარება. კერპები უძღურნი აღმოჩნდნენ მლოცველის მამართ. მაშინ მეფემ ჯვარცხულ ღმერთს შეავედრა თავი და მოხდა სასწაული: გამობრწყინდა მზე. მირიანმა აღმოსავლეთისკენ განიბრუნა ხელნი და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის“. მცხეთაში დაბრუნებული მირიან მეფე ნინოსთან მივიდა. მისი რჩევით, მეორე დღესვე მოციქულნი წარაგლინა საბერძნეთის კონსტანტინე მეფესთან და სთხოვა, მღვდლები გამოეგზავნა ნათლისღებისათვის.

ვიდრე კონსტანტინოპოლს გავზავნილი მღვდლები დაბრუნდებოდნენ, მირიან მეფემ სამეფო ბაღში ეკლესიის აშენება ინება. სურობმა ნაბვის ხისგან შეიღი სვეტი დაამზადეს. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, ყველაზე დიდი, ადგილიდან ვერ დაძრეს. წმინდა ნინო მოწაფეებთან ერთად ლოცვად დადგა. გამოთენისას ზეცით გარდამოხდა ნათლით შემოსილი, „ყოვლით ცეცხლითა მობლარდნილი“ ჭაბუკი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. სვეტი ღვთივ გაბრწყინდა და თორმეტი წერთის სიმაღლეზე გაჩერდა ჰაერში. მთელი მცხეთა დაიდრა ნათლის სვეტის თავყვანის საცემად. მასთან მიახლებსას ავადმყოფები იკურნებოდნენ, ბრძებს

სამთავრო. წმ. მირიან მეფისა და დედოფალ ნანას საფლავები

წინო ტარყაშვილი



ელენე სალარიძე

ტაბულის აღწერილობაში უბრალოდ წერია: „ერისთავთა განსასვენებლის მეშვიდე (ქალის) სამარხ-სარკოფაგში აღმოჩენილი ოქროს ვერძისთავიანი ყელსაბამი, ბუნებრივი სიდიდისა“.

არადა, ეს ყელსაკიდი მარტოდენ პიტიახშების სამაროვანთა მშენება კი არა, მთელი კავკასიისა და უფრო შორეული ქვეყნების სამარხეულ ინვენტართა შორის ყველაზე დახვეწილი და გამორჩეულია (ჩვ. წ. აღ-ის II საუკუნის მეორე ნახევარი).

ყელსაბამი იწონის 164,2 გრამს, მაგრამ იმდენად მოხდენილია, რომ ეს „სიმძიმე“ საერთოდ არ იგრძნობა. მეტად რთული და ფაქიზია უწვრილესი მავთულის რგოლების წნული, რომელიც მთლიანობაში თავთავს მოგვარონებს – ძეწკვის სიგრძე 23 სმ, ხოლო დიამეტრი 4 მმ-ია.

ყელსაბამის უძვირფასესი ნაწილია კოლოფი, ფირუხის სწორკუთხოვანი ფირფიტებით, ე.წ. „სარკმლებით“. სახურავის ფირფიტას ამშვენებს ოქროს გავარსიანი წრე, შუაგულში გულისმაგვარი ბუდით. ბუდეში იისფერი ამეთვისტოს მორკალულ-რქებიანი ვერძის თავია, უზადო ოსტატობის ნიმუში, მცირე ქვის ქანდაკებათა შორის ანალოგი რომ არ მოპოვება. გამოსახულებას აღმანდინისა და ფირუხის თვლები შემოსვარვია.

... როცა კოლოფს სახურავი ახადეს, როგორ ფიქრობთ, რა იყო შიგნით? – ბავშვის მოცვლილი კბილები, სათუთად, სიყვარულით შენახული...

ვერძის თავის გამოსახულება ავგაროზის როლს უნდა ასრულებდეს. ძველთაგან ცხვარს ხომ ავი სულისგან დაცვის უნარს მიაწერდა ადამიანი.

... ბერძნული მითის მიხედვით, ჰერმესი (თავდაპირველი ვერსიით მესაქონლეობის ღმერთი და მწყემსთა მფარველი) ცხვარს ან მხარზე გადაიდებდა, ან ხელით ატარებდა. ერთხელ ჰერმესს, ასე, მხარზე გადადებული ცხვრით შემოუვლია ქალაქ ტანაგრას გალავანი, სადაც შავი ჭირი მძინვარებდა თურმე და მოსახლეობა სენისგან უხსნა. იქნებ აქედანაც მოდის რწმენა იმისა, რომ ცხვარს მაგიური ძალა ენიჭება სწეულთა განსაკურნებლად.

არანაკლებ მიზიდველია ყელსაბამის „მეორე ნაწილი“ – სანელსაცხებლე, იგი მოხდენილი, ნამცეცა ჭურჭელია წნული ძეწკვებით. მსხლისებრი მოყვანილობის ჭურჭლის ფსკერზე მოწითალო-იისფერი კრისტალური ფხვნილი ჩარჩენილიყო – ვინ იცის, ჯადოსნური ნელსაცხებლის ნალექი...



ამ ყელსაბამის მსგავსი პრეპერატები არაშენი გვევსუდებ...



განუმეორებელი ოქროს ვერძისთავიანი ყელსაბამი (მელა ფოტო) სამაჯური აღმანდინის თვალით

სანელსაცხებლე მოოჭვილია სიმეტრიულად განლაგებული თვლებით (39 აღმანდინის და ერთი ფირუხისა), მისი „ჭანი“ თითქოს ეკლიან ბურთს ჰგავს (შემდგომ პერიოდში ამ ფორმის სანელსაცხებლებს

იყენებდნენ ქართველი ქალები).

– 25 წელზე მეტია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ვმუშაობ და არ მახსოვს, გამოფენაზე ვინმე გულგრილი და ეტოვებინოს ამ ყელსაბამს. ერთხელ, გერმანელების ჯგუფმა, როცა ექსკურსიამდლოლი ამ სამკაულის შესახებ მოუთხრობდა, თავისი ემოცია ტაშით გამოხატა... ხშირად ასეც ყოფილა, დაათვალიერებენ მთელ გამოფენას და ბოლოს პიტიახშთა სამაროვნის ყელსაბამთან ბრუნდებიან, ზოგჯერ სტენდი აურევთ ხოლმე და კითხულობენ – აი, ის, ყველაზე ლამაზი ყელსაბამი გვიჩვენეთო... – მაიმობს ხელოვნებათმცოდნე გურამ ჯავახიშვილი.

– ვის შეიძლება ვკუთვნოდეს ეს მართლაც უმშვენიერესი სამკაული?

– სამაროვანი, სადაც იგი აღმოჩნდა, უსახელოა. თუმცა კი აღნაგობისა და ინვენტარის მიხედვით წარჩინებული ქალის სამარხად მიიჩნევენ. სხვათა შორის, არმაზისხევის ამ რიგით მეშვიდე სამარხში ქართული კულტურის სხვა არანაკლებ საყურადღებო ნიმუშები დასტურდება. თუნდაც ის, რომ აძენი ოქროს წვრილი კოლიტა (სამოსელის შესამკობელი), სხვაგან არსად უპოვიათ. სავარაუდოა, რომ ისინი ძვირფასი წამოსახსამის სამშვენიესებად იყო გამოყენებული. აქვეა მრავალი ოქროს საყურე, ვარდულები, ბეჭდები, სამაჯურები, ოქროს მონეტები, დიადემა და მრავალი სხვა. ერთი ვერსიით, ამ უსახელო სამაროვანს უმშვენიერეს ზევახის ასულს სერაფიტასაც მიაკუთვნებენ და ზევახის მეუღლეს – კარპაკსაც. მაგრამ მეცნიერები უპირატესობას პირველ მოსაზრებას ანიჭებენ.

– გამოდის, რომ ეს მშვენიერი ყელსაბამი არანაკლებ მშვენიერი სერაფიტას საკუთრება ყოფილა.


– ასეა, პიტიახშის ასულს, რომლის მსგავსი სილამაზით არავინ ყოფილა, ყელსაბამიც ასევე განუმეორებელი უნდა ჰქონოდა...

ერთი სიტყვით, ამოუწურავია ქართლის მეფის პიტიახშების – ერისთავთა სამკვიდროს საგანძური. ისიც უდავოა, რომ „მცხეთა-სამთავროს“ ცნობილი ექსპედიციის მასალები მრავალი უნიკალური ნივთის ისტორიას ინახავს.

„მცხეთა-სამთავროს“ ექსპედიციის მუშაობა დღესაც გრძელდება.

ასე რომ, ქართული კულტურის საგანძურს კვლავაც შეიძლება შეემატოს არაერთი ახალი მონაპოვარი...

„ინგლისური ფეხბურთის იმედი“, – ასეთი შეფასება მისცა ლეგენდარულმა იოჰან კრუიფმა დევიდ ბექჰემს, როცა ის „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიგებში გამოჩნდა. მას შემდეგ დევიდის საფეხბურთო ცხოვრებაში აღმასვლაც და დაცემაც, გამარჯვებაცა და იმედგაცრუებაც იყო. მისი პიროვნების მიმართ ჟურნალისტები, ფოტოკორეპორტიორები და ფეხბურთის უბრალო გულშემატიკეები გულგრილნი არასოდეს ყოფილან, მაგრამ როდესაც ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის რომანის შესახებ გავრცელდა ხმები, „მანჩესტერის“ ვარსკვლავის პირადი ცხოვრებით ისეთი ადამიანებიც კი დაინტერესდნენ, ვისაც ფეხბურთთან არაფერი აკავშირებდა. პოპულარული ფეხბურთელი, ცნობილი პოპ-ჯგუფის - SPICE GIRLS-ის წევრზე ქორწინდებოდა; უკვე თავად ეს ფაქტიც საკმარისი იყო იმისთვის, რომ „ყვითელი პრესის“ ფოტოკორეპორტიორები „სანადიროდ გასულიყვნენ“. ხოლო ხალხს დაუსრულებლად ელაპარაკა ამ წყვილის შესახებ.



დევიდ ბექჰემი:

«პიქტორია პირველად თბილისში ვნახე»



უაღმაართი ლონდონელი
ლონდონში 13 საფეხბურთო კლუბია. მათ შორის რამდენიმე დიდ წარმატებებს აღწევს, მაგრამ რატომღაც პატარა დევიდ ბექჰემი „არსენალის“, „ჩელსის“, „ტოტენჰემის“ და „ვესტჰემის“ მიმართ თავიდანვე გულგრილად იყო განწყობილი. სხვათა შორის, მაშინ, როდესაც დევიდი ფეხბურთის თამაშს იწყებდა, პრემიერლიგაში „ლივერპული“ მეფობდა. ყველასთვის მოულოდნელად ტედ და სანდრა ბექჰემების ვაჟიშვილის სათაყვანებელ გუნდად „მანჩესტერ იუნაიტედი“ იქცა. გასაკვირი ის იყო, რომ იმ დროს მანჩესტერელთა კლუბი მინცდამინც არ ბრწყინავდა და დევიდის თანატოლებში, რომლებიც დიდ ფეხბურთელობაზე ოცნებობდნენ, არაერთარ ინტერესს არ აღძრავდა. „ეს ახლა თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ცუდად, – პასუხობდა დევიდი ყველას, ვისაც მისი არჩევანი უცნაურ ბავშვურ აზრებად მიაჩნდა, – როდესაც მე ვითამაშებ იქ, ჩვენ ვეროპის უძლიერეს კლუბად ვიქცევით“.
დევიდ ბექჰემისგან რომ დიდი ოსტატი დადგებოდა, ეს ჯერ კიდევ მაშინ შეუნიშნავთ ფეხბურთის სპეციალისტებს, როდესაც იგი კლუბ „ლივერპულის“ ორიენტის“ სკოლაში ვარჯიშობდა. მალე დევიდმა ცნობილი ლონდონური კლუბის „ტოტენჰემის-აგან“ მიიღო მიწვევა. თუმცა ინგლისური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს, ვერც ამ წინადადება შეაწყვევინა აზრი. „შენ რაღაც უკუღ-

მართი ლონდონელი ხარ, – ეუბნებოდნენ დევიდს მას შემდეგ, რაც მან „ტოტენჰემის“ საფეხბურთო სკოლაში გადასვლაზე უარი განაცხადა, – ათასობით ლონდონელი ბიჭუნა ძილშიც „ტოტენჰემის“ მოთამაშედ ხედავს საკუთარ თავს, შენ კი, ექვსი წლის ასაკში ცხვირს იბზუებ“.
დევიდის მამას, რომელიც ჩვეულებრივი მუშა იყო, ისლა დარჩენოდა, რომ ვაჟიშვილის „ჭირვეულობას“ დაჰყოლოდა და მთელი ოჯახით მანჩესტერში გადაბარგებულიყო. 1981 წელს დევიდ ბექჰემმა ბობი ჩარლტონის სახელობის საფეხბურთო სკოლაში დაიწყო ვარჯიში. სწორედ იქ გაიცნო მან თავისი მომავალი პარტნიორები „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში: პოლ სკოულზი, ნიკი ბატი და გარი ნევილი. გავიდა წლები და ამ ფეხბურთელების დამსახურებით „მანჩესტერ იუნაიტედმა“ უდიდესი გამარჯვებები იზეიმა.

დონსია:
სრული სახელი: დევიდ რობერტ ჯოზეფ ბექჰემი
დაბადების თარიღი: 1975 წლის 2 მაისი
დაბადების ადგილი: LEYTONSTONE (ლონდონი)
სიმაღლე: 180 სმ
წონა: 71 კგ
პოზიცია: მარჯვენა ნახევარმცველი
ინგლისის ჩემპიონი: 1996, 1997, 1999, 2000, 2001 წლებში
ინგლისის თასის მფლობელი: 1996, 1999 წლებში
უფფას ჩემპიონთა თასის მფლობელი: 1999 წელს

ქორწილი

დევიდ ბექჰემი „ყვითელი პრესისთვის“ ყოველთვის გემრიელ ლუკმად ითვლებოდა, მაგრამ მისი და ვიქტორია ადამსის რომანის გამაურების შემდეგ აბეზარი ფოტორეპორტიორების „შეტევები“ მართლაც აუტანელი გახდა. სხვათა შორის, დევიდმა და ვიქტორიამ შეძლეს, მთელი 8 თვის განმავლობაში საიღუმლოდ შეენახათ თავიანთი ურთიერთობა, თუმცა, როგორც ცნობილია,

ბოლომდე დაფარული არაფერი რჩება. როდესაც შეყვარებულებმა ერთმანეთის მშობლების გაცნობაც გადაწყვიტეს, ყველასთვის ნათელი გახდა, რომ მათი ქორწინების შესახებაც მალე შეიტყობდა ქვეყანა. ვიქტორიას დედა ძალიან კმაყოფილი დარჩა სასიძოს ხილვით. ის განსაკუთრებით იმ ფაქტით აღფრთოვანდა, რომ დევიდს, ფეხბურთის თამაშის გარდა, ჭურჭლის რეცხვაც კარგად ეხერხებოდა... ვიქტორიამაც ძალიან მალე გამოიჩინა საერთო ენა თავისი რჩეულის მშობლებთან.

ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დევიდს ვიქტორია პირველად თბილისში უნახავს. ეს სასტუმრო „მეტენში“ მოხდა, როდესაც ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან ერთად ჩამოსული დევიდი თანაგუნდელებთან ერთად ტელევიზორს უყურებდა. ერთ-ერთ მუსიკალურ არხზე ახალი ჯგუფის – SPICE GIRLS-ის სიმღერას ატრიალებდნენ. სწორედ მაშინ ჩავარდნია ბექჰემს ვიქტორია გულში და მეგობრებთან დაუქანდა კიდეც: – ეს ქალი ჩემი უნდა გახდესო.

ფოტორეპორტიორებისა და ჟურნალისტების „მასირებული შემოტევებისაგან“ თავი რომ დაეცვათ, დევიდმა და ვიქტორიამ ქორწინების ცერემონიალის გაშუქების ექსკლუზიური უფლება 1 მილიონ გირვანქა სტერ-

ლინგად ჟურნალ OK-ს მიჰყიდეს. ნომერი, რომელშიც მათი ქორწინების ცერემონიალის რეპორტაჟი გამოქვეყნდა, 1,4 მილიონიანი ტირაჟით გასაღდა. „ჩვენ მოგების ჯავრი არ გვქონია – უბრალოდ, არ გვსურდა, რომ ჩვენი ქორწილი ცირკს დამსგავსებოდა“, – განაცხადა ვიქტორიამ.


დევიდ ბექჰემისა და ვიქტორია ადამსის ქორწილში, რომელიც დუბლინის მახლობლად მდებარე ძველ ციხესიმაგრეში გაიმართა, 300-ზე მეტი კაცი იყო დაპატიჟებული. რა თქმა უნდა, იქ იმყოფებოდნენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელები და SPICE GIRLS-ის წევრები. ერთადერთი, რამაც ნეფე-პატარძალს გული დასწყვიტა, ის იყო, რომ ცერემონიალს არ დაესწრნენ ალექს ფერგიუსონი და ელტონ ჯონი, რომელიც, გავრცელებული ხმების თანახმად, ჯორჯ მაიკლთან გართულებული ურთიერთობის გამო არ მისულა ქორწილში. თავად ჯორჯ მაიკლი კი, ორკესტრთან ერთად, SPICE GIRLS-ის ჰიტებით ართობდა პუბლიკას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვიქტორიამ საერთოდ უარყო ტრადიციული ინგლისური სუფრა და თავად შეადგინა საქორწილო სუფრის მენიუ. დევიდს მთელი ცერემონიალი, არც მეტი, არც ნაკლები, 500 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. თავის გულის სწორს კი 100 ათას გირვანქად ღირებული, ბრილიანტებით მოოჭვილი გვირგვინი და 60 ათას ლოლარიანი საქორწინო ალმასის ბეჭედი მიართვა.

1999 წლის 4 მარტს დევიდსა და ვიქტორიას ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელსაც ბრუკლინი დაარქვეს. მელსაც ბრუკლინი დაარქვეს.

მელსაც ბრუკლინი დაარქვეს.

ყველაზე მძიმე დღე დევიდის ცხოვრებაში

„მე უკვე ბევრს მივალწვი, ალბათ უფრო მეტს, ვიდრე ბევრი სხვა ფეხბურთელი მთელი თავისი კარიერის მანძილზე აღწევს. ეს ძნელი იყო, მაგრამ ყველაფრის თავიდან დაწყების საშუალება რომ მომეცეს, მაინც იმავე გზის გავლას ვისურვებდი“, – ამბობს 26 წლის დევიდი, თუმცა მის წარმატებულ საფეხბურთო კარიერაში იყო ერთი მძიმე დღე, რომლის გამეორებასაც ის ნამდვილად არ ისურვებდა. ეს გახლდათ 1998 წლის 30 ივნისი, როდესაც საფრანგეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში დიეგო სიმეონესთან მომხდარი კონფლიქტის გამო, დევიდ ბექჰემი მოედნიდან გააძევეს. ამ ფაქტმა დიდად შეუწყობდა ხელს არგენტინელთა გამარჯვებას და შესაბამისად, ინგლისის ნაკრების გამოთიშვას ჩემპიონატიდან. მატჩის შემდეგ ინგლისის ნაკრების გასახდელში სამარისებური სიჩუმე იდგა, რაც ისედაც ფსიქოლოგიურ სტრესში მყოფ ბექჰემს კიდევ უფრო თრგუნავდა. ხანგრძლივი სიჩუმე პირვე-





ლად გლენ ჰოდლმა დაარღვია, როდესაც მოთამაშეებს მიმართა, თუმცა თავჩაქინდრული დევიდისთვის ზედაც არ შეუხედავს. მხოლოდ ტონი ადამსმა გაბედა მასთან მისვლა და იმის თქმა, რომ მარცხის გამო ნერვიულობას აზრი აღარ ჰქონდა და საერთოდ, გუნდის ჩემპიონატიდან გამოთიშვაში პასუხისმგებლობა ყველას თანაბრად ეკისრებოდა. „მე მჭირდებოდა ამ სიტყვების თქმა, ჩემთვის აუცილებელი იყო, რომ ვინმეს მაინც გაეგო, თუ რას ვგრძნობდი იმ მომენტში“, – ამბობს ბექჰემი, რომლის მშობლების სახლთანაც იმ მატჩის შემდეგ „ანტიგემირის“ გამოჩენის მოლოდინში, ჟურნალისტების, ფოტორეპორტიორებისა და გადამღები ჯგუფების მთელი არმია იცდიდა. შემდგომში ბევრი იმასაც მოითხოვდა, რომ დევიდ ბექჰემს პრესკონფერენცია მოეწვია და საქვეყნოდ მოენანიებინა „ცოდვა“. „მე შემიძლია ვიქტორიას გულმკერდზე ვიტირო, მაგრამ საქვეყნოდ ცრემლების ღვრას არ ვაპირებ“, – ასე უპასუხა თავის ოპონენტებს დევიდ ბექჰემმა, რომელსაც დიდი სტრესი სწორედ მეუღლემ და ოჯახმა გადაატანინა: „ეს იყო ტრაგედია. მე საკუთარ დანაშაულს ვგრძნობდი და მკაცრადაც დავისაჯე. ხალხი თანდათან ივიწყებს ამ ამბავს. რა თქმა უნდა, რაც შემემთხვა, ძნელი გადასატანი იყო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ახლა ყველაფერი რიგზეა. მშობლებისა და ვიქტორიას დიდი მადლობელი ვარ, მათ დიდი თანადგომა გამიწიეს“.

საქვეყნოდ პოპულარული და ერთმანეთის მოსიყვარულე წყვილი
 რაც ყველაზე მეტად აინტერესებს პუბლიკას ორი ვარსკვლავის პირად

დი ცხოვრებიდან – ეს სექსია. სტადიონებსა და ლუდის ბარებში მოცლილი ლაზღანდარა ახალგაზრდები სშირად „ინილავენ“, თუ როგორ აკეთებს „ამას“ ბექჰემების წყვილი. ვიდაცამ ინტერნეტით გაავრცელა ცნობა, რომლის თანახმად, დევიდი „ცისფერია“, ზოგიერთი კი, მისი საყვარლების რაოდენობის დადგენას ცდილობს. ცხადია, თავად დევიდს არაფერს არაფერს ეკითხება ამის შესახებ. „მე უკვე დავიღალე იმაზე ლაპარაკით, რომ ვიქტორია ერთი ნახვით შემიყვარდა და მხოლოდ ის მიყვარს, – ამტკიცებს სამაგალითო მამა და მეუღლე, – რომ არ მნდობებოდა მასთან ერთად სიცოცხლის გატარება, არც დაექორწინდებოდი. დამიჯერეთ, ჩემთვის ქორწინება უბრალო ფორმალობა არ არის“.

ბექჰემების ოჯახის ზოგიერთი ეგზალტირებული თაყვანისმცემელი სამწუხაროდ, მხოლოდ ჭორების გავრცელებით არ შემოიფარგლება. ერთხელ პოლიციამ დევიდის სახლთან 36 წლის ქალბატონი დააკავა, რომელიც „შენობაში“ „შეყვარებულისთვის“ პორნოგრაფიული მასალის შეგდებას ცდილობდა. პოლიციელმა აღკვეთა აგრეთვე ფულის გამოძალვის მიზნით ბრუკლინისა და ვიქტორიას გატაცება, რომელსაც ბოროტობა ჯგუფი გვემავლა. „ჩვენ ვიდაც მეუღლედ რაღაცით გვემუქრება, – ამბობს „მანჩესტერის“ ვარსკვლავი, – სატელეფონო ზარებით, წერილებით, ზოგჯერ

პირად საუბარშიც. გასაგებია, რომ ამ მუქარათა უმეტესობა მხოლოდ სიტყვებია, მაგრამ როდესაც ოჯახი გაქვს, ყველაფერს სერიოზულად აღიქვამ. ერთხელ ტყვია გამომიგზავნეს, რომელზეც ჩემი ინიციალები იყო ამოტვიფრული, ხოლო მასზე თანდართულ წერილში იტყობინებოდნენ, რომ ასეთივე ტყვია ბრუკლინისთვისაც არის განკუთვნილი. ეს ყველაფერი იაფფასიანი დრამატიზმია, მაგრამ მე არ მსურს გარისკვა“.

დევიდ ბექჰემს თავად არასოდეს უცდია, იაფფასიანი პოპულარობა მოეპოვებინა რაიმე გამომწვევი ქმედებით. „პროფესიონალის სამაგალითო მოდელი“, – ასე დაახასიათა კევინ კიგანმა დევიდი, რომლის შესახებაც გულშემატკივრებს აბსოლუტურად ყველაფრის შეტყობა სურთ. ამიტომ ისინი საკმაოდ ბევრ ფულს ხარჯავენ ჟურნალ-გაზეთების ნომრების საყიდლად, სადაც „მანჩესტერის“ ნახევარმცველის სახელია ნახსენები. რას აკეთებს დევიდი შინ ყოფნისას, რომელი ფირმის ტანისამოსი აცვია, როგორი ანაზღაურება აქვს... ამგვარ კითხვებზე პასუხების გაცემას ცდილობენ მასმედიის მესვეურები, რათა გულშემატკივრების ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილონ და თავადაც დიდი მოგება ნახონ. ასე იბადება სენსაციური განცხადებები: „მან EVISU-ს ჯინსი ათასხუთას გირვანქად შეიძინა“ („მე მხოლოდ შევათვალიერე იგი“ – აზუსტებს ბექჰემი). „ის მუდმივად თვრება არყითა და შტოშის წვენიით“ („ეს მხოლოდ ერთხელ იყო; არასოდეს დამავიწყდება, როგორ ვიდექი ცივი შხაპის ქვეშ, რათა გონზე მოვსულიყავი და



ვიქტორიას არაფერი შეეძინა“); „მან ენდი კოულის ჯიპი მიამსხვრია!“ („მხოლოდ ცოტათი გააკაწრე, მაგრამ ნეტავ დაგენახათ ენდის სახე!“), დადის ასეთი ჭორიც: ერთხელ დევიდს ლონდონში, „ვიდალ სასუნის“ სალონში შეუჭრია თმა, რის გამოც მის ერთ-ერთ ფანს სალონის უკანა ეზოში მდგომი ყველა სანაგვე ყუთი ამოუტრიალებია, რათა თავისი კერპის თმის ბლუჯა ეპოვა... აი, ის კი, ნამდვილად მართალია, რომ დევიდ ბექჰემის ბუცები CHRISTIE-ს აუქციონზე ცამეტი ათას რეაას გირვანქად გაიყიდა. ასეთი შემთხვევაც იყო: დევიდმა ფოტოსტუდიაში სურათის გადაღების წინ პერანგი გაიხადა და... აი, ახალი თემა ჭორების მოყვარულთათვის – მის ზურგზე პატარა, თავგადაპარსული, მუხლჩაზრილი „არსების“ სვირინგი შენიშნეს.

რა იყო ეს – ჯალათის მომლოდინე მსხვერპლი თუ თავად ბექჰემის გამოსახულება? „ოჰ, არა, რა მსხვერპლი?! – უკმაყოფილოდ ამოიხრა დევიდმა, როდესაც თავის შესახებ გავრცელებული ახალი ჭორის შესახებ შეიტყო, – ეს მფარველი ანგელოზია, მის ქვევით წერია სახელი – ბრუკლინი – ასე რომ, ანგელოზი მასზე ზრუნავს. თუ მე კიდევ მეყოლება შეილები, მათ სახელს იქვე, ცოტა ქვევით მივაწერ“.

დევიდი და ვიქტორია სამ სახლს ფლობენ, ავტოფარეზში, კი, FERRARI MARANELLO, TVR CERBERA, LINCOLN NAVIGATOR-ი და MERCEDES-ი უყვნიან. თავიანთი პროფესიის გამო, მათ ზშირად უხდებათ ცალ-ცალკე ყოფნა, რის გამოც ძალიან დიდ თანხებს ხარჯავენ სატელეფონო საუბრებში. ერთხელ ვიქტორია ჟურნალისტებს იმაში გამოუტყდა, რომ სახლში დევიდის არყოფნას ძალიან განიცდის ზოლმე და ამის გამო, ზშირად, ქმრის პერანგსაც იცვამს. დევიდიც და ვიქტორიაც ცდილობენ, რომ მთელი თავისუფალი დრო ვაჟიშვილთან ერთად გაატარონ. ამბობენ: პატარა ბრუკლინი ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესებულა ბურთით, როცა დამოუკიდებლად სიარულიც არ შეეძლო. მამა კი, მას ყოველთვის ახსენებს, რომ ფეხები მხოლოდ სიარულისთვის არ არის განკუთვნილი.

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

ჰოლივუდისა და ლუიზის ორთა ბრძოლა კვლავ გადაიდო

WBA-ს (მსოფლიო კრივის ასოციაციის) ჩემპიონის ტიტულისათვის სუპერმძიმეწონის (86,183 კგ-ზე მეტი) მოკრივეთა შეხვედრა კვლავ გადაიდო. ამის მიზეზი კი ანტიტერორისტული ალიანსის მიერ ავღანეთში საბრძოლო ოპერაციების დაწყება გახდა. ევანდერ ჰოლივუდისა და ჯონ რუიზის ორთა ბრძოლა 24 ნოემბერს პეკინში უნდა გამართულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ჩინეთი ავღანეთს ესაზღვრება, კომპანია HBO-მ ჩინეთის დელაქლაციდან ტელეტრანსლაციაზე უარი განაცხადა. ორთა ბრძოლა იმავე დღეს ან ცოტა მოგვიანებით ამერიკაში გაიმართება.



ჩილუ უმუხური დამორჩილება



როგორც ჩანს, „ფორმულა-1“-ში „თავლობის თვეები“ დადგა. არცთუ დიდი ხნის წინ ავტორბოლების მოყვარულებმა ცნობილი პილოტების ზუან-პაბლო მონტოიასა და ჟაკ ვილნევის დაქორწინების ამბები შეიტყვეს. გასულ პარასკევს კი, თავის კოლეგებს არც რაღაც უმუხური ჩამორჩა და თავის რჩეულზე, კორა ბრინკმანზე იქორწინა. ცერემონია, რის გამოც რაღაც ტესტი ვადაზე ადრე მიატოვა, ვიწრო ოჯახური წრისთვის გაიმართა. რაღვისა და კორას ქორწინებას თვით მიხედავ უმუხურიც კი არ დასწრება. ახალდაქორწინებულები მეგობრებისთვის წვეულების მოწყობას ცოტა მოგვიანებით აპირებენ, როდესაც მათ შვილი შეეძინება.

მეჯიკ ჯონსონი ჯორჯანიასთან ახალ საოცრებებს მოელო

ლეგენდარული მეჯიკ ჯონსონი, რომელსაც ახლასან NBA-ში დაბრუნებულ მაიკლ ჯორჯანთან გასული საუკუნის 80-იან წლებში უწვედა პაქრობა, დარწმუნებულია, რომ „მურინავი მაიკლი“ საკალათბურთო სამყაროს კვლავ აღფრთოვანებს თავისი უხადო ოსტატობით. ჯონსონის აზრით, მაიკლს NBA-ს ახალგაზრდა ვარსკვლავებთან – ვინს კარტერთან, ალენ აივერსონთან, კობი ბრაიანტთან და ტრეისი მაკგრედთან მოუწევს დაპირისპირება. ამავე დროს მეჯიკ ჯონსონი თვლის, რომ ამ ორთა ბრძოლებიდან გამარჯვებული მაიკლ ჯორჯანი გამოვა, თუმცა შეიძლება მას პირველ მატჩებში ყველაფერი ისე არ აუწყოს, როგორც თავიანთი ცემლები მოელოან. შეგასენებთ, რომ ჯონსონმა 1991 წელს საკალათბურთო კარიერა იმის გამო დაასრულა, რომ მას შიდსის ვირუსი აღმოუჩინეს, თუმცა ლეგენდარულმა კალათბურთელმა ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახა და 1992 წელს გამართულ ყველა ვარსკვლავის მატჩსა და ბარსელონის ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა.



მას, ვინც სიზმარში ეგზოტიკურ საკვებს ხედავს, 1835 წელს გამოცემული სიზმრების ახსნის წიგნი არაჩვეულებრივ ამბავს უწინასწარმეტყველებს: თუ სიზმარში ბევრი საჭმელი ნახეთ – იცოდეთ, რომ დროს ტარება გელით, მაგრამ საკითხავია – რამდენად ყარვ გუნებაზე დადგებით, თუ ქვემოთ აღწერილ კერძებს ცხადში მიირთმევთ. თუმცა, უჩვეულო საკვების გასინჯვის საკითხი ადამიანის გამბედაობაზეა დამოკიდებული.




ალბათ იცით, რა არის ხამან-წკა. მის ნიჟარებს სუფრაზე მირთმევისას სპეციალურ, თეფშზე არსებულ ჩაღრმავებულ ადგილებზე ათავსებენ – ყველა ნიჟარას თავისი ადგილი აქვს. მათი ჭამა კოვზითაც შესაძლებელია, თუ, რა თქმა უნდა, მოახერხებთ ლორწოვანი, ნაზი შიგთავსის ამოჩიქნას, მაგრამ ნამდვილი გურმანი ასე არ იქცევა – ის ნიჟარას სპეციალური დანით ხსნის. დანა უნდა შეასრიალოთ ნიჟარაში, შემდეგ ოდნავ მოაბრუნოთ და ის ადგილი გადაჭრათ, რომლითაც ლოკოკინა ნიჟარაზეა მიმაგრებული. ბრტყელ, ევროპულ ხამან-წკას ეს ადგილი ნიჟარის ძირში აქვს, ღრმა, იაპონურ ხამანწკას კი – დაახლოებით შუაგულში.

ნიჟარის გახსნის შემდეგ, გურმანი ხამანწკას ლიმონის წვეს ასხურებს, ღრმად შეისუნთქავს ზღვის სურნელს და ხარბად, ერთი ამოსუნთქვით შთანთქავს ხამანწკას.

არანაკლებ პოპულარულია ლოკოკინა. მასაც, ხამანწკის მსგავსად, თეფშის ამოღრმავებულ ადგილებზე ათავსებენ – 6 ან 12 ცალს, კერძს თან არასტანდარტული ფორმის ჩანგალი მოჰყვება, რომლითაც ლოკოკინას ნიჟარიდან იღებენ. გარდა ჩანგლისა, მოაქვთ აგრეთვე სპეციალური კოვზი, რომელსაც ბოლოში მარყუჟი აქვს, მასზე ფრთხილად ათავსებენ ლოკოკინას. ასხამენ ცოტაოდენ ნივრის საწებელს და ასე მიირთმევენ. ამ კერძს ნაზი რეზინის კონსისტენცია და განუმეორებელი გემო ჰქონია.

საგანგებო საუბრის თემაა წყალმცენარეები. ჩვეულებრივ, მას ხამან-

უძიუაყიმ ვიჩხუსყ ვიუსყ მიიტვი



წკებთან და ლოკოკინებთან ერთად მიირთმევენ. იმისათვის, რომ წყალმცენარეს ბუნებრივი, რუხი, ჭუჭყიანი ფერი შეუცვალონ, მას მარილიან წყალში ადუღებენ. ამ პროცედურის შემდეგ წყალმცენარე მკვეთრ მწვანე ფერს იძენს. სხვათა შორის, ითვლება, რომ წყალმცენარე ძალიან სასარგებლოა, რადგან ბევრ იოდს შეიცავს და გონებას ავითარებს. რაც შეეხება ბაყაყებს, ნებისმიერი ფრანგი მის უკანა, ხორციან ფეხებს შეექცევა. გემოთი

ჩვეულებრივი ქათმის თეთრ ხორცს მოგაგონებთ, მას უბრალო დანა-ჩანგლით მიირთმევენ. ზვიგენის ხორცი შესახედავად საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება. ის თეთრი ან ნაზი ვარდისფერია, ძალიან სპეციფიკური – მომწარო-მოტკბო გემო აქვს. ზვიგენის ხორცი ამიაკს შეიცავს, რაც მას განსხვავებულ სურნელსაც ანიჭებს, ამიტომ მისი ჭამის დროს, ცხვირზე ხელი უნდა მოიჭიროთ და ბევრი წიწაკაც მიაცოლოთ...

მსოფლიოში უამრავი ადამიანი მიირთმევს ნაწლავებს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მას საზიზღრობად მიიჩნევს. მათ შორის, ვინც ნაწლავებს ხორცზე უკეთ ამზადებს, შოტლანდიელები გამოირჩევიან. აღნიშნული კერძი მათ ისტორიას უკავშირდება. მეზობელი ინგლისელების მიერ შევიწროებული ღარიბი შოტლანდიელები, იშვიათად იკვებებოდნენ ხორცით. ისინი ოდითგანვე მისდევდნენ მეცხვარეობას, მაგრამ როცა მოზრდილ ცხვარს კლავდნენ, ხორცი მიწის პატრონს – ლენდ-ლორდს მიჰქონდა, გლეხს კი მხოლოდ ნაწლავები რჩებოდა. სწორედ აქედან წარმოიშვა ნაციონალური შოტლანდიური კერძი – ჰაგისი: შიგნეულობას, გულ-ღვიძლს ფქვავდნენ, ურევდნენ შვრიის ან ქერის მარცვალს, ათავსებდნენ ცხვრის ფაშეში და ხარშავდნენ. გარნირად კი, მოხარშულ ჭარხალს ან კარტოფილის პიურეს აყოლებდნენ. ამ კერძს დღესაც მიირთმევენ რესტორნებში და ამბობენ, რომ ძალიან გემრიელია.



იფ-იფ, რა გემრიელი კალიებია

ჩრდილოეთის ქვეყნებში – იმავე შოტლანდიასა და ნორვეგიაში ძალიან პოპულარულია შემწვარი სისხლი: მისგან პუდინგებსა და ძეხვის მაგვარ სურსათს ამზადებენ, გემოთი ის რაღაც ცოცხალ მასას მოგაგონებთ, მოსანელებლად კი ძალიან მძიმეა.

მწერებიდან ყველაზე პოპულარული და ყველაზე გავრცელებული, შემწვარი მატლია. ჩვეულებრივ, ეს ხელოვნურ პირობებში, დიდი რაოდენობით გამოზრდილი მატლია. ჩინეთში იგი ჩვეულებრივ საკვებად ითვლება.

მატლის გარდა, ჩინელები კალიებსაც მიირთმევენ, რომელიც შეწვის შემდეგ ზრატუნა კერძად იქცევა. გარდა ჩინეთისა, კალიებს ტაილანდშიც მოგართმევენ: იქ შემწვარი კალიებით პირდაპირ ქუჩაში ვაჭრობენ. სხვათა შორის, ამბობენ, შემწვარი კალიები და ტარაკნები განსაკუთრებით უხდება ლუდს.

ზანზიბარში, ტანზანიასა და მათი მეზობელი ქვეყნების ზანგებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭიანჭველების შიგთავსიანი ღვეხელი.

არ არის გამორიცხული, ქვემოთ


აღწერილი კერძების გაცნობის შემდეგ კვების ვეგეტარიანული წესი აირჩიოთ...

ძალღს მხოლოდ კორეაში როდი მიირთმევენ. სინამდვილეში, ადამიანის ოთხფეხა მეგობრების მჭამელთა გეოგრაფიული არეალი ბევრად უფრო ფართოა. ინდონეზიაში ძალღს ქოქოსის ნაღებში ამარილებენ და სუფრაზე ისე მიაქვთ, ზოგიერთი აფრიკელი ხალხი კი კატებსაც არ ივიწყებს. მაგალითად, განას ნაციონალურ კერძად, ჩაშუშული კატა ითვლება.

არსებობს თურმე კიდევ ერთი დელიკატესი – შემწვარი ვირთხა. რარიგ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვირთხებს მხოლოდ აფრიკელები კი არა, ცივილიზებული ფრანგებიც მიირთმევენ.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში საკვების საოცარი მრავალფეროვნებაა. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, ერთი ეთიოპიელის საქციელი, რომელიც

ეს საოცარი ხამანწკები...



ადამიანის მეგობარი განსხვავებულ ამპლუაში

20 წლის მანძილზე ლურსმნებს მიირთმევდა. ერთხელ საწყალს მუცელი ასტიკვებია და ექიმისთვის მიუმართავს: რენტგენმა რკინეულობის მთელი „საწყობი“ უჩვენა. ორსაათიანი ოპერაციის შემდეგ ეთიოპიელის მუცლიდან 700 გრამი 222 რკინის ნივთი ამოიღეს – ძირითადად, ლურსმნები, გასაღებები და მონეტები. ექიმების ბუნებრივი კითხვა – რატომ მიირთმევდა ამ ნივთებს, ეთიოპიელმა უპასუხოდ დატოვა...



მეგ რაიანი — ქალის ლამაზი და უზომოდ რასული პარსკვლავი

მერი ემილი ენ ჰაირა — სწორედ ასე
წოდებდნენ მეგ რაიანის ნამდვილი სახელი —
აშშ-ში, კონექტიკუტის შტატის ქალაქ ფაირ-
ფილდში, 1961 წლის 19 ნოემბერს დაიბადა.
როცა გოგონა 15 წლის შესრულდა, დედამ,
რომელიც მსახიობთა შერჩევის აგენტად
მუშაობდა და თავადაც მსახიობობაზე ოცნებობ-
და, ოჯახი მიატოვა და ოთხი შვილი (მეგის
პყავს ორი და: დანა და ენი, და ძმა ენდრიუ)
ქმარს შეატოვა აღსაზრდელად. მეგის მამა
იმხანად სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა და
პარალელურად მწვრთნელადაც მუშაობდა.



მეგი ბავშვობიდანვე ჭკვიანი, სა-
მართლიანი და რომანტიკული გოგონა
იყო, ამის გამო თანატოლებში დიდი პოპ-
ულარობით სარგებლობდა. სკოლის
დამთავრების შემდეგ მან სწავლა კონექ-
ტიკუტის შტატის უნივერსიტეტში, ჟურ-
ნალისტიკის ფაკულტეტზე გააგრძელა.
იმისათვის, რომ სწავლის ფულის გადახ-
და შესძლებოდა, მეგიმ მსახიობობა გადა-
წყვიტა. დედამისი მსახიობთა გილდიაში
ქალიშვილობის გვართ — რაიანი ირიცხ-
ებოდა, მისი დახმარებით მეგიმ ამერიკის
მსახიობთა გილდიის ბარათი მიიღო და
ტელევიზორულად და სარეკლამო რგო-

ლებში მონაწილეობის მიღების უფლება
მოიპოვა. მსახიობის კარიერის დაწყები-
სთანავე მან დედის მსგავსად გვარი —
რაიანი აირჩია.

ორწლიანი დაუღალავი შრომის შედეგი
გახდა მისი დებიუტი ფილმში „მდიდრე-
ბი და სახელგანთქმულები“, სადაც მან
თვრამეტი წლის გოგონას როლი შეას-
რულა. ამას რამდენიმე უმნიშვნელო ფილმი
და ტელევიზორული მოპყვა, რის შემდეგაც
მან გადაწყვიტა, სამუდამოდ მიეტოვებინა
სერიალური და სახელი დიდ კინოში მოეხ-
ვეჭა.

მეგ რაიანს პოპულარობა 25 წლის
ასაკში ეწვია, როცა მან ფილმში „საუკეთესო
მსროლელი“, ტომ კრუზთან და ენტონი
ედვარდსთან ერთად მიიღო მონაწილე-
ობა და სამხედრო მფრინავის ცოლის
როლი შეასრულა. თუმცა შემდგომში აღნი-
შნავდნენ, რომ ეს როლი მეგ რაიანმა ენ-
ტონი ედვარდსის (ექიმი მარკ გრინი სე-
რიალიდან „სასწრაფო“) დამსახურებით
მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ მეგი სკო-
ლაში დიდი პოპულარობით სარგებლობ-
და და თამამ გოგონადაც ითვლებოდა,
პირველი მეგობარი ვაჟი მან უნივერსიტეტ-
ში სწავლის დროს გაიჩინა და ეს ჭაბუკი
სწორედ ენტონი ედვარდსი იყო.

პირველი წარმატების შემდეგ, სულ
ცოტა ხანში, მეგ რაიანი სტივენ სპილბერგმა
მიიწვია თავის ფილმში „შინაგანი სივრცე“.
გადაღებების დროს კი მეგმა თავისი ქმარი
(უფრო სწორი იქნება თუ უკვე ვიტყვით:
ყოფილი ქმარი) დენის კუეიდი გაიცნო.
სამაგალითო და წესიერი ენტონი ედ-
ვარდსის შემდეგ, მეგი ლოთის და ნარკო-
მანის სახელით ცნობილ დენის კუეიდს

დაუახლოვდა. მათი ურთიერთობა ოთხი
წელი გაგრძელდა და ამ პერიოდში მეგიმ
დენისი სამაგალითო მამაკაცად აქცია:
გადააჩვია ნარკოტიკებს და ლოთობას,
მიაჩვია ვარჯიშს და 1991 წელს, წმინდა
ვალენტინის დღესასწაულზე მათ ქორ-
წილიც გადაიხადეს. 9 წლის მანძილზე
მათი ოჯახი იდეალურად ითვლებოდა.
მეგი და დენისი თავს ბედნიერად გრძობდ-
ნენ და რომანტიკულად ულოცავდნენ ერთ-
მანეთს დაბადების დღეებს: ერთხელ კუეი-
დის დაბადების დღეზე რაიანმა თვითმ-
ფრინავი დააქირავა, რომელიც მათ სახლს
უფრენდა გარშემო და უკან მისალოცი
ტექსტით დამშვენებული ლენტე მიჰყე-
ბოდა, თავად დენისმა კი მეგის დაბადების
დღეზე სკოლის ორკესტრი შინ წაყოლაზე
დაითანხმა და ცოლის პატივსაცემად სიმ-
ღერა შეასრულებინა. წყვილს 1992 წლის
24 აპრილს ვაჟი — ჯეკ ჰენრი შეეძინა.
იმ პერიოდში პრესა მეგ რაიანს ყველაზე
ლამაზ და ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ
ვარსკვლავად მოიხსენიებდა, და თან ამ-
ატებდა, რომ მიუხედავად ამისა, ის მაინც
ბალიან კარგ მსახიობად ითვლებოდა. იმ-
ხანად მეგი უკვე ვარსკვლავი იყო: ეს მან
1989 წელს იგრძნო, როცა ეკრანებზე
გამოვიდა კომედიური მელოდრამა „როცა
გარი შეხვდა სალის“. ფილმმა მთელი
ამერიკა აღაფრთოვანა, ის არათუ წლის
ყველაზე შემოსავლიანი სურათი გახდა,
არამედ კინემატოგრაფიის ისტორიაში 80-
იანი წლების მთავარი რომანტიკული
ფილმის სახელიც დაიმკვიდრა.

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში
რაიანის წარმატების საწინდრად სწორედ
ამგვარი რომანტიკული როლები იქცა, მას



არ ემინოდა იმიჯის შეცვლის: ოლივერ სტოუნის ფილმში „კარები“ (The Dors) მან ჯიმი მორისონის ცოლი განასახიერა, ხოლო 1994 წელს კი სურათში „როცა მამაკაცს უყვარს ქალი“ ალკოჰოლისადმი მიდრეკილების მქონე ქალის როლში სცადა თავი. ამ დრამატული როლების შესახებ დადებითი გამოხმაურებების მიუხედავად, რიგით მაყურებელს მეგის ხილვა რომანტიკულ კომედიებში ურჩევნია, მსახიობი მათ ქერათმიანი, სიმპათიური გოგონას, იდეალური შეყვარებულის და ცოლის როლით შეიყვარეს, რომელიც ყველას თავისი გულდიაობით და სიკეთით ხიბლავს.

1993 წელს ეკრანებზე გამოვიდა მაყურებელისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ფილმი „უძინარნი სიეტლში“, სადაც მეგ რაიანი ტომ ჰენქსთან ერთად მონაწილეობდა. ფილმებში მიწვევას და შესრულებულ როლებს თვლა აღარ ჰქონდა. 1994 წელს მეგმ მიიღო ჰარვარდის პრემია „წლის ქალის“ რანგში და ჟურნალ PEOPLE-ს მიერ „1994 წლის მსოფლიოში 50 ყველაზე ლამაზი ადამიანის“ სიაში დასახელდა.

ამას მოჰყვა ოდნავ თავქარიანი კომედია „ფრანგული კოცნა“, რომელიც სრულიად შეესაბამებოდა მსახიობის ამპლუას და მსახიობს პარტნიორობას კეენი კლანი უწევდა.

აგრეთვე აღსანიშნავია მისი 1998 წლის ნამუშევარი „თქვენს სახელზე წერილი“, სადაც რაიანთან ერთად ისევ ტომ ჰენქსი მონაწილეობდა. ამჯერად მათ სამუშაოზე უსახვროდ შეყვარებული წყვილი განასახიერეს, რომელთაც ერთმანეთი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაიცნეს.

მეგ რაიანის კარიერა აღმასვლას განიცდიდა, თავად მეგი კი ცხოვრებაში იდეალური მეუღლის და დედის როლს ას-

„როცა მამაკაცს უყვარს ქალი“



„როცა პარი შეხვდა სალის“

რულებდა, სანამ 2000 წლის ივლისის თვეში წყვილმა გაყრის შესახებ არ გააკეთა განცხადება. განქორწინების მიზეზი კი ჰოლივუდის ახალი ვარსკვლავი, ავსტრალიელი რასელ ქროუ გახდა.

მეგ რაიანმა რასელ ქროუს თურმე მაშინ დაადგა თვალი, როცა „გლადიატორის“ ეკრანებზე გამოსვლამდე ფილმის მასალა ვიდეოკასეტაზე იხილა და მაშინვე ჭაბუკის ხელში ჩაგდება განიზრახა. ამისათვის მან სპეციალურად გადააკეთებინა ფილმის – „ცხოვრებისეული სამხილი“ სცენარი, პარტნიორად რასელ ქროუ შეარჩია და ისინი ერთად აღმოჩნდნენ გადაღებებზე ეკვადორში. საქმიანი ურთიერთობა მალე გადაიზარდა მეგობრულში, შემდეგ კი სასიყვარულო გატაცებად იქცა. იმ სასტუმროს თანამშრომლები, სადაც მსახიობები გადაღების დროს ცხოვრობდნენ, შემდგომში იხსენებდნენ, რომ „გადაღებების შემდეგ მეგი და რასელი ერთ ბოთლ არაყს და ტონიკს ყიდულობდნენ და დილაძე ნომერში იკეტებოდნენ.“

ფილმის რეჟისორი ტეილორ ჰეგგორდი მოვლენათა ასეთმა შემობრუნებამ ძალიან გაახარა: გადაღებების დროს დაწყებული ხმაურიანი რომანი შესაძლოა, ფილმისთვის კარგი რეკლამა გამოძგარიყო, თუმცა

მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და ფილმიც გაქირავებაში სამარცხვინოდ ჩაფლავდა.

ამასობაში კი მეგიმ პოზიციების განმტკიცება სხვა ხერხებითაც სცადა: როცა რასელს ბიძა გარდაეცვალა, ალერსით და ყურადღებით ცდილობდა მის დაწყნარებას, ხოლო როცა ქროუმ ცოტა ხნის შემდეგ მხარი იტკინა, მზრუნველობით უვლიდა მას. მეგიმ რასელის მშობლებსაც მოაწონა თავი, როცა ავსტრალიის ოლიმპიადის დროს ქროუმ რაიანი სამშობლოში ჩაიყვანა.

თითქოს ყველაფერი შესანიშნავად ვითარდებოდა, ორი ადამიანი ერთმანეთს შეხვდა და სასიყვარულო ურთიერთობაც გაჩაღდა, მაგრამ მათ ერთი „წვრილმანი“ დეტალი გამოიჩინა – მეგ რაიანი გათხოვილი ქალი იყო. მისმა ქმარმა ცოლის ღალატის ამბავი ერთ-ერთმა პირველმა შეიტყო და პრესის პირველი თავდასხმებიც ღირსეულად აიცვალა, განაცხდა რა, რომ ყველაფერი სიცრუე იყო და ცოლქმრის ურთიერთობაში იმხანად გაჩენილი ბზარის მიუხედავად, ისინი განქორწინებას არ აპირებდნენ, მაგრამ ურთიერთობების აღდგენა ვეღარ მოხერხდა, მეგის შერყევა აღარავის შეეძლო, შეილსაც კი, და 2000 წლის 11 ივლისს დენის კუეიდმა თავად შეიტანა განცხადება განქორწინების თაობაზე. მას ყველაფრის გასაცნობიერებლად კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდა და სექტემბრის შუა რიცხვებში დენისმა განქორწინებისთვის საჭირო საბუთებს მოაწერა ხელი. მისი ახლობლები და მეგობრები შიშობდნენ, რომ კუეიდი ისევ მიუბრუნებოდა მავნე ჩვევებს – ნარკოტიკებს და ალკოჰოლს, მაგრამ დენისმა შურისძიების სხვა მეთოდი აირჩია: მან ფილმისთვის სცენარი დაწერა, ეს მწერლობაში მისი პირველი ცდა იყო, ფილმის სამუშაო სათაური კი ასე ჟღერდა: „სირცხვილი შენ!“ სცენარის მიხედვით საკმაოდ ცნობილი პიროვნება ეჭვობს, რომ მას ცოლი ღალატობს და ქალს მხოლოდ ეჭვის ნიადაგზე კლავს. თუმცა ფილმის გმირქმარს კუეიდმა ჩადენილი დანაშაული იოლად მინც არ აპატია და სიუჟეტის

ერთგული ეკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-
ებათ პასუხის გაცემა...

1. დიზაინერი, რომელმაც პირველმა გაუშვივლა მკაბრდი მოდელივას:



- ა) პაკო რაბანი;
- ბ) ვივიენ ვესტვუდი.
- გ) ივ სენ-ლორანი.

2. რას ეძახდა უინსტონ ჩერჩილი იტალიას?



- ა) ევროპის დაუცველ მუცელს;
- ბ) ევროპის ტვინს;
- გ) ღელამიწის გულს.

3. კოსმოსში ყოფნისას ადამინანებს ოდნავ ემატებათ:



- ა) წონა;
- ბ) პულსი;
- გ) სიმაღლე.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მიხედვით ისიც მოკლა.

თავად მეგი კი მომხდარზე კომენ-
ტარს გაუბოლდა და შეკითხვაზე, თუ რა
იქნებოდა მომავალში, პასუხობდა: „ჯერ-
ჯერობით არ ვიცი, უნდა დავისვენო და
ყველაფერში კარგად გავერკვე. როცა მე
და რასელი ავსტრალიიდან დაბრუნდებ-
ით, მერე გადავწყვეტ, თუ როგორ ვიცხ-
ოვროთ. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება,
მე ხომ რასელი ძალიან მიყვარს.“ რა-
იანის სიყვარული იმდენად დამაბრმავე-
ელი იყო, რომ მასზე ქროუს მრავალრიცხ-
ოვანი სასიყვარულო თავგადასავლის შესახ-
ებ მონაცემი ამბებმაც ვერ იმოქმედა.
რასელის შეყვარებულებს შორის იყვნენ
ისეთი მსახიობები, როგორებიც არიან ჯოდი
ფოსტერი და ვაინონა რაიდერი. თანაც
ჯოდი ფოსტერთან ხელიხელგადახვეუ-
ლი ქროუ ლოს-ანჯელესში ზაფხულის
დასაწყისში დააფიქსირეს, სწორედ მაშინ,
როცა მეგი დაჟინებით მოითხოვდა მეუღლ-
ისგან გაყრას.

ასე იყო თუ ისე, ჰოლივუდი ახალი
ვარსკვლავური ქორწინებისთვის ემზად-
ებოდა, მაგრამ ცნობილი „გლადიატორი“
ადვილად დასაბყრობი არ აღმოჩნდა. მა-
შინ, როცა მეგის თითქმის ყველაფერი
დაგვემილი ჰქონდა და ბავშვის გასაჩენად
ემზადებოდა, რასელ ქროუმ ერთ-ერთ ინ-

ტერვიუში განაცხადა, რომ თავისი ოცნებ-
ის ქალს ჯერ არ შეხვედრია. ამ ცნობამ
საშინლად იმოქმედა რაიანზე: მან ქროუს
სკანდალი მოუწყო და ყველაფერი იმით
დასრულდა, რომ წყვილი ახალ წელს
ცალ-ცალკე შეხვდა.

ამჟამად მეგი თითქოს გონს მოეგო და
ყოფილი ქმრის, ღენის კუეიდის დაბრუნებას
ცდილობს. თუმცა, ადვილი საქმე არც ეს
არის, რადგან ღენის გაყრისგან მიღებუ-
ლი ტკივილი დაუამდა და რამდენიმე
ცნობილ ლამაზმანთანაც ჰქონდა რომანი
გაჩაღებული, ყოფილ ცოლთან შერიგებას
კი ეჭვის თვალთ უყურებს – მიტოვებუ-
ლი ქმრის როლში აღმოჩენა აღარ სურს.

რაიანს კი ისღა დარჩენია, უიღბლო
სიყვარულისგან მიყენებული ჭრილობები
მოიშუმოს და კვლავ სამუშაოს დაუთმოს
მთელი დრო, მით უმეტეს, რომ მისი ჰონ-
ორარები დღითი დღე იზრდება: „ანგელო-
ზების ქალაქში“ მას 8,5 მილიონი დოლარ-
ი გადაუხადეს, ფილმში „თქვენს სახ-
ელზე წერილია“ მეგიმ 10,5 მილიონი
მიიღო, ხოლო „ცხოვრებისეულ სამხილ-
ში“ – 15 მილიონი დოლარი. დღეს მეგ
რაიანი ჰოლივუდის ერთ-ერთ წარმატე-
ბულ და ცნობილ ვარსკვლავად ითვლება,
დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს...

«უროზანის» თვის ეოვლის ინსტიტუტი

თმის ცვენის შეჩერება და გახშირება

**10-დღიანი გამაჯანსაღებელი მასაჟის კურსი,
თავის კანის მკვებავი კრემები, ლოსიონი და
მცენარეული შამპუნი; ჯანსაღდება თმის პირები;
იკურნება კანის ქავილი, დაჭიმულობა, ქერტლი.
აბრეთვე ბთავაზობთ:**

1. ჭარბთმინაობისგან განკურნება უახლესი საფირმო საშუ-
ალეებით: კრემი, რქა.
2. უნივერსალური ღღისა და ღამის კრემები, სახის გამწვანდი რქა.
3. ტილის და ნილბის მოსაყილაპალი მცენარეული ლოსიონი.
4. განდომა უღიანოდ, მხოლოდ სამკურნალო მცენარეების
საშუალეებით.
5. ღრძილების სამკურნალო საშუალები (ანთება, დანევა, მტკი-
ვანი და სისხლმდანი ღრძილები).
6. ბუასილის სამკურნალო მალამო და ლოსიონი.
7. ხველების ნეაითები (აქლიარებს ფილტვებს, ასუფთავებს
ბრონქებს).

ვმუშაობთ ყოველდღე 10-18 სთ-მდე კვირის გარდა
მის: **ჭავჭავაძის 5, ვაკის ლეჩოკობინატი**
„მშვენიერების ცენტრი“ – „უროზანის“ კაბინეტი.

☎ 25 00 74

დასაწყისი იხ. გზა №38-40

ანზორთან შეხვედრის შემდეგ ორი კვირა გავიდა. იგორმა მოსვენება დაკარგა, მოუთმენლად ელოდებოდა მის ზარს. მობილური მუდამ თან დაჰქონდა, ღამით საწოლთან დებდა. ფხიზლად ეძინა, ზარი რომ არ გამო-პარვოდა...

შინ ვეღარ ჩერდებოდა, ვერც „მუშაობდა“. ძალიან აფორიაქებული იყო.

იმ სამი თვის განმავლობაში, რაც თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, ბევრი სიახლე შეიჭრა მის ცხოვრებაში.

ყველაზე მთავარი მის სულში ანთებული სიამაყის ნაპერწკალი იყო, რომელიც ანზორთან შეხვედრის მერე უფრო გაბრწყინდა.

„შემიშნეს. ესე იგი რაღაც შემძლებია!“ – ფიქრობდა იგორი. მოზღვავებული სიხარულისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა. მას თვალწინ უზრუნველი ცხოვრება ეხატებოდა. საოცარი ის იყო, რომ მანამდე მისი სულის სიღრმეში ჩაკარგული „მე“ წინ წამოიწია, თითქოს გაიზარდა, და რაღაც მარწმუნებელსგან გათავისუფლდა...

ქუჩაში იგორი აკვირდებოდა, როგორ ეცვათ მის თანატოლებს, როგორ დადიოდნენ, როგორ ლაპარაკობდნენ. უკვე აღარ მოსწონდა თავისი მოუხეშავი მანერები.

მაღაზიებს ჩამოუარა. წინასწარ ეძებდა იმას, რასაც იყიდდა, როცა ფული გაუჩნდებოდა.

„რა საინტერესოა ცხოვრება!“ – თავისი არსებობის მანძილზე პირველად ამოუტივტივდა ეს აზრი.

ფიქრებში წასული, ტროტუარზე მიაბიჯებდა, როდესაც მობილურმა დაიწკრიბლა.

– გისმენთ! – იგორს გულმა ბაგაბუვი დაუწყო. ანზორის ხმის გაგონებაზე სიხარულისაგან სახე წამოუწითლდა.

– ხვალ, რვის ნახევარზე დათქმულ ადგილას ვიქნები.

მობილურზე ნომერი არ დაფიქსირებულია.

„ბოლომდე არ ხსნის კარტებს“ – გაიფიქრა იგორმა და შინ დაბრუნება გადაწყვიტა.

ტროტუარზე გავლისას მაღაზიის ვიტრინაში საკუთარ ანარეკლს შეასწრო თვალი. გაქუცული ფენსაცემლები, გახეხილი, ძველი ჯინსის შარვალი და პეწდაკარგული მისური თვალში აღარ მოუვიდა. „არა, ასე მისვლა უხერხულია, – გონება-



თინა ღალაქიშვილი
ლადო ნაპირელი

ზვანოცი

ში გადაითვალა, რამდენი ჰქონდა დარჩენილი. „ორას ლარამდე იქნება“, – გაიფიქრა და პირველივე მაღაზიაში შევიდა.

ნახევარ საათში ცელოფანის ჩანთებით ხელში, ამაყად მიაბიჯებდა ქუჩაში.

ალუმინის ვიტრაჟებში ჩასმულ, ნახევრად გამჭვირვალე მინებიან შენობასთან შეჩერდა. „მამაკაცთა სალონი“ – დამარცვლით წაიკითხა. გაუბედავად შეაბიჯა დიდ სარკეებიან ოთახში, სადაც რამდენიმე სავარძელი იდგა.

– აქეთ მობრძანდით, – ქერათმიანმა გოგონამ სავარძელზე მიანიშნა, – თმის შეჭრა გნებავთ? – მსუბუქი რუსული აქცენტით ჩაილაპარაკა.

– დიას, – თავი დაუქნია იგორმა და სავარძელში ჩაემვა.

– პარკები მომეცით, საკიდარზე დაკიდებ, – თავაზიანად ჩამოართვა ტვირთი იგორს. შემდეგ სავარძელი მიუტრიალა.

– თავი უკან გადაწვიეთ... – საშხაპე ყურმილი აიღო და თბილი წყლის ნაკადით იგორს თმა დაუსველა. – ნუ გეშინიათ, ტანსაცმელი არ დაგისველდებათ. გოგონას გრძელი, თხელი თითები ელვისებურად „დარბოდა“ იგორის თმაზე, იგორი გასუსული იჯდა. მალულად თვალს გოგონას სახისკენ აპარებდა. საოცარი გრძობა გაუჩნდა – თითქოს უწონადი ხდებოდა. თვალები დახუჭა. თმაზე რაღაც სურნელოვანი სითხე დაესხა.

„შამპუნი“ – გაიფიქრა და თვალები

გაახილა. მზერა ისევ გოგონას სახისკენ გაექცა. იგორი მზად იყო, საუკუნე მჯდარიყო ასე...

– აბა, აიღეთ მაღლა თავი, – ფაფუკი პირსახოცით სწრაფად შეუმშრალა თმა და სავარძელი მიატრიალა. ახლა იგორს სარკეში შეეძლო ედევნებინა თვალი ქერათმიანი ანგელოზისათვის.

– მშვიდად იჯექით, თავი გააჩერეთ, – შეახსენა გოგონამ.

– ბოლიში, – ჩუმად ჩაილაპარაკა იგორმა.

– აჰა, მოვრჩით, – შემოსნა ყელთან შეხებული ქსოვილის ნაჭერი, ტანსაცმლიდან თმა ჯვარისით მოაცილა.

იგორი დაკვირვებით ათვალიერებდა თავის ახალ ვარცხნილობას. სარკიდან სიმპათიური ბიჭი იმზირებოდა.

– კარგია, – გაუღიმა გოგონას.

– იქ გადაინადეთ, – ხელით სალაროზე მიუთითა.

– გმადლობთ, ნახვამდის, – დაემშვიდობა იგორი და სალაროსაკენ წავიდა.

– რამდენი უნდა გადავიხადო?

– ათი ლარი. – უთხრა წითელპომალიანმა ქალმა.

გაკვირვებული, წამით გაშეშდა, მერე ათლარიანი გაუწოდა. შენობიდან გამოვიდა და სამარშრუტო ტაქსების განჩერებისკენ გაემართა. ერთი სული ჰქონდა, როდის გამოეწყობოდა ახალ ტანსაცმელში.

იას მზის ამოსვლისთანავე გაეღვიძა. სწრაფად წამოდგა, საშინაო ჩითის კაბა ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა. ჩაიდანი გაჩქურაზე დადგა და მავიდაზე გადაშლილი კონსპექტის კითხვა დაიწყო.

ღამით ცუდად ეძინა. სულ მომავალ დღეზე ფიქრობდა. პირველი გამოცდა ინგლისურში ჰქონდა.

მსუბუქი თავბრუს ხვევა იგრძნო. ვალერიანის აბი გადაყლაპა. ჩაიდნის შიშინმა მიიქცია მისი ყურადღება. გაჩქურა გამორთო.

– რა ადრე ამდგარხარ, – კარში იგორი იდგა და იღიმებოდა.

– უნდა გადავხელო კონსპექტებს. მეშინია გამოცდის. ძალიან ვნერვიულობ, – გამოუტყდა ია.

– დამიჯერე, ყველაფერი კარგად იქნება. გული ასე მიგრძნობს, – დაამშვიდა იგორმა, შეჩერდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა.

– რაღაცის თქმა გინდოდა, მგონი...

— არა... ჰო... ხომ არ გეწყინება, „საბალელშიკოდ“ რომ ვერ წამოგყვე. სასწრაფო საქმე გამოჩნდა. მე და ჩემმა ძმაკაცმა პატარა ბიზნესის „დატრიალე-ბა“ გადაწყვეტიტო...

— რა ბიზნესის? — დაინტერესდა ია.

— იაფად ავიღეთ საქონელი. მაღაზიებში უნდა ჩავაბაროთ.

— მართლა? როგორ მიხარია. ძალიან მინდა, იმ მძიმე სამუშაოს ჩამოშორდე. შენი ჯანის პატრონისთვის ძნელია მტვირთავად მუშაობა.

— ჰო. მეც მინდა თავის დანებება... ვნახოთ, მე და ჩემს ძმაკაცს როგორ გავიმართლებს.

— ნეტა!

— დღეს რა უნდა ჩაიცვა? — დაინტერესდა იგორი.

— შენ, ალბათ, გინდა, რომ წითელი კაბა ჩავიცვა? — უთხრა იამ, იგორს მიუახლოვდა და სიყვარულით თმა აუწეწა, — დღეს სადად ჩავიცვამ. შენი ნაყიდი — გამოსასვლელი კაბაა, უხერხულია მისი გამოცდაზე ჩაცმა.

— სხვებსაც გიყიდი... ია, შეიძლება დღეს დამაგვიანდეს და არ ინერვიულო. ისე, ჩაის თუ დამალეკინებ, კარგი იქნება.

— ახლავე. პური დაჭრილია. ესეც კარაქი, — ჩაი დაუსხა და ჭიქა მიაწოდა, — მე ოთახში გავალ და კიდევ ერთხელ გადავაკლებ თვალს კონსაქტებს.

იამ რვეულები წამოკრიბა და სამზარეულოდან გავიდა.

იგორს ჭამის მდა დაეკარგა. კარაქ-წასმული პურისათვის ხელი აღარ უხვლია. მხოლოდ ჩაი მოსუა.

„ვნახოთ, რა საქმეს მომცემს ანზორი. მერე აუცილებლად წავალ დელაჩემის სანახავად“.

კარგა ხანი იჯდა ჩაფიქრებული.

— იგორ, მივივარ.

— ადრე არაა?

— საათ-ნახევარი მანინც მჭირდება უნივერსიტეტში მისასვლელად. ორი ტრანსპორტი უნდა გამოვიცვალო.

— როცა მოეწყობი, უნივერსიტეტთან ახლოს უნდა ვნახოთ ბინა.

— რას ამბობ? — შეიცხადა იამ, — იქ ბინები ძალიან ძვირია.

— თუ ჩემი ახალი საქმე კარგად წავიდა, არ გამიჭირდება ქირის გადახდა.

— ღმერთმა ქნას. მივივარ, წარმატება მისურვე, იგორ...

დღით ადრე დათქმულ ადგილას შეხვდნენ. ციოდა. ცივი ქარი უბერავდა.

მიხო მანქანით იყო მოსული.

— გამარჯობა, — ყრუდ მიესალმა, —

ჩაჯექი, წავედით.

ცარიელ ქუჩებში კარგა ხანს იარეს, სანამ მინიშნებულ სახლთან მივიდოდნენ. მიხომ რვასართულიან კორპუსთან გააჩერა მანქანა.

— სახლში არავინაა. ამ კორპუსის მოპირდაპირე კერძო სახლში შევიდვართ. გალაგანი კი მაღალია, ოთხ მეტრზე ცოტა მეტი იქნება, მაგრამ არაფერია — გადავალთ. ჰო, მართლა, ძალიან ეზოში.

იგორმა თავი დაუქნია. პირველი დღე აღარ იყო, რაც ერთად საქმიანობდნენ, მაგრამ იგორმა მას მანინც ვერაფერი გაუგო.

— ვიცი. ანზორმა ხომ გვითხრა გუშინ...

— მანინც გაგიმეორებ... ჯერ კიდევ ახალბედა ხარ. შეიძლება რამე გამოგჩრქეს, დაგავიწყდეს. ეს ძალს გადაუგდე, — ქალღმერთი გახვეული ძეხვის ნაჭრები გაუწოდა, — წავედით.

იგორს შეამცინა. ჯემპრის საყელო აიწია.

— ხომ არ გეშინია? — შეეკითხა მიხო.

— არა, — ჩაილაპარაკა იგორმა.

— აქეთ მოდი, — რკინის კავშირბული თოკი გალაგანზე გადააგდო. ისე მოხერხებულად ისროლა, ეტყობოდა, რომ ნავარჯიშევი იყო. კავი გალაგანის მაღლა დამაგრებულ რომბის ფორმის რკინის ბადეს გამოსდო.

— აცოცდი... — განხედა იგორს.

იგორი სწრაფად აცოცდა გალაგანზე. ეზოდან ძაღლის ყეფა მოისმა.

— გადაუგდე!

იგორმა ქალღმერთი შემოსხნა ძეხვს და ეზოში მოისროლა. ძაღლმა დასუნა „ნობათი“, შეჩერდა. გვერდით ჩამოჯდა, მერე ცდუნებამ დაძლია და ხარბად ეცა... რამდენიმე წუთში უსულოდ დაეცა მიწაზე.

— მორჩა, — დაიჩურჩულა იგორმა და ეზოში ისკუპა. მალე მიხოც მასთან გაჩნდა.

— მისმინე. კიბის გვერდით პატარა „ფორთოჩკა“, შეეტივი. მერე შენ თვითონაც იცი, რა უნდა გააკეთო. ამ თოკს ბუჩქებში ვტოვებ, იცოდე.

იგორმა პატარა სარკმელი შეათვალიერა.

— შემისვი მხრებზე, — მიხოს მიუბრუნდა, — ჰო, ასე... მივწვდი.

სარკმელს დაეჯავჯავრა.

— ჩაკეტილია, ვერ გავაღე... „ელექტრონაუგოკა“ მომწოდე. კაი რამეა. დატენი, მერე, სადაც გინდა წაიღე, ღენი აღარ გჭირდება.

ხერხის ზუილის სუსტი ხმა გაისმა. იგორმა ხუთ წუთში გადახერხა რაზა და სარკმელი შეაღო.

— მორჩა, — ხელებზე აიწია, სწრაფად

გადაძვრა სარკმლიდან და იატაკზე დახტა. გარშემო მიმოიხედა. „ეს, ალბათ, საკუჭნაო.“ თაროებზე ყუთები ელაგა. შიგ კონსერვის ქილები ეწყო. იქვე სხვადასხვა ზომის ქვაბები და ისეთი საოჯახო ნივთები ელაგა, რომელიც, ჩანს, ხშირად არ სჭირდებოდათ. ოთახში საოცარი წესრიგი სუფევდა.

საკუჭნაოდან გასასვლელ კარს საკეტი არ ჰქონდა და იგორი თავისუფლად გავიდა. დიდ ჰოლში ამოყო თავი.

ჰოლის აქეთ-იქით ოთახები იყო გამწვკრივებული. „ეს, ალბათ, საძინებლებია“ — გააფიქრა იგორმა. ჰოლის ბოლოს სასტუმრო ოთახი იყო.

იგორი ფრთხილად ადგამდა ფეხებს, რომელზეც ორი ზომით დიდი ფეხსაცმელი ეცვა და ეს სრულიად არ უშლიდა მოძრაობაში, ამ ხერხიტ კი პოლიციას შეცდომაში შეიყვანდა. ხელებზე ხელთათმანები ჰქონდა წამოცმული.

სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ყველა ოთახი გულდასმით შეამოწმა. „ქსივა“ სწორი აღმოჩნდა. იგორი დამშვიდდა. უფრო გაბეჯულად მოძრაობდა. გარკვეული ათვალისებრად ფეხსაცმელურად, ლამაზად მოწყობილ სახლს.

ძალიან მოუნდა, თუნდაც ცალი თვალით შეეხედა პატრონისათვის: ალბათ, თვითკმაყოფილი, თავის თავში დარწმუნებული კაცის გარეგნობა ექნებოდა.

ამ ფიქრებში გართული ჰოლში დაბრუნდა. ერთ-ერთი ოთახის კარი ფრთხილად შეაღო. ფანჯარას მიუახლოვდა, საკეტი ჩამოწია და გააღო.

იგორმა ჩუმად დაუსტვინა. მიხო უმაღლ მასთან გაჩნდა.

— ყოჩაღ! ჩვიდმეტ წუთში შენობაში შევედით, — საათს დაჰყურებდა მიხო, — კარგი ტემპია.

იგორმა კმაყოფილებით ჩაიცინა.

— ჰოლის მარჯვნივ განგალებულ ოთახებს შენ მიხედე, — უთხრა მიხომ, — მარცხნივ კი მე წავალ.

ნახევარ საათში, სახლში, რომელშიც სანიმუშო წესრიგი სუფევდა, ადამანი თავისუფლად ფეხს ვეღარ გადადგამდა. ირგვლივ იატაკზე მიმოფანტული იყო საწოლის ლეიბები, გადაყარებული, გამოშვებული რბილი სკამები, ყვარა წიფნები...

— ვიპოვე! — წამოიყვირა იგორმა. მიხო ოთახში შევარდა.

— აბა? — გაფაცვიცლებული იხედებოდა გარშემო.

გამოწეულ საწოლთან დაჩოქილი იგორი კედელს უმხერდა.

— რა იპოვე? — მოუთმენლად შესძახა მიხომ.

იგორმა ჩამრთველისაკენ გაიშვირა ხელი.

— ეს ხომ ჩამრთველია? — დაიბნა მიხომ.

— საწოლის ქვეშ დააჭირე თითი.

მიხომ ღილაკს დააჭირა ხელი და სუსტი ტკაცანი გაისმა. ჩამრთველის ქვემოთ, კედელთან ახლოს მდებარე წითელი ხის პარკეტმა ოდნავ ამოიწია.

მიხომ თავისკენ მოქაჩა. ქვევით რკი-



ნის მოზრდილი ზარდახშა გამოჩნდა.

— გენიოსი ხარ! — ეიფორიაში ჩავარდნილმა მიხომ ხმამაღლა წამოიძახა, — მაგარი ბიჭი ხარ! ანზორა ცუდ კაცს არ მოძებნიდა.

რკინის ზარდახშას პატარა ბოქლომი ეღო.

— ამის გახსნის და დათვალიერების დრო არაა, წავედით, — განკარგულება მიხომ გასცა.

ორივე სწრაფად გავიდა ოთახიდან. მიხომ ჰოლში დადებულ ორ ჩანთას წამოვალაო ხელი.

— არც მე ვიყავი უქმად. აბა სწრაფად, ავითესოთ აქედან...

თბილისის შემოსასვლელთან მინიმუმ ნებულ ავტოგასამართ სადგურთან ახლოს ანზორის თეთრი „ჟიგული“ ელოდებოდათ... ეს უკვე მათი ხშირი შეხვედრების ადგილად იქცა.

ალექსანდრეს ბაღში სამი გოგონა იჯდა. ხელში ქალაღლის პარკები ეჭირათ და ბატი-ბუტს შეექცეოდნენ. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და მხიარულად იცინოდნენ.

— როგორ შეაყვარე ასე თავი, რომ გვერდიდან აღარ გცილდება, სულ კულში დაგდევს.

— ო, ეს ჩემი საიდუმლოა, — გაუცინა იამ უნივერსიტეტულ ჯგუფელებს.

— ისე, არც შენ უნდა იყო მთლად გულგრილი — ეშმაკურად გაიღიმა ჟღალთმიანმა და თვალები მოჭუტა.

— არ ვიცი... — ჩაფიქრდა ია, — ალბათ, დრო გვიჩვენებს...

— სანამ შენ გამოკვლევას ჩაატარებ, გიყვარს თუ არა, სხვა წავართმევს მაგ შენს კავალურს. ასე რომ, ფრთხილად!

მოკლეთმიანმა, შავგვერდმა გოგონამ გვერდზე მოქცეული ჭრელი ყელსახვევი შეისწორა და წამოიძახა:

— შეხედე, აქაც მოგვაგნო! — და ბილ-

იკზე მომავალ მაღალ ყმაწვილზე თვალით ანიშნა.

— გეგა! — შენიღბული სიხარულით წამოიძახა იამ.

— არა, ძვირფასო, კუკუდამალობანას ნუ გვეთამაშები. შებშული ხარ უკვე! — მხიარულად გადაიკისკისა ჯინსში გამოწყობილმა ჟღალთმიანმა.

ბიჭი გოგონებს მიუახლოვდა.

— ჩვენი აქ ყოფნა როგორ შეიტყვევ? „სვოდკები“ ვინ ჩაგვიტოვებდა? — უნაკლო თეთრი კბილების მწვრივი გამოაჩინა ყელსახვევიანმა.

— გვანცა შემხვდა გაჩერებაზე.

— მოკლედ, აგენტურის ფართო ქსელი გაქვს.

გეგამ გაიღიმა. მერე იას უთხრა:

— სალაპარაკო მაქვს შენთან. გოგონებო, — მიმართა იას ამხანაგებს, — ხომ არ გეწყინებათ, დაქალი რომ წავართვათ?

— ოღონდ თქვენ რამე გეშველოთ და საერთოდ აღარ გაგეკარებით, — გადაიკისკისეს გოგონებმა.

გეგამ იას ხელი ჩაჰკიდა და წამოაყენა. ბილიკს გაუყენენ.

— დღეს ჩვენებს დაველაპარაკები... —

თვალებში ჩახვდა იას, — იცოდე, სიყვარულის ახსნა და ასეთი რამე-რუმეები არ მეხერხება. რომ მიყვარხარ, ამას მშვენივრად ხვდები... ცოლად გამომიყვები...

ია შეკრთა. ადგილზე მილურსმულივით გაჩერდა.

— ჰო, ჰო, უკვე ნახევარი წელია ძალიან მიყვარხარ. უშენოდ ვერ ვძლებ. როდემდე უნდა გდიო ასე... არ სჯობს, ერთად ვიყოთ? შენი აზრი მაინტერესებს... არ დამიწყო, მოვიფიქრებო... ამას ფიქრი არ სჭირდება. ან ჰო, ან არა.

იამ მსხვილი ტუჩები ოდნავ გააპო. რაღაცის თქმა უნდოდა, ვერ მოახერხა: ნერვიულობისაგან პირი გაუშრა და ხმა არ ამოსდიოდა.

გეგამ წელზე მოხვია ხელი, ია თავისკენ მიიზიდა და მათი ტუჩები ერთმანეთს შეეწება...

ნარკოლოგიური დისპანსერის ეზოში გრძელ, თეთრად შეღებილ მერხზე იგორი და დედამისი ისხდნენ. ვერა გლუშკოვამ ხელები მუხლებზე დაიწყო, რომ კანკალი გაეჩერებინა. შვილს ვედრებით სავსე თვალებით უცქერდა.

— წამიყვანე აქედან. ვერ ვძლებ. თავს მოვიკლავ, იცოდე. ისევ ჩემს სახლში მირჩენია უპატრონოდ გდება, ვიდრე აქ, ამ... — რუსულად შეიკურთხა.

— დედა, ჯერ ახალგაზრდა ხარ და რას დაემსგავსე... აქ მოგარჩენენ. მერე კი... მე მინდა, რომ ჩვენ ერთად ვიცხოვროთ.

— ია? ია არ გაჩერდება ჩემთან, — მძიმედ ამოიოხრა გლუშკოვამ.

— არა, დედა. იას ეცოდები... ია გათხოვდება, ოჯახს შექმნის. მე და შენ ერთად ვიცხოვრებთ... სამსახურში კარგად მიმდის საქმეები, ცოტა ფული გამიჩნდა.

დედამ შვილს თავი მკერდზე მიადო. თვალის უბებები ცრემლმა დაუსველა.

— არ ვიცი რატომ, მაგრამ ასე მგონია, დიდხანს ვერ ვიცოცხლებ...

— საიდან მოგივა ზოლმე ასეთი აზრები?! შეიცხადა ვერამ.

— მე ვიცი, ვგრძნობ, — შეაწყვეტინა იგორმა — ახლა წავედი. მალე გინახულე, — წამოდგა მერხიდან, დედას ლოყაზე აკოცა და ეზოდან გავიდა. ვერა კარგა ხანს უცქერდა შვილს, სანამ იგი თვალს არ მიეფარა.



მაკრძ მაკრძაძე ტოტოტონცს და მონჯკრძს იბქმს

ბოპულარული ქართველი დიზაინერი ბაკურ ბაკურაძე მრავალგვარ საქმიანობას ეწევა: შოუკონცერტების დამდგმელი რეჟისორი და წამყვანიც არის, მხატვარ-დეკორატორიც, განათების სპეციალისტიც, ტელეწამყვანიც, დიზაინერიც, ვიზაჟისტიცა და იმიჯმეიკერიც. როგორც თვითონვე ამბობს, აქვს უამრავი შეკვეთა და გამუდმებით საქმეშია ჩაფლული.

ამჟამად ბაკური დავით გომართელიის შოუკონცერტის მოსამზადებლად მუშაობს. გადაცემა „პოლიუმის“ შეცვლასაც და სამანეკნო სტუდიის გახსნასაც აპირებს. შეწუხებულია უფულობით და გაღიზიანებულია იმით, რომ დროის სათანადოდ განაწილებას ვერ ახერხებს: „სამუშაო დროის გასანაწილებლად რეფერენტი მჭირდება, ასევე მენეჯერი, რომელიც ჩემ მაგივრად მოაგვარებს ჰონორარებთან დაკავშირებულ პრობლემებს, მე კი მხოლოდ შეკვეთებითა და საყვარელი საქმიანობით დავკავდები“.


გართობასა და მანეჟმენტთან დაკავშირებით კი, აი, რა მითხრა:

„მიყვარს სასმელი, თუმცა ამას მანეჟმენტს ვერ ვთვლი, მას ჩემთვის პრობლემა არ შეუქმნია. თუმცა, რამდენიმე დღის წინ მაინც მოხდა პატარა კურიოზი: მეგობრის ოჯახში ნაბახუსევზე ერთ-ერთ გოგონას დაებადა იდეა, ჩემთვის ყური გაეხერხებოდა, რაც მაშინვე განახორციელა და პაწაწინა ოქროს რგოლით მარცხენა ყურის ბიბილო გამიხერხებოდა...“

დათო ფორჩხიძე კომპიუტერის გადაცდის წინააღმდეგია

ჯგუფი „სახე“ სოლისტმა დათო ფორჩხიძემ კითხვაზე — განაგრძობს თუ არა „სახე“ არსებობას, შემდეგი პასუხი გაგვცა: „ვინაიდან „სახე“ თავყვანისმცემლებს ახალს ვერ არაფერს სთავაზობს, ის არც არსებობს, მაგრამ მე ვარსებობ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „სახე“ არ გაქრება“. მისივე თქმით, „სახე“ ისევ წარდგება მსმენელთა წინაშე, ოღონდ, დათო ფორჩხიძისა და გოგა ხაჩიძის შემადგენლობით. რაც შეეხება ხანგრძლივ პაუზას, დათო ამბობს, რომ ამჟამად ძიების პროცესშია: „სახემ“, რაც შეძლო, უკვე წარუდგინა თავის მსმენელს, ახლა კი უფრო ღრმად ეცნობა მუსიკალურ სამყაროს და სრულყოფილებისაკენ დგამს ნაბიჯებს. ამრიგად, შემოქმედებითი არასრულფასოვნების კომპლექსსაც მალე მოცილებს. კითხვაზე — ეთანხმება თუ არა კომპიუტერების გადაყრის აუცილებლობას თანამედროვე მუსიკალური სამყაროს გაჯანსაღებისათვის, დათო ფორჩხიძემ გვიპასუხა:

„ამას მხოლოდ კაცობრიობის მტრები თუ მოიძოქმედებენ. ეს იგივე იქნება, რაც მათემატიკოსისთვის კომპიუტერის გადაგდება, როდესაც ის ურთულეს ამოცანას ხსნის, — მხოლოდ იმისთვის, რომ ამით საკუთარი შესაძლებლობები დაამტკიცოს. ქართველ მსმენელს არანაირი უფლება არა აქვს, პრეტენზია გამოთქვას ცოცხალ შესრულებაზე: თუნდაც იმის გამო, რომ მომღერალს მხოლოდ ერთუნიანი მუშაობას სთხოვს, პრობლემები კი, რომელიც ცოცხალი შესრულებისას წარმოიშობა (ფინანსური თვალსაზრისით), მას საერთოდ არ აწუხებს: ბილეთში ზედმეტ დოლარსაც არ გადაიხდის. ბოლოს და ბოლოს, ციფრული მუსიკა კომპიუტერის გარეშე უბრალოდ ვეღარ იარსებებს“. კითხვებზე — ახლა კონკრეტულად რას საქმიანობს და რაიმე ოცნება ზომ არა აქვს, დათომ გვიპასუხა: „აღამიანმა კომპერციული მიზნები და საყვარელი საქმე ერთმანეთს უნდა შეუხამოს. მე ამ მხრივ კმაყოფილი ვარ — მაქვს საყვარელი საქმეც და შემოსავალიც. ოცნებით კი, ვისურვებდი, ჩემ მიერ შექმნილი, შემდგომში სხვამ ისწავლოს...“



ნუკრტი კაპანაძე ახალ კლიპში მუშაობს



მომღერალმა თითქმის დაასრულა ერთი მუსიკალური კლიპის გადაღება სიმღერაზე — „გამიღიმე, ცისკარო“. ნუკრის თქმით, მისი შემოქმედება მოულოდნელობებით არის სავსე და ამიტომ, წინასწარ არაფერს გეგმავს, თუმცა უმთავრესი გეგმები ერთი წლით ადრე აქვს განსაზღვრული. უკვე დასახელებული კლიპის გადაღებისთანავე ის მეორე კლიპზე მუშაობის დაწყებას აპირებს და ახალ ალბომთან ერთად, წარადგენს თავყვანისმცემლების წინაშე.

შეხვედრისას ნუკრისთან პირად საკითხებზე დალაპარაკებაც ვცადეთ, მაგრამ მომღერალმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა: ნუკრის თქმით, მას ძალიან აღიზიანებს არაპროფესიონალი ჟურნალისტების ერთფეროვანი და უაზრო კითხვები...

მონაგვარა რეზო კაგანიშვილი

მილ კლინტონს განგსფრთხულ თილმში ეპაფიქიმიან

აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს შესთავაზეს მონაწილეობა მიიღოს ფილმში – „ნათლიები, მამები და პრეზიდენტები“.

ამჟამად პროექტის ავტორი ჯანი რუსო ამაზე ექსპრეზიდენტის წარმომადგენლებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. მსახიობი, პროდიუსერი და სცენარისტი რუსო, მხოლოდ ყურმოკვრით როლი იცნობს განგსტერულ თემატიკას: ის თავად მონაწილეობდა ფილმებში „ნათლია“ და „ნათლია-2“;



თილიპინელი კათოლიკის თქასმა ახალშობილ შვილს მინ ლადნი დააბძვა



ცოლ-ქმარმა ეს, არაბი ტერორისტი მილიონერის პატივსაცემად გააკეთა. როგორც ჟურნალისტებს ბედნიერმა მამამ – 27 წლის ბათრაკ ნიკოლას სიველიენომ განუცხადა, ის უსამა ბინ ლადენს გმირად თვლის, რომელმაც მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ „ამერიკა სულაც არ არის უძლეველი“... ამასთან ნიკოლასი საკუთარ თავს ჭეშმარიტ კათოლიკედ მიიჩნევს.

ქმრის არჩევანს ბავშვის დედაც – 21 წლის მელიც დაეთანხმა. ჩინოვნიკების ყველა მცდელობა, დაერწმუნებინათ შშობლები, შვილისთვის სხვა სახელი შეერჩიათ, ამაო აღმოჩნდა.

მაიამის ციხეში ჰემინგუეის ფტანსუესფიფი ჯაჟი გაბდაიცვალა

ერნესტ ჰემინგუეის უმცროსი ვაჟი – გრეგორი, რომელიც გარკვეულ წრეებში, ტრანსვესტიტი გლორიას სახელით იყო ცნობილი, მაიამი-დეიდის ოლქის ქალთა წინასწარი დაკავების ცენტრის ციხის საკანში მკვდარი იპოვეს. 69 წლის გრეგორი რამდენიმე დღით ადრე, მაიამის მახლობლად მდებარე კუნძულზე ამორალური ქმედების გამო და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააპატიმრეს. პოლიციის გადმოცემით, დაპატიმრების მომენტში ჰემინგუეი მთვრალი იყო და სანაპიროზე სრულიად შიმველი დასეირნობდა.



გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ სიკვდილის მიზეზი გულის შეტევა გახდა.

თილმს სახელს ფტაბფიფის გამთ შუტვლიან

ლოს-ანჯელესში განაცხადეს, რომ სტივენ სოდერბერგის ახალ ფილმს, რომელშიც ჯულია რობერტსსა და დევიდ ღუხონის იღებენ, სახელს შეუცვლიან: ფილმს – „როგორ გადავურჩეთ ხანძარს სასტუმროში“, „შემობრუნების ხელოვნება“ დაერქმევა. პროექტის ავტორებმა განაცხადეს, რომ ეს „პოლიტიკური კორექტულობის მოსაზრებით“ გადაწყვიტეს: მათ არ სურდათ, რომ მაყურებელს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე განხორციელებული ტერორისტული აქტების ასოციაცია გასჩენოდა.



სიუჟეტის მიხედვით, ფილმში რამდენჯერმე არის ნახსენები ინსტრუქცია, როგორ უნდა მოიქცეო სასტუმროში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში. „ახალ სახელთან ერთად, ალბათ ამ დოკუმენტის შეცვლაც იქნება საჭირო: მაგალითად, ინსტრუქცია შეიძლება შეიცვალოს სახელმძღვანელოთი – მანქანის მართვის შესახებ“, – ამბობენ პროდიუსერები.

ეს საავტომობილო „კოლოფი“ პირველად, ლოს-ანჯელესის ავტოსალონზე წარმოადგინეს. „დოჯის“ ახალი კონცეპტი, რომელიც, როგორც ცნობილია, ახლა კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერის“ საკუთრებას წარმოადგენს, ზედმიწევნით ამერიკული პროდუქტია. საინტერესოა, რომ საერთოდ, აშშ-ში „დოჯს“ იაფი და უპრეტენზიო ავტომობილის რეპუტაცია აქვს და მანამდე, ვიდრე კატალოგში მის ორ მარკას – VIPER-სა და RAM-ს არ მიადგებიან, „კრაისლერის“ სამოდელიო რიგის ჩრდილშია მოქცეული. მაგრამ მარკისადმი ასეთი დამოკიდებულება სრულიადაც არ მოსწონთ დიზაინერთა ჯგუფსა და მის ხელმძღვანელს მარკ ალენს, რომელიც „დოჯის“ ხაზზეა პასუხისმგებელი. ისინი ცდილობენ, უფრო „დაკუნთული“ და გამომსახველი გახდონ ის, რათა მოკრძალებული აღჭურვილობისა და უბრალო გარეგნობის ნაწილობრივი კომპენსაცია მაინც მოახდინონ.

ამერიკაში დღითი დღე იზრდება ყველგანმავლების რაოდენობა და „დაიმლერ კრაისლერის“ კონსტრუქტორებიც არ ჩამორჩებიან ამ ტენდენციას. 1946 წლის სახელგანთქმული სატვირთოს – POWER WAGON-ის მოტივებზე შექმნილი POWERBOX-ის სიგრძე 4933 მმ, სიგანე – 1956 მმ, სიმაღლე – 1869 მმ აქვს. ეს ასევე ცნობილი მოდელის – DODGE DURANGO-ის ფორმატია. 1946 წლის ნოსტალგია, კაპოტისაგან გამიჯნულ ფრთებსა და სანათებისგან თავისუფალი რადიატორის დიზაინში იგრძნობა. მანქანის მასა 1814 კგ-ს შეადგენს,



Dodge Powerbox

რაც 200 კგ-ით ნაკლებია DURANGO-ზე, ეს კი თერმოპლასტიკისგან დამზადებული მსხვილფორმატიანი პანელების წყალობით არის მიღწეული. სხვათა შორის, ეს ტექნოლოგია ამერიკელებმა პირველად „ჯიპ ვრანგლერზე“ გამოიყენეს. ძარის მზიდი კარკასი ალუმინისგან არის დამზადებული. წინა კარები ტრადიციულია, უკანა კი – გასაწვვია. მსუბუქი მასალები უზვად არის გამოყენებული აგრეთვე მანქანის ჩარჩოსა და საკიდარში. საკიდარი, სხვათა შორის, „დოჯს“ პნევმატური აქვს, რაც კლირენსის შეცვლის საშუალებას იძლევა: გაჩერებისას, როგორც კი მძღოლი ავტომატური ტრანსმისიის სელექტორს PARK-ის რეჟიმში გადაიყვანს, მანქანა 76 მმ-ით დაბლდება.

POWERBOX-2,7 ლ V8 ძრავით არის აღჭურვილი, რომელიც ბუნებრივ აირზე, 70 ცხ. ძალიან

ელექტროძრავასთან ერთად (SIEMENS AUTOMOTIVE) მუშაობს. ამ წყვილში გაცხადებულია „დაიმლერ კრაისლერში“ ამერიკელთა და გერმანელთა ნაყოფიერი თანამშრომლობა. საინტერესოა, რომ ამერიკელებმა ამჯერად პირველად დაარღვიეს წლების მანძილზე დამკვიდრებული წესი, რომლითაც ელექტროძრავებს კილოვატებში ზომავდნენ.

100 კმ/სთ სიჩქარემდე ყველაგანმავალი კონცეპტი 8 წმ-ს ანდობს. საწვავის მარაგი ავტომობილს 350 კმ-ზე ყოფნის, საწვავის ხარჯი – 100 კმ-ზე 9 ლ-ს შეადგენს.

POWERBOX-ი პასუხობს კალიფორნიის შტატში არსებულ უმკაცრეს ეკოლოგიურ მოთხოვნებს. საინტერესოა, რომ ამ მოთხოვნათა სისტემა (SULEV) იმდენად უკომპრომისოა, რომ მის შეპოლებას სხვა შტატები ჯერჯერობით არ ჩქარობენ.



ATOS-ი

„დავაჟიანდება“

საგაიხოდ „კორეელი ციცქნა“ – ATOS-ი განახლებული სახით მოველინება საავტომობილო სამყაროს. ახალი, უფრო წახნაგოვანი დიზაინის წყალობით, მოდერნიზებული „ათოსი“ უფრო სოლიდურ იერს მიიღებს: ცხვირისა და უკანა ნაწილისთვის უფრო „დაკიდული“ ფორმის მიცემის წყალობით, ის მეტად დაგრძელებულიც ჩანს, თუმცა ბაზა – 2380 მმ – უწინდელი აქვს. უცვლელი რჩება აგრეთვე ერთლიტრიანი ძრავის სიმძლავრე – 56 ცხ.ძ. სტანდარტულ კომპლექტაციაში, „ათოსს“ ABS-ი და უსაფრთხოების ბალიშები დაემატება.

ახალი ტენდენცია

„ბეჟო 307“, „ფიატ სტილო“, „ჰონდა სივიკი“ – ავტომობილების ის სახეობაა, რომელიც მინივენისა და ჩვეულებრივი ჰენჩეკის ნაზავს წარმოადგენს. ამჯერად HONDA CIVIC-ზე შევაჩერებთ ავტომოყვარულთა ყურადღებას.

ამ ავტომობილების ახალი თაობა ძალზედ მდიდარია ძარის მოდიფიკაციებით: ერთი პლატფორმა 4 მოდეულს აერთიანებს. სამკარიან – ყველაზე დაბალ მოკლე ჰენჩეკს სპორტული იერი აქვს. ასეთივე დაბალი, ოღონდ ცოტა უფრო გრძელი სედანი, რამდენადმე კონსერვატიული გარეგნობით გამოირჩევა. ხუთკარიანი ჰენჩეკი გაცილებით მაღალი და სედანზე უფრო მოკლეა. ყველაზე გრძელი და მაღალი კი – მინი-ვენი STREAM-ია, რომელიც სამი რიგის სავარძლებში, 7 მგზავრს იტევს.

ამ მანქანისთვის ორი ძირითადი ძრავაა განსაზღვრული: 1,4 ლ (90 ცხ.ძ.) და 1,6 ლ (110 ცხ.ძ.) მოცულობის, ამასთან, 1600 იანი მექანიკური იქნება და ავტომატურიც. ავტომობილი ABS-ით, უსაფრთხოე-



ბის 4 ბალიშით, კლიმატ-კონტროლით, ლიუკით, მაგნიტოლითა და მრავალფეროვანი ელექტროპაკეტით იქნება აღჭურვილი.

CIVIC-ის ინტერიერის დიზაინი, HONDA-ს სხვა მოდელების მსგავსად, სისადავით, ფუნქციურობითა და შესრულების უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა. გემოვნება ყველა დეტალში იგრძნობა. ინტერიერის მოსაპირკეთებელ მასალად მყარი პლასტმასებია გამოყენებული, მაგრამ მას ისეთი ზედაპირი აქვს, რომ რბილი პლასტიკის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სალონი განსაკუთრებული ტევადობით გამოირჩევა. მძღოლის სავარძელი იმგვარად არის განლაგებული, რომ მის

წინ მაქსიმალურად ფართო ხედი იშლებოდა.

CIVIC-ი განსაკუთრებულად რბილი სვლით გამოირჩევა, რაც სრულად შეესაბამება ე.წ. ევროპულ გემოვნებას.

ყველა ეს მონაცემი იმას მოწმობს, რომ HONDA CIVIC-ი, უდავოდ, კომპანიის მიღწევათა რიგს უნდა მივკუთვნოთ. თუმცა, არის ერთი ნაკლი, რომელიც ბევრ ავტომოყვარულს დააფრთხობს – ეს არის ფასი.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, CIVIC-ში 22.000 დოლარის გადახდას, ბევრი მომხმარებელი ამჯობინებს, ისარგებლოს ფართო არჩევანით: უფრო ნაკლებად მას არა მარტო ჰენჩეკები – „ბეჟო 307“, „ფორდი ფოკუსი“ ან „ფოლკსვაგენ გოლფი“, არამედ „რენოს“, „სიტროენისა“ და „ნისანის“ კომპაქტ-ვენები შეუძლია შეიძინოს.



ნუნი გეხმანედებსაც მოხდით

ახალი ავტომობილი MINI, ოქსფორდში მდებარე BMW-ს ქარხანას, კონსტრუქციაში დაშვებული შეცდომის გამო დაუბრუნდა. როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა აღიარეს, სტატიკური ელექტრობის დაგროვებამ ნაპერწკალი შეიძლება წარმოშვას იმ მომენტში, როცა ავტოგასამართი შლანგის თავი საწვავის ავზშია ჩადებული, ამას კი, აფეთქებაც შეიძლება მოჰყვეს. თურმე ავზის „ტუნის“ ზედაპირი, რომელიც დამიწების ფუნქციას ასრულებს, ადვილად იხეხება.

როგორც კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, ქარხანაში იმ 500 მანქანის შეკეთება მოხდება, რომელიც უკვე გაგზავნილი იყო

მყიდველებთან, მათ კიდევ გარკვეული რაოდენობის ავტომობილი დაემატება, რომელიც ქარხნის ტერიტორიიდან ჯერ არ გასულა. „ბემ-ემ-ვე“-ს მესვეურებმა საგანგებოდ განაცხადეს, რომ ახალი მოდელის სერიულად გა-მოს-

ვების დღიდან ჯერ აალებს და, მით უმეტეს, აფეთქების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.



სისხლის ჯგუფი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამასაშვილი

გვითხარით თქვენი სისხლის ჯგუფი და გეტყვით, რა უნდა ჭამოთ

„არ არსებობს დიეტა, რომელიც ერთნაირად მისაღები და სასარგებლო იქნება ყველასათვის, რადგან კვების რეჟიმის სისხლის ჯგუფი განსაზღვრავს“ – თვლის ამერიკელი ნატუროპათი პიტერ ღ'ადამო.

აღმოჩნდა, რომ ადამიანის სისხლის ოთხი ჯგუფი O(I), A(II), B(III) და AB(IV) ერთბაშად კი არ წარმოიქმნა, არამედ – თანდათანობით, კაცობრიობის ევოლუციისა და ადამიანების სხვადასხვა კლიმატურ ზონაში დასახლების შედეგად გაჩნდა. გამყინვარების წლებში საკვებით ღარიბ მინდვრებზე მომთაბარე ტომები იძულებულნი იყვნენ, შეგუებოდნენ ახალ რაციონს. კვების ახალი სტრუქტურა ცვლილებებს იწვევდა მათ საჭმლის მომწელებელ და იზუნურ სისტემებში. ხოლო ამის შედეგად სისხლის ჯგუფის შეცვლა ხდებოდა.

მონადირე ხართ თუ მომთაბარე?

O(I) ჯგუფი უძველესია. იგი ჩვ.წ.აღ-მდე 60000-40000 წლებში წარმოიქმნა, როცა ნეანდერტალელები უხეშ საკვებს – ველურ მცენარეებს, მწერებს, მძორს ჭამდნენ. 40000 წლის წინ კი გაჩნდნენ მონადირეები, რომლებიც ყველა დიდი ცხოველის განადგურების შემდეგ აფრიკიდან ევროპისა და აზიისაკენ დაიძრნენ.

A(II) ჯგუფი – ჩვ.წ.აღ-მდე 25000-15000 წლებში გაჩნდა. თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ადამიანებმა დაიწყეს მიწათმოქმედება, გარეულ ცხოველთა მოშინაურება. შედეგად შეიცვალა კვების სტრუქტურაც. ამჟამადაც A(II) ჯგუფის მქონე ადამიანები უფრო მეტად გვხვდება დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში.



B(III) ჯგუფი – ჩვ.წ.აღ-მდე 15000 წელს წარმოიქმნა, როცა ჰომოსაპიენსთა გარკვეული ნაწილი გამოდევნილ იქნა აღმოსავლეთ აფრიკის ცხელი სავანეებიდან, ცივ, უნაყოფო ჰიმალაის მაღალმთიანეთში. კლიმატური ცვლილებების საპასუხოდ მომზადრმა მუტაციებმა დაბადა B ჯგუფის სისხლი. პირველად ამ ჯგუფის სისხლი მონღოლოიდური რასის წარმომადგენლებში გაჩნდა. დროთა განმავლობაში ამ ჯგუფის სისხლის მატარებლებმა ევროპის კონტინენტისაკენ დაიწყეს გადანაცვლება. დღეს B ჯგუფის მქონენი საკმაოდ მრავლად არიან აღმოსავლეთ ევროპაში.

სხვათა შორის, კონტინენტის ჩრდილოეთით მცხოვრები მეომარი ტომების და სამხრეთელ მშვიდობიან მიწათმოქმედთა საკვები სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ეს სხვაობა დღესაც კი შეიმჩნევა. მაგალითად, სამხრეთაზიურ სამზარეულოში თითქმის არ იყენებენ რძის პროდუქტებს და „ბარბაროსთა საკვებად“ თვლიან.

AB(IV) ჯგუფი ყველაზე ახალია ადამიანის სისხლის 4 ჯგუფს შორის. ის დაახლოებით 1000 წლის წინ გაჩნდა A ჯგუფის მატარებელი ინდოევროპელების და B ჯგუფის მატარებელი მონღოლოიდების შერევის შედეგად. დღეს ეს ჯგუფი იშვიათად, მოსახლეობის მხოლოდ 5%-ში გვხვდება. AB ჯგუფის მატარებლები დაავადებათა მიმართ მდგრადობას ამჟღავნებენ, მათი იმუნური

სისტემა უკეთესად ებრძვის მიკრობებს, მაგრამ ისინი მიდრეკილნი არიან ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნისაკენ.

ექიმი პიტერ ღ'ადამო თვლის, რომ ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის სხვადასხვა ჯგუფის ადამიანებმა უნდა დაიცვან ის დიეტა, რომელიც მათ „ისტორიულ ფესვებს“ შეესაბამება.

მალე მეხუთე ჯგუფიც გაჩნდება...

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, XX საუკუნის ბოლოს, მოხდა იშვიათ ვირუსულ და ინფექციურ დაავადებათა აფეთქებები, რომელთა წინააღმდეგ თანამედროვე მედიცინა უძლურია. გარდა ამისა, ატმოსფეროს ოზონური სფეროს გამოფიტვის შედეგად გაიზარდა ულტრაიისფერი გამოსხივება, დაბინძურდა ჰაერი, წყალი, საკვები პროდუქტები. როგორი იქნება ჩვენი ორგანიზმის რეაქცია ამ ცვლილებებზე?

სრულიად შესაძლებელია, რომ წარმოიქმნას სისხლის ახალი, მაგალითად C ჯგუფი, რომელიც გადარჩენს კაცობრიობას. ახალი ჯგუფის მქონე ადამიანები შეძლებენ გადარჩენას დაბინძურებულ, ბუნებრივი რესურსებისაგან გამოფიტულ მსოფლიოში, ხოლო სისხლის ძველი ტიპები და, მაშასადამე, მილიარდობით ადამიანი, ვერ გაუმკლავდება მზარდ ეკოლოგიურ კატასტროფას და გაქრობას დაიწყებს. ასეთია დოქტორ პიტერ ღ'ადამოს დასკვნა. ■

გაიხსენეთ თქვენი სისხლის ჯგუფი და შეირჩიეთ საჭირო რაციონი

	O(I) – მონადირის ტიპი	A(II) მიწათმოქმედის ტიპი	B(III) – მომთაბარის ტიპი	AB(IV) – ტიპი „გამოცანა“
ვინ ხართ თქვენ?	ხორცის მოყვარული. გაქვთ მოქნილი იმუნური სისტემა, ცუდად ეგუებით ახალ საკვებს. სტრესის მოსახსნელად სასარგებლოა აერობიკა, აღმოსავლური ორთაბრძოლები, სირბილი	ვეგეტარიანელი. კარგად ეგუებით კვებისა და გარემოს ახალ პირობებს. გაქვთ მგრძობიარე საჭმლის მომწელებელი ტრაქტი, სუსტი იმუნური სისტემა. კარგია დამამშვიდებელი და ფსიქიკის მაკონცენტრირებელი ფიზიკური ვარჯიშები: ხათხა-იოგა, ტაი-ცი-ცუანი.	გაწონასწორებული ნერვული სისტემა. ძლიერი იმუნური სისტემა. კვების ახალ პირობებთან უნივერსალური შეგუება. ორგანიზმის გასაკაუებლად სასარგებლოა ზომიერი ფიზიკური დატვირთვა – გასვირნება, ველოსიპედით სიარული, ჩოგბურთი, ცურვა.	სწრაფად რეაგირებს კვების და გარემო პირობების ცვლილებაზე. იმუნური სისტემა ზედმეტად მეგობრულადაა განწყობილი დაავადების გამომწვევი მიკრობებისადმი. სპორტიდან კარგია ჩოგბურთი და იოგა ან ტაი-ცი-ცუანი და სიარული.
რა გარგებთ	ხორცეულიდან: ცხვრის, ძროხის, ირმის, ხბოს ხორცი. თევზეულიდან: ქაშაყი, ვირთევზა, სკუმბრია. ზეთებიდან: ზეთუნის და სელის. სასუს-ნავიდან: გოგრის კურკები და კაკალი. ერიდეთ მაკარონს. სასარგებლოა ტომატი, ლეღვი, ქლიავი. ყავა შეცვალეთ მწვანე ჩაით.	ყველაზე შესაფერისი საკვები ვეგეტარიანულია. ყველაზე მნიშვნელოვანია ნატურალური საკვები, სასარგებლო არაქისი, გოგრის კურკა, წიწიბურა, ბრინჯი, ანანასი, სტაფილო, კომბოსტო, ისპანახი. რაც შეიძლება მეტი ნიორი და ქლიავი. სვით თბილი წყალი ლიმონის წვენი.	ხორცეულიდან: ცხვრის და კურდღლის. თევზეულიდან: ვირთევზა, კამბალა, ორაგული. კარგია ყველი, იოგურტი, რძე, საჭო. მიირთვით ანანასი, ბანანი, ქლიავი, შტოში.	ხორცეულიდან: ცხვრის, კურდღლის. კარგია ყველი, იოგურტი, თხის რძე, კეფირი; გამოიყენეთ მხოლოდ ზეთუნის ზეთი. მიირთვით შვრია, სოია; რაციონში უნდა იყოს: ბადრიჯანი, ყურძენი, ქლიავი, არაქისი, ლიმონი; ხილის წვენები წყლით გააზავეთ.
რა გავანებთ	ბატის ხორცი, ღორი, ღორის ხორცი. ერიდეთ ბადრიჯანს, სოკოს, კარტოფილს, სიმინდს, ფორთოხალს, მანდარინს, მარწყვს. რძის პროდუქტებს (ყველს, რძეს, იოგურტს).	რძის პროდუქტი (იგი იწვევს ინსულინურ რეაქციებს), პამიდორი (ცუდად მოქმედებს თქვენს კუჭ-ნაწლავზე), ფორთოხალი (აღიზიანებს კუჭს).	ნუ შეჭამთ ძროხის ხორცს. უარი თქვით ქათამზე, წიწილაზე. ეიბორჩხალები, კრევეტები – თქვენთვის არასასურველ ცილებს შეიცავს. ნუ დალევეთ ტომატის წვენი. არც ნაყინია სასურველი.	უარი თქვით ძროხის ხორცზე, ქათამზე. დაკონსერვებულ, გამომშრალ, შებოლილ ხორცის პროდუქტებზე, ფორთოხალზე.

თქვენი პატარა

პატარა უკვე სამი თვისაა...

სამი თვის ასაკი სავსეა სიახლეებით. მუცელზე წოლისას, პატარა მადლა სწევს არა მხოლოდ თავს, არამედ მხრებსაც, აზრიანი გამომეტყველებით თვალს ადევნებს ოთახში მოსიარულე დედას, გამოხატავს დადებით ემოციებს დედასთან ან საყვარელ სათამაშოსთან ურთიერთობის დროს, იღიმება, იქნევს ხელფეხს, გამოსცემს სიხარულის გამომხატველ ბგერებს...

ახლა თქვენს პატარას დღე-ღამეში სჭირდება 800-900 გ. დედის რძე. ერთ ჭამაზე, დაახლოებით, 150 გ. შესაძლოა, მოხდეს ისე, რომ მას დააკლდეს დედისგან მიღებული ბუნებრივი საკვები. ამის შესახებ პატარა გაცნობებთ თავისი ქცევით: დროზე ადრე მოითხოვს ჭამას, ბუბუს წოვის დროს ნერვიული ხდება, თავს აბრუნებს, დვრილს გარეთ აგდებს – ერთი სიტყვით, გამოხატავს თავის უკმაყოფილებას და გაღიზიანებას, მაგრამ ნუ გამოიტანთ ნაადრევ დასკვნებს რძის უკმარისობის შესახებ. შესაძლოა, ბავშ-



ვის ქცევის შეცვლის მიზეზი, სხვა რამ იყოს. არასაკმარისი კვების დამადასტურებელია ბავშვის წონის მცირე მატება (კვირაში იგი დაახლოებით 200 გ-ს უნდა იმატებდეს). იმის გასარკვევად, თუ რა როლდენობის რძე აკლდება ბავშვს, საჭიროა, რამდენჯერმე ავწონოთ იგი ჭამამდე და ჭამის შემდეგ. რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე ტანსაცმელში, პამპერსის გამოუცვლელად.

თუ რძის დანაკლისი 20-30 გ-ია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ლაქტაციის (რძის გამოყოფის) დაქვეითება დროებითია. საჭიროა მისი სტიმულირება: გაამდიდრეთ თქვენი დღის რაციონი, რათა მასში საკმარისად იყოს ცილები. უკეთ დაისვენეთ, მიიღეთ მეტი სითხე. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს რძის დიდი რაოდენობა აკლდება, დაუშვებელია მისი შიმშილი და საჭიროა, პატარა შერეულ კვებაზე გადავიყვანოთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ რძე შეინარჩუნოთ.

თაფლი

ჭრილობების მკურნალობა

უხსოვარი დროიდან დღემდე, თაფლს წარმატებით იყენებდნენ ჭრილობების სამკურნალოდ. მედიცინის ფუძემდებელი ჰიპოკრატე თავის ნაშრომში „ჭრილობების შესახებ“ გვიჩვენებს, გამოვიყენოთ თაფლი ძიძოს ყვავილის ფურცლებთან ერთად. რომელი მწერალი და ისტორიკოსი პლინიუსი წერს, რომ თევზის ქონი თაფლთან ერთად კარგად მოქმედებს დიდი ხნის შეუხორცებელ ჭრილობებზე. ავიცნა ამზადებდა კვერებს თაფლისა და ხორბლის ფქვილისაგან, ადებდა მათ ნაჭრილობებზე ზედაპირს და იღებდა კარგ შედეგს. ბულგარულ ხალხურ მედიცინაში თაფლი შედის ჭრილობის სამკურნალოდ მოწოდებულ მრავალ რეცეპტში. რაც შეეხება ქართულ ტრადიციულ მედიცინას, უძველეს კარაბადინებში და ეთნოგრაფიულ კვლევის მასალებში თაფლი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია წამალთა უმრავლესობისა.



გან. 3-4 პროცენტის შემდეგ, ჭრილობა აღდგებოდა ყველა – თექვსმეტივე საცდელ ცხოველში და ხდებოდა თითქმის სრული ეპითელიზაცია. საცდელ ცხოველთა მეორე ჯგუფს თაფლით მკურნალობას უტარებდნენ 30%-იანი თაფლსნარით, ადგილობრივი აბაზანების სახით. ყოველდღიურად უკეთებდნენ ორ ოცდაათწუთიან აბაზანას, რის შემდეგაც ჭრილობას ახვევდნენ სტერილურად. 6 პროცენტის შემდეგ, ყველა კურდღელს ჭრილობა გაუსუფთავდა, შეუხორცდა და ეპითელიზირდა.


ცდებით დადასტურდა, რომ თაფლის დადება ჭრილობის ზედაპირზე თავდაპირველად ახდენს ანტიბაქტერიულ მოქმედებას და იწყებს ადგილობრივ ჰიპერემიას (შეწითლებას), რაც ხელს უწყობს ჭრილობის სეკრეტის (გამონადენის) და ლიმფის ჭარბ გამოყოფას. ამას მივყავართ ჭრილობის მექანიკური გზით

სწრაფ გაწმენდამდე ინფექციისაგან და ფაგოციტოზის (ბაქტერიების შთანთქმის) გზით. ჩირქოვანი გამონადენი და ცუდი სუნი თანდათან მცირდება, ჭრილობა აღდგება, ტკივილი კლებულობს, სტიმულირდება შეხორცება.

ბულგარეთში ქირურგების მიერ წარმატებით იქნა გამოყენებული კლინიკურ პრაქტიკაში თაფლით დამზადებული მაღამო შემდეგი ქირურგიული დაავადებების დროს: ხანგრძლივად შეუხორცებელი ჭრილობა, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა, ტროფიკული წყლულები, ნეკროზები, განგრენა, პანარიკოუმი (თითების ჩირქოვანი ანთება), დამწვრობა და სხვა.

■

ქუთუთოები



ქუთუთოების კანი ძალიან თხელი და ნაზია, ადვილად იწელება. ძალიან მგრძობიარეა სხვადასხვა სახის მიკრობის, ძლიერი განათების, ქარის, უძილობის მიმართ. კანის ამ ნაწილზე ადრე ჩნდება ნაოჭები. ქუთუთოების ანთება

შეიძლება გამოიწვიოს წამწამების საღებავმა, თუკი ის დაბალი ხარისხისაა.

ზემოთ თქმულიდან ცხადია, რომ ქუთუთოების მოვლა პირველ რიგში ჰიგიენის ელემენტარული წესების დაცვას გულისხმობს. თუ ქუთუთოები გიშუბდებათ ან უძილო ღამის შემდეგ, ქუთუთოების კანი მოშვეებული და გამომშრალია, გაიკეთეთ კარტოფილის ნიღაბი. გაფტქვენით და კარგად გარეცხეთ საშუალო ზომის კარტოფილი, განეხეთ, დაიდეთ ქუთუთოებზე სქელ ფენად, ზემოდან დაიფინეთ თბილი პირსახოცი.

ასევე ეფექტურია შემდეგნაირად დამზადებული ნიღაბიც: მოხარშული კარტოფილი დასრისეთ, შეურიეთ პურის ფქვილი და რძე. მიღებული ფაფისებრი მასით გაიკეთეთ ნიღაბი.

სახის მასაჟის დროს მოერიდეთ ქუთუთოებზე კანის გაწელებას. კრემი დარ-

ტყმითი მოძრაობებით წაისვით. სახის კანისათვის განკუთვნილი ნიღბის გაკეთების დროს აიღეთ დოლბანდი, დააკეთეთ ოთხ-ხუთ ფენად, დაასველეთ გვირილის ან ჩაის ნაყენში და დაიფინეთ ქუთუთოებზე. 15-20 წუთის შემდეგ დოლბანდი მოცილეთ და დაიფინეთ რომელიმე მცენარეულ ზეთში დასველებული ბამბის ტამპონები.

ქუთუთოების კანის გასამაგრებლად, ნაოჭების მოსაშორებლად, ძალიან კარგია სახის საერთო ვარჯიშების სისტემატური კეთება. თუ ქუთუთოებზე კანი შეწითლებულია, ე.ი. თუ ანთებითი პროცესი მიდის, არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება ორთქლის აბაზანის მიღება, პარაფინის ნიღბის გაკეთება და კანის ასაქერცლი პროცედურის ჩატარება.

კითხვა



კანსუხი

კითხვა: ჩემს მამამთილს, რომელიც წარსულში ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლად მუშაობდა, ბოლო დროს საგრძნობლად უსუსტდება მენსიერება. იგი ძალიან განიცდის ამას და ცდილობს დაგვიმალოს. რით დავეხმარო?

პასუხი: სიბერეში მენსიერება თითქმის ყველას უქვეითდება, ადამიანი ითვისებს ინფორმაციის

ნაკლებ მოცულობას, ვიდრე ახალგაზრდობაში; ხდება დაბნეული. მაგრამ მენსიერების გაუარესება შეიძლება იყოს საკმაოდ სერიოზულ დაავადებათა (მაგალითად ალცჰაიმერის დაავადების ან სისხლძარღვოვანი ღემინციის – ჰქუასუსტობის) შედეგი. ალცჰაიმერის დაავადების დროს ხდება თავის ტვინის ქერქის ნეირონთა (ნერვულ უჯრედთა) დაღუპვა. სისხლძარღვოვანი ჰქუასუსტობის დროს მათი დაზიანება დაკავშირებულია ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევასთან. სიბერეში კარგი მენსიერების შენარჩუნებისა და ამ დაავადებათა პროფილაქტიკისათვის საჭიროა ტვინის გამუდმებითი ვარჯიში, ამასთან უნდა ერიდოთ ნერვო-ფსიქიკურ და ფიზიკურ გადაძაბვას.

ტვინისთვის სასარგებლოა, თუ მუშაობას არ შეწყვეტს სიბერის დროსაც. ასაკოვანმა ადამიანმა უნდა იკითხოვს წიგნები, წეროს (თუნდაც დღიურები), ისწავლოს ლექსები, იურთიერთოს სხვა ადამიანებთან. ხოლო თუ იგი საერთოდ არ ეწევა გონებრივ საქმეებს, მის ნერვულ უჯრედთა შორის კავშირები სულ უფრო და უფრო იშვიათდება. საერთოდ, ინტელექტუალური მუშაობით ტვინის ვარჯიში პატარაობიდანვეა საჭირო. ნერვულ უჯრედთა შორის ჩვენ გვაქვს კავშირები – სინაპსები და ის მით მეტია, რაც უფრო მეტად ვავარჯიშებთ ტვინს. ასაკთან ერთად ზოგი სინაპსი იღუპება, ზოგიც რჩება, თუ ახალგაზრდობიდან შექმნილი იყო მათი მარაგი.

ხანში შესულ ადამიანს გადაძაბვის დროს ადვილად უვითარდება სტრესი, რომლის დროსაც ტვინში ძლიერდება თავისუფალ-რადიკალური უანგვეითი პროცესები, რომელიც იწვევს ნეირონთა დაშლას. სწორედ ეს თამაშობს წამყვან როლს ალცჰაიმერის დაავადებაში. თავისუფალ-რადიკალურ რეაქციათაგან თავდასაცავად სასარგებლოა ვიტამინები E და C. აგრეთვე ტვინის ენერგეტიკული ცვლის მომწესრიგებელი პრეპარატები მაგალითად კოენზიმ Q. არსებობს პრეპარატები (ტანაკანი, ჰიკამილინი), რომელშიც თავმოყრილია ტვინის სისხლის მიმოქცევის გამაუმჯობესებელი და ანტიოქსიდანტური თვისებები.

სტრესის გადატანის საუკეთესო საშუალებაა ძილი, რომელიც რეგულირდება ჰორმონ მელატონინით. იგი გამოდის პრეპარატ მელაქსენის სახით.

ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის ყველაზე ხშირი მიზეზებია მაღალი წნევა და ათეროსკლეროზი. მათი პროფილაქტიკის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ ჩვენი გაზეთის წინა ნომერებში. ახლა კი მოკლედ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თუ გინდათ, რომ შეანელოთ თქვენს ტვინში მიმდინარე სკლეროზული პროცესები: 1. შეამცირეთ ცხოველური ცხიმი, მარილი თქვენს დღის რაციონში. მიირთვით თევზეული, მცენარეული ცხიმები. 2. ერიდეთ მაგარ ყავას, ჩაისს, სიგარეტს. 3. აკონტროლეთ არტერიული წნევა რეგულარულად. წნევის მონიტორინგს მამინვე დალიეთ დამწვევი საშუალება.

თუ თქვენი მენსიერება ბოლო დროს საგრძნობლად შესუს-

ტდა, დროზე მიმართეთ ნევროპათოლოგს ან ფსიქონევროლოგს. დღეს საკმაოდ ბევრი პრეპარატია, რომელიც აუმჯობესებს ტვინის სისხლის მიმოქცევას და აფერხებს ალცჰაიმერის დაავადების განვითარებას.

კითხვა: მე მგონი, მაქვს ჰემოროი, მაგრამ მრცხვენია ექიმთან მისვლა. შეიძლება თუ არა ჩავიტარო თვითმკურნალობა სახლში?

პასუხი: ჰემოროით (ბუასილით) დაავადებულთა ერთ ნაწილს რცხვენია ექიმთან მისვლის, ხოლო მეორე ნაწილს მოთმენა აღარ შეუძლია და ავიწყდება სირცხვილი. ჰემოროის კონსერვატიული მკურნალობისთვის იყენებენ სანთლებს, აბებს, რეჟიმს, დიეტას, მაგრამ თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ჰემოროი გაქვთ, რადგან მსგავსი სიმპტომატიკა აქვს სწორი ნაწლავის პოლიპებს და სხვა გაცილებით სერიოზულ დაავადებებს, ვიდრე ჰემოროია. ამიტომ უმჯობესია დიაგნოზის დაზუსტება.

კითხვა: ცოტა ხნის წინ დამიდგინეს ტუბერკულოზის დიაგნოზი. ახლა ვმკურნალობ, მაგრამ მაინტერესებს, შემიძლია თუ არა ბავშვის გაჩენა და ისიც დაავადებული ხომ არ დაიბადება?

პასუხი: თუ თქვენ ამჟამად პირველად დაავადდით, 2-3 თვის მკურნალობის შემდეგ უკვე საშიში აღარ იქნებით გარშემოცხოვითვის. ორსულობის დაგეგმვის შესახებ აუცილებლად შეუთანხმდით ფტიზიატრს. ქრონიკული ავადმყოფები აჩვენებენ ბავშვებს, მაგრამ ორსულობის წინ უნდა ჩაიტარონ მკურნალობის კურსი.

ტუბერკულოზი მემკვიდრეობით არ გადაეცემა. შესაძლებელია, მხოლოდ მემკვიდრული მიდრეკილება დაავადებისადმი.

ტუბერკულოზის შესახებ უფრო ვრცელ ინფორმაციას ჩვენს ჟურნალის შემდგომ ნომერებში მოგაწვდით.

კითხვა: მყავს 14 წლის ვოგონა, რომელსაც მენსტრუალური ციკლის წინა დღეებში ეწეება ხოლმე ძლიერი სისუსტე, უფუჭდება განწყობა, დილაობით უშუბდება ქუთუთოები, აქვს ტკივილები მკერდში. რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ეს მოვლენები შესუსტდეს?

პასუხი: მენსტრუაციის წინა სინდრომის შემსუბუქებისათვის ექიმები გვირჩევენ:

- აკონტროლეთ თქვენი წონა, არ გასუქდეთ.
- სასარგებლოა ფიზიკური ვარჯიში, ცურვა, აერობიკა.
- შეამცირეთ დღის რაციონში მარილი 3 გ-მდე (1/2 ჩაის კოვზი) დღეში.
- მენსტრუაციის წინა დღეებში შეამცირეთ მიღებული სითხის რაოდენობა.
- შეზღუდეთ ცხოველური ცხიმი და გაზარდეთ მცენარეული.
- მიირთვით მეტი რაოდენობით ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული.
- შეზღუდეთ მაგარი ჩაი, ყავა.
- უარი თქვით ალკოჰოლსა და სიგარეტზე.
- ხორცი შეცვალეთ თევზით, ხორცეულიდან მიირთვით ქათმის ხორცი.

ეს ყველაფერი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. აწესრიგებს კუჭის მოქმედებას.

კონსულტაციისთვის მაინც მიმართეთ გინეკოლოგს. შესაძლოა მან დაგინიშნოს ვიტამინი E ან B₆. არ არის გამორიცხული, რომ მენსტრუაციის წინა სინდრომის მიზეზი იყოს ჰორმონული დარღვევები, მაშინ თქვენ დაგჭირდებათ მისი კორექტირება.

როცა სერჯო ლეონე ცოცხალი იყო, მას რიგიან ხელოსნად მოიხსენიებდნენ, რომელიც ცინიურად მანიპულირებდა მაყურებელთა ნდობით. მას აგრეთვე ჟანრული კინოს დივერსანტ-დამანგრეველსაც უწოდებდნენ. ლეონეს სიკვდილის შემდეგ გაირკვა, რომ მის ფილმებზე რეჟისურას სწავლობდნენ სტივენ სპილბერგი, ფრენსის ფორდ კოპოლა, მარტინ სკორსეზე და ქვენტინ ტარანტინო.



იტალიელი, რომელმაც ვესტერნის სამშობლო დაიკარგა

როიალის კლავიატურაზე მსხვილი ხელით, შოსტაკოვიჩის ხელები ჩანს. კამერა შეველმფრენზეა და კადრს ღია ფანჯრიდან იღებს. კომპოზიტორი ლენინგრადის სიმფონიის პირველ ბეგრებს ეძებს და პოულობს. კამერა კი ამ დროს, მსხვილიდან საერთო ხედზე გადადის – შემოუვლის ოთახს, შემდეგ ადრიან დილის ქუჩაში გადის და შეიარაღებულ ადამიანებს მიჰყვება, რომლებიც ტრამვაიში სხდებიან. შემდეგ, ყოველგვარი მონტაჟისა და შეწყობების გარეშე, კამერა ტრამვაის მისდევს, რომელიც ქუჩას მიუყვება; მასში ახალ-ახალი ჯარისკაცები სხდებიან. ტრამვაის ლიანდაგების ბოლოში მათ საბარგო მანქანები ელოდებათ. კამერა საბარგო მანქანებს მიჰყვება, რომლებიც ქალაქგარეთ მდებარე პირველ თხრილებთან და სანგრებთან მიდის. თანდათან, როიალის ხმას სხვა ინსტრუმენტები უერთდება. და როცა მთელი ორკესტრი აუღერდება, კამერა უფრო ზემოთ ადის და საბჭოთა და გერმანული ჯარების შეტაკების უზარმაზარ ბრძოლის ველს გადაგვიშლის. გაისმის ქვეშევრდების ხმა და სწორედ აქ არის პირველი სამონტაჟო შეწყობა. ფარდა იხსნება და ტი-

ტრების ფონზე ჩვენ წინაშე ლენინგრადის სიმფონიის საკონცერტო დარბაზში გამართული პრემიერაა...

ასე უნდა დაწყებულიყო სერჯო ლეონეს გადაუღებელი ფილმი – „ლენინგრადის ცხრაასი დღე“.

სერჯო ლეონე კინოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ბედის ადამიანი იყო. მას რეჟისორის ნიჭი ღვთისგან ჰქონდა ნაბობები, მაგრამ ცოტას იღებდა: კინოში 40 წლის მუშაობის მანძილზე მხოლოდ შვიდი ფილმი შექმნა. ხელოვანი 1989 წელს, 60 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა, როცა გაჩაღებული იყო ლენინგრადის ბლოკადის შესახებ ფილმის გადაღების მოსამზადებელი სამუშაოები. დიდი ხნის მანძილზე ლეონე „ბ“ კლასის რეჟისორების სიაში ირიცხებოდა, მაგრამ ამჟამად მას XX საუკუნის კინემატოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე გაფლენიან ფიგურას უწოდებენ.

რეჟისორი არ იყო ლამაზი, არც სუპერმენად მოჰქონდა თავი, მაგრამ მასზე ქალები ჭკუას კარგავდნენ. კარგა ხნის მანძილზე კაფანდარა იტალიელი „მის იტალიის“ ტიტულის მფლობელი ქალის

საყვარელი იყო. „ჩვენ არ შეგვიძლია პლაჟზე გასვლა, – წუწუნებდა ლეონე. – ჩვენ ირგვლივ მაშინვე ყმაწვილები იკრებიებიან, გვაწუხებენ, შარს გვღებენ. ყველაზე მეტად მათ ის აცოფვებთ, რომ მე არ ვეჭვიანობ...“

1960 წელს ლეონემ იქორწინა ნიჭიერ და ლამაზ ბალერინა კარლაზე, რომელმაც სერჯოს გამო ბრწყინვალე კარიერა მიატოვა, სამი შვილი გააჩინა და სიკვდილამდე ქმრის ერთგული დარჩა.

ლეონეს სილამაზე უყვარდა: რომში მისი ბინა ანტიკვარული ავეჯით იყო გაწყობილი, მას ჰქონდა სურათებისა და ქანდაკებების კოლექცია, მაგრამ მის ფილმებში სილამაზისკენ ლტოლვა უცნაურად აისახებოდა: სილამაზის ცალკეულ გამონათებებს ის ყველაზე საშინელ და შეუფერებელ ადგილებში პოულობდა – ბრძოლის ველზე, ნანგრევებსა და გვამებს შორის, მკვლელთა სულებში...

ლეონეს ფილმები თითქოს იმ ადამიანის მიერ არის გადაღებული, ვინც ნამყოფია ომშიც, განგსტერული საქმეების გარჩევშიც, ნამდვილ ველორ დასავლეთშიც, სადაც მართალი ის არის, ვინც პირველი გაისვრის. სინამდვილეში კი, ეს დამაჯერე-

ბლობა მხოლოდ თითოეული ფილმისთვის საფუძვლიანი მზადების შედეგი იყო. სერჯო ლეონეს არასოდეს ჰქონია კავშირი კრიმინალურ სამყაროსთან. ის იტალიის კულტურულ ელიტას მიეკუთვნებოდა.

ლეონეს მამა რეჟისორი იყო და რობერტო რობერტის ფსევდონიმით მუშაობდა. დედამისი — ბიჩე ვალერიანი მუნჯური კინოს ცნობილი ვარსკვლავი იყო. ოჯახური ლეგენდის თანახმად, სერჯოს მამის გამო, დედამისმა ნამდვილი პრინცი მიატოვა.

ხელისუფლებაში ფაშისტების მოსვლამდე, რობერტი იტალიური კინოს ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული რეჟისორი იყო, მაგრამ 30-იანმა წლებმა ის უსაქმოდ დატოვა. 1925 წელს მუსოლინიმ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სახელმწიფოს მეთაური, რობერტის თავისი რომანის ეკრანიზება შესთავაზა. რეჟისორმა უარი განუცხადა, მუსოლინიმ კი ეს ამბავი არ დაივიწყა. როცა 1930 წელს ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, რობერტიმ კინოკოლოპერატივის შექმნის იდეა წამოაყენა. ის კომუნისტურ პროპაგანდაში დაადანაშაულეს და მუშაობა აუკრძალეს.

სერჯო სიღარიბეში იზრდებოდა. შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, მისი დედა ადრე შეძენილ ძვირფას ნივთებს თანდათანობით ყიდდა. სიღარიბის მიუხედავად, მამამ ვაჟი ისეთ კათოლიკურ სკოლაში მოაწყო, სადაც ფაშისტური პროპაგანდა არ იყო გავრცელებული, ამაში მას ძველი კავშირები დაეხმარა.

სერჯო ბავშვობიდანვე შეეჩვია უფროსი თაობის ორგვარად აზროვნებას: შინ მას სხვა საუბარი ესმოდა, საზოგადოებრივი თავ-

შეყრის ადგილებში, სადაც ბევრი დამსმენი იკრიბებოდა, — სულ სხვა. ამერიკული კინო და წიგნები აკრძალული იყო, როგორც იდეოლოგიურად მავნებლური, მაგრამ ბიჭუნები ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემდნენ ინგლისურენოვან კომიქსებს სუპერგმირების თავგადასავლების შესახებ, რომელიც აკრძალვის გამო, უფრო სასურველი ხდებოდა. როცა ომის დასრულების პირას, იტალიაში ამერიკელთა ჯარი შევიდა, მოზარდები მათ ენთუზიაზმით ეგებებოდნენ.

სერჯო სკოლაში ცუდად სწავლობდა, ომის შემდეგ კი, მთელ თავისუფალ დროს კინოდარბაზებში ატარებდა, სადაც შეუჩერებლად აჩვენებდნენ ამერიკულ ფილმებს. მამამისი უმკაცრო იყო — ის თვლიდა, რომ მისი ვაჟი იურისტი უნდა გამხდარიყო, რადგან კინოს საიმედო შემოსავალი არ მოჰქონდა, მაგრამ სერჯო იმაზე ოცნებობდა, რომ მამის კვალს გაჰყოლოდა. ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლის დროს, არდადეგებზე, მან კინოსტუდიაში დაიწყო მუშაობა, ჯერ მასობრივ სცენებში მონაწილეობდა, შემდეგ კი რეჟისორის ასისტენტი გახდა და ამ ხელობას მაღალპროფესიულ დონეზე დაუფლდა. ათი წლის განმავლობაში ის უდიდესი რეჟისორების თანაშემწედ მუშაობდა და კინოპროცესს შეინიღნა სწავლობდა. თვლიდა, რომ პროფესიონალს თავისი ხელობის ყველა ასპექტი დაწვრილებით უნდა შეესწავლა და მხოლოდ შემდეგ შესდგომოდა საქმის კეთებას.

ლეონეს სარეჟისორო დებიუტი 1960 წელს შედგა და მაშინაც, თითქმის შემთხვევით: ერთმა იტალიელმა პროდიუსერმა,

რომელიც ისტორიულ ბოვეიკებში იყო დახელოვებული, სტუდიას შეუკვეთა ფილმი როდოსის კოლოსის შესახებ, რომელიც, მისი ვარაუდით, ძველი რომაელი სუპერგმირი იყო.

გადაღების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, პროდიუსერმა სცენარის წაკითხვა იწავა, საიდანაც აღმოაჩინა, რომ სინამდვილეში, როდოსის კოლოსი, ქანდაკება ყოფილა. პროდიუსერი განრისხდა და პროექტის დახურვა მოინდომა, მაგრამ რეჟისორის ასისტენტად მიწვეულმა ლეონემ მას მაყურებლისთვის ატრაქციონი-სატყუარას მოწყობა შესთავაზა: მან გადაწყვიტა, ეჩვენებინათ ქანდაკება, რომელიც ქალაქში დადიოდა და მტრებს სრესდა. „შენ შეძლებ ამის გაკეთებას? — უნდობლად ჰკითხა პროდიუსერმა. — მაშინ მიდი — რეჟისორი იქნები“...

„როდოსის კოლოსმა“ იტალიაში უდიდესი წარმატება მოიპოვა, ლეონეს კი ახალი ფსევდო-ისტორიული პროექტები შესთავაზეს. მაგრამ მას ეს არ აინტერესებდა, მას ამერიკული კინოს გადაღება სურდა.

1964 წელს ლეონემ დიდი წვალებით შეაგროვა ფული ვესტერნის — „ერთი პეშვი დოლარებისთვის“ გადასაღებად. გადაღება ესპანეთში გადაწყვიტა, რადგან იქ ეს უფრო იაფი ჯდება.

მთავარი გმირის როლის შესასრულებლად, ლეონემ იტალიისთვის სრულიად უცნობი კლინტ ისტუვუდი შეარჩია, რადგან ის გადაღებაზე მცირე საზღაურის ფასად დათანხმდა და პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რასაც დაავალებდნენ. ლეონემ უბრძანა — ოდნავ მოეშვა წვერი, ესწავლა სიგარის მოწვევა (ისტუვუდი საერთოდ არ ეწეოდა და არც ეწევა) შელანძღული ქუდი და პონჩო შეურჩია. ყოველივე ამის შედეგად, გაჩნდა უსახელო მითური კაცი, რომელმაც ერთნაირად დაატყვევა ძველი და ახალი სამყაროს მაყურებლები.

მისი მოწინააღმდეგის როლზე ლეონემ თეატრის მსახიობი — ჯან-მარია ვოლონტე მიიწვია. ვოლონტე მიჩვეული იყო სამსახიობო მანერის თეატრალურობას, ამიტომ ლეონემ მისი პერსონაჟი ნარკომანად აქცია, რათა გაემართლებინა კამერის წინ მსახიობის აგზნებული და ზეაწეული ქცევა.

კომპოზიტორად ლეონემ თავისი ყოფილი თანაკლასელი — ენიო მორიკონე მიიწვია, ამასთან, მორიკონეს არაფრის შეთხზვამ არ მოუწია: ლეონემ მისი ძველი ჩანაწერები მოისმინა, შეარჩია მელოდია,

ლეონეს კინოდებიუტი „როდოსის კოლოსი“





ელი უოლახი და კლინტ ისტუვუდი ფილმში „კარგი, ცუდი, ბოროტი“

რომელიც ყველაზე მეტად მოეწონა და სხვა არანაირებით ჩააწერინა: მომღერლის ხმის ნაცვლად, ფილმში სტვენა ისმოდა.

ყველა ამ სიახლის შემხედვარე, პროდიუსერები თავში ხელებს იცემდნენ, მაგრამ ვერაფერს ცვლიდნენ: ლეონემ კონტრაქტში თავიდანვე ჩააწერინა პირობა, რომლის მიხედვით, მას სრულ შემოქმედებით თავისუფლებას ანიჭებდნენ. შედეგად კი, მან, ფაქტობრივად, მარტომ შექმნა ახალი ჟანრი, რომელშიც პერსონაჟები, ფილოსოფიურ კატეგორიებს წარმოადგენენ და, ამავე დროს, რეალური ადამიანებიც არიან.

როცა დამთავრებული ფილმი იხილეს, გამჭირავებლებმა მას ერთსულოვნად უწი-

ნასწარმეტყველეს კომერციული ჩავარდნა, რადგან სიუჟეტში სასიყვარულო ამბავი არ იყო.

„ერთი პეშვი დოლარებისთვის“, ზაფხულში – მკვდარი სეზონის დროს, ფლორენციის ყველაზე მივარდნილ კინოთეატრში გავიდა. ორი დღის შემდეგ, საღაროებთან რიგები გაჩნდა, ერთ კვირაში კი, ანშლაკები დაიწყო. ერთი თვის შემდეგ, ფილმი მთელი ქვეყნის მასშტაბით უჩვენეს და მან შემოსავლის ყველა რეკორდი მოხსნა.

იტალიელი ინტელექტუალი კრიტიკოსები დაუნდობელნი იყვნენ ლეონეს მიმართ. რეჟისორი ჰოლივუდის მიბაძვასა და ეროვნული ღირსების დაკარგვამი

ვეროპული ვესტერნის შესახებ იდეა ლეონეს 1961 წელს გაუჩნდა, როცა ვენეციის კინოფესტივალზე აკირა კუროსავას „პირადი მცველი“ იხილა. პროდიუსერს არ სჯეროდა, რომ ასეთი ფილმი ხარჯებს მაინც ამოიღებდა და განაცხადა: „ლეონე, თქვენ ჭკუიდან შეიშალეთ. როგორც გსურთ, ისე გადაიღეთ ფილმი – მე მის სანახავად არც მოვალ“. ამან ლეონეს ხელ-ფეხი გაუხსნა: ის ესპანეთში გაემგზავრა და ექვს კვირაში გადაიღო ფილმი – „ერთი პეშვი დოლარებისთვის“. ფილმის წარმატება იმ დროისთვის კოლოსალური იყო – პირველი ორი წლის გაქირავების შედეგად, შემოსავალმა 600 მლნ ლირა შეადგინა. ამან ისეთი ფილმების ნაკადი გამოიწვია, რომელსაც „სპაგეტი-ვესტერნი“ უწოდეს.


დაადანაშაულეს. საქმე ის იყო, რომ ლეონემ გადაწყვიტა, თავისი ფილმი წმინდა ამერიკულ ვესტერნად გაესაღებინა, ამიტომ ტიტრებში ყველა, ამერიკელი ისტუვუდის გარდა, ფსევდონიმს ამოეფარა. ლეონემ ფსევდონიმად ბობ რობერტსონი აირჩია. ეს ბევრს არ მოეწონა: რაში დასჭირდა იტალიელ რეჟისორს ამერიკელად თავის გასაღებაო?

განსაკუთრებულ აღშფოთებას იტალიური კომუნისტური გაზეთი PAESE SERA გამოთქვამდა. იდეოლოგია არაფერ შუაში იყო – უბრალოდ, გაზეთის შტატიანი კინოკრიტიკოსი აჯო სავიოლი, ლეონეს არაკეთილმოხურნეთა შორის ირიცხებოდა: თურმე ადრე სავიოლიმ ფულის შოვნა სცენარისტობით სცადა, ლეონემ კი რამდენჯერმე უარი განაცხადა მის უნიჭო სცენარებზე და თანაც, უარის მიზეზი არ დაუმალავს...


სწორედ სავიოლის სტატიების გამო, საბჭოთა ხელისუფლებამცოდნეები ლეონეს ანტიკომუნისტად, ბნელეთის მოციქულად და კაცთმოძულედ თვლიდნენ. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ლეონე საერთოდ გულგრილი იყო პოლიტიკის მიმართ. მის მეგობრებს შორის იყვნენ, როგორც კომუნისტი რეჟისორები – პანოლინი, ბერტოლუჩი, – ასევე კონსერვატიული შეხედულებების მქონე ადამიანები.

შემდგომში ლეონემ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ „ერთი პეშვი დოლარებისთვის“ მან მხოლოდ ფულის გამო დადგა, მაგრამ სახელწოდების მიუხედავად, ამ ფილმით მან ფულის შოვნა ვერ შეძლო. გამჭირავებლებისგან ფულის მიღების შემდეგ, პროდიუსერებმა მზაკვრული თაღლითობა ჩაიდ-

პენი ფონდა ფილმში „ერთხელ ველურ დასავლეთში“



კლინტ ისტუვუდი ფილმში „რამდენიმე დოლარით მეგისტისთვის“



ინეს, რის შედეგადაც ფირმა გაკოტრდა, თავად პროდიუსერები კი, გამდიდრდნენ. ლეონეს მხოლოდ ვალები და ადვოკატების ხარჯები დარჩა გასასტუმრებელი, ამიტომაც ის იძულებული იყო, სასწრაფოდ გადაეღო მეორე და მესამე ფილმები („რამდენიმე დოლარით მეტი“ და „კარგი, ცუდი, ბოროტი“): სხვაგვარად, ვალებს ვერ გაისტუმრებდა. ამჯერად, მან კონტრაქტები უფრო ჭკვიანურად შეაღწინა და პროცენტებს ყველა მოგებიდან იღებდა, რაც კი ფილმებს მოჰქონდა: კინოგაქირავებიდან, ვიდეოფირზე ჩაწერიდან და ტელევიზიით ჩვენებიდან.

და მამინ მისი მუშაობის ტემპი მკვეთრად დაეცა. თუმცა, 1968 წელს მან საკუთარ თავს სიამოვნებაზე უარი ვერ უთხრა და ამერიკაში, ჰოლივუდში ეპიკური ვესტერნი – „ერთხელ, ველურ დასავლეთში“ გადაიღო, მაგრამ კინოწარმოების ჰოლივუდურმა სისტემამ ის ვერ მოხიბლა. პროდიუსერებმა ფილმი თითქმის ერთი საათით შეამცირეს და ამერიკული ვერსიიდან ერთ-ერთი გმირის სიკვდილის სცენა ამოიღეს, რათა ფილმის ფინალი ოპტიმისტური გამოსულიყო. ლეონემ განაცხადა, რომ კინოდან მიდის.

სამი წლის შემდეგ, მეგობრებმა სხვადასხვა ხრიკითა და ათასგვარი ეშმაკობით, ლეონე აიძულეს, დაედგა ფილმი – „ერთი პეშვი დინამიტისთვის“ (1971 წ.), მაგრამ ამის შემდეგ, გამდიდრებული მაესტრო დიდი ხნით გამოეთხოვა რეჟისურას, რათა თავისი იდე-ფიქსის რეალიზება მოეხდინა – შეექმნა ნაციონალური ჟანრობრივი კინოს სკოლა.

სერჯო ლეონემ ამ იდეას რამდენიმე წელიწადი მოუძღვნა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: მის მიერ გაწერთნილი ყოფილი ასისტენტები, სცენარისტები და ოპერატორები, რეჟისორის სავარძელში მოკალათებისთანავე, ან სუსტ, აშკარად წამხედურ ფილმებს, ან საერთოდ, სრულ სისულელეს იღებდნენ.



ფილმზე „ერთხელ ამერიკაში“ მუშაობის მომენტი

1980 წელს ლეონემ უარი თქვა ადრეულ იდეაზე და ისევ კინოში დაბრუნდა, რათა თავისი შედეგები – „ერთხელ ამერიკაში“ შეექმნა. ის ამ ფილმისთვის სამი წელი ემზადებოდა – სწავლობდა XX საუკუნის დასაწყისის ნიუ-იორკის ქუჩური ბანდების ისტორიას, აკვირდებოდა ოპიუმის მწვევლთა ქცევებს, არჩევდა მსახიობებს, აკეთებდა ათასობით ჩანახატს, ესკიზს, არჩევდა კადრებს. თვით გადაღებებს ერთი წელი მოანდომა. 1984 წელს გამოსული ფილმი მისი გედის სიმღერა აღმოჩნდა.

კანის ფესტივალზე ამ ფილმის პრემიერის შემდეგ, ლეონე კვლავ მიიწვიეს ჰოლივუდში. სტივენ სპილბერგმა მას „ყველაზე რეჟისორული რეჟისორი“ უწოდა და გამოთქვა, რომ რეჟისურას, ლეონეს ფილმის – „კარგი, ცუდი, ბოროტი“ კადრების მიხედვით სწავლობდა.

იმის ნაცვლად, რომ ჰოლივუდში გამზავრებულიყო, ლეონემ ყველასათვის მოულოდნელად, საბჭოთა კავშირს მიაშურა.

მან კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს ერთობლივი – იტალიურ-საბჭოური პროექტი შესთავაზა ლენინგრადის ბლოკადის შესახებ და პრინციპული თანხმობაც მიიღო. ლეონემ დაიწყო სცენარის წერა ამერიკელ კინოოპერატორზე, რომელიც ლენინგრადში ბლოკადის დაწყების დროს ჩადის, რუსი ქალი შეუყვარდება და ბლოკირებულ ქალაქში რჩება...


80-იან წლების მეორე ნახევარში ლეონე ხშირად ჩადიოდა ლენინგრადში, ხვდებოდა ბლოკადის მონაწილეებს, სწავლობდა ლოკუმენტებს. ის ამბობდა, რომ ფილმის გადაღებას 1992 ან 1993 წელს შეუდგებოდა – როცა სავსებით მზად იქნებოდა ამისთვის. მას წინ კიდევ ბევრი შეხვედრა, აღმოჩენა და ფილმი ელოდა... მაგრამ 1989 წელს, ფილმზე მუშაობის პერიოდში, ლეონე მოულოდნელად გარდაიცვალა.

რეჟისორის სიკვდილიდან 12 წელი გავიდა. ყოველწლიურად, სერჯო ლეონეს სახელს სულ უფრო ხშირად იხსენიებენ ხელოვნებათმცოდნეები და კინოს ისტორიკოსები. მისი ფილმები ისევ იწერება ვიდეოკასეტებზე, მასზე წერენ წიგნებს, მისი ფილმების სცენებით კი, კინოსკოლებში ასწავლიან, ამერიკაში ლეონეს შემოქმედებისადმი მიძღვნილი სემინარები ტარდება.

ლეონეს თანამედროვენი ფილმებს თანაბრად დროს შესახებ იღებდნენ. ეს ფილმები უყვარდათ 60-იან და 70-იან წლებში. ლეონე კი, უკვდავ თემებზე იღებდა, ამიტომაც, მისი შემკვიდრება ჯეროვნად მხოლოდ ბოლო დროს შეფასდა.

მოამზადა

მანანა ლოლობერიძე



თავად სერჯო ლეონე კადრში მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა – საკუთარ შედეგში „ერთხელ ამერიკაში“ ბილეთების გამყიდველის როლი შეასრულა. გაიხსენეთ კადრი, რომელშიც ლაფმა – რობერტ ლე ნიროს გმირი, ყველა მეგობრისა და ცხოვრების აზრის დაკარგვის შემდეგ, სრულიად დაბნეული მიდის სადგურში და ბილეთს უახლოეს ავტობუსზე იძენს, ნიუ-იორკიდან – სულერთია სად. „ბუფალოში“? – აზუსტებს მოლარე-ლეონე. „ბუფალოში, – გულგრილად თანხმდება ლაფმა, – ერთი მიმართულებით“.

– „დოლარი და 20 ცენტი, სერ“.



შეგახსენებთ, რომ ამ რუბრიკის მეშვეობით გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ქართული ენის დამახინჯების ტიპურ მაგალითებს, რომლითაც ბეჭდური სიტყვის სხვადასხვა ნიმუში „იწონებს თავს“. ჩვენ შემოგთავაზებთ ცნობილი მხატვრული ნაწარმოების ნაწყვეტს ან ისტორიული მოვლენის ამსახველ ტექსტს, რომელიც „გამდიდრებულია“ დღეს გავრცელებული შეცდომებით. თქვენი ამოცანაა აღმოაჩინოთ ეს შეცდომები და სწორი ვარიანტებით შეცვალოთ ისინი.

რუბრიკას უძღვება
ლია შარვაშიძე

ნადვის ათი გირჩა

რევაზ მიშველაძე

თვითნასტავლი ხეზემჭრელი ვალიკო სალდაძე მონღოლეთში ხის მხატვრული დამუშევის ოსტატთა ფორუმზე მიიწვიეს... ხეზე ჭრა მისი მოწოდება სრულად არ იყო. სამსახური რაკი ვერ იშოვა, ვიღაცამ ურჩია ხეზე ჭრას მოჰკიდე ხელი, უსაქმობას მაინც სჯობია და ერთ-ორ კაპეიკსაც იშოვიო. ხეზე ცოტნა დადიანის ბარელიეფურ გამოსახულებას სჭრიდა და ყილიდა. ჩანს, რომელიღაც უცხოელმა სპეციალისტმა შეიძინა ვალიკოს ნახელავი. და აი, შედეგიც, ხის ცივათ დამუშავების თვითნასწავლ ოსტატთა ფორუმზე მიემგზავრება ხეოსტატი ვალიკო სალდაძე.

გამგზავრების წინ ვიღაცამ დაურეკა. მეო, გიტარაზე დაკვრის მოყვარულთა წრის მასწავლებელი საბანაძე ვარო. თქვენი გვარი გაზეთში ამოვიკითხე... არ გაგიკვირდეს ჩემი თხოვნა, მონღოლეთი ძველი ქვეყანაა, თუ ჩავივარდეს მამენტი, ვაიკითხე, ეგება იცინ ხალხური წამალი პროსტატის სამკურნალოთ. შარდის შეკავებას რომ ეძახიან, ის მკლავს...

სამ დღეს გაგრძელდა ულანბატორში ფორუმი. მესამე დღეს ლავრეტები დასახელეს, დიპლომები გადასცეს და ჰაეროპორტშიც გამოაცილეს... ვალიკო ილმინატორის შუქზე უბის წიგნაკს ათვარიელებდა და საბანაძის გვარს რომ წააწყდა, ელდა ეცა. დავიწყნოდა გიტრის მასწავლებლის თხოვნა. ვალიკო სალდაძემ ხეხელოვანთა პრესტიჟის გადასარჩენად სიცრუეს მიმართა...

მეორე დღეს ტელეფონით... სიხარულისგან აცახცახებულ საბანაძეს შარდის შეკავებისაგან უძველესი და უებრი „მონღოლური“ წამალი უკანახა:

— ათი ცალი ნადვის გირჩა, ნახევარი

კილო გათილილი კართოფილი, ერთი ჩაის ჭიქა გამხმარი ასკილი სამ ლიტრ წყალზე უნდა აღულოთ ერთი საათის განმავლობაში. რომ გაცივდება, ღვინის ჭიქით უნდა დალიოთ ჭამის შემდეგ დღეში სამჯერ.

— გაუწურავათ? — ბოდიშ-ბოდიშ ჰკითხა მეგობარემ.

— გაწურვა რომ საჭირო ყოფილიყო,



არ მეტყოდენ, მე, იქ, მონღოლეთის სახალხო მედიცინის ცენტრის შარდგამგებების განყოფილებაში?..

ერთ საღამოს ვალიკოს გიტარის კვრის მასწავლებელი საბანაძე ესტუმრა და აუწყა: მეო, სასიკვდილოდ მქონდა თავი გადაღებულიო. ორი თვე ვსვი და სასტაული მოხდა... ახლად დავბადე. ბევრია ასე ჩემსავით გაჭირვებული და გამოუშვა თქვენთან? უპატვიცემულოდ არ დაგტოვებენ...

შარდის შეკავების წინააღმდეგ ბრძოლის „მონღოლური“ მეთოდი უაღრესად პოპულარული გახდა. გავიდა სამი შინაარსიანი წელი. ვალიკოს სახელი და დიდება თვიდან თვემდე იზღებოდა. სამი წლის თავზე ვალიკომ ისევ მიიღო მონღოლეთიდან მიწვევა. გრიალით ჩაიარა ამჯერად ხეზემჭრელთა მსოფლიო ბიენალემ... ვალიკო სასტუმროს ფოიეში ყავას შეექცეოდა. ორგზის ლაურეტმა თარჯიმანს ჰკითხა... აქ სახალხო მედიცინის ცენტრი თუ არისო. მერე როგორიო... ორიოდე წუთის შემდეგ გრძელხალათიანი, თხისწვერება მონღოლის წინ იდგნენ. თქვენ რომ უძველესი და უნიკალური რეცეპტი გჭირდებად, 150 დრაპკანი ღირს, თუ გინდათ დოლარებით გადამიხადეთო. ვალიკოს ეძვირა... მაგრამ უკან ხომ არ დაიხვევდა. მონღოლური სახალხო მედიცინის ლომი დიდხანს წერდა. ბოლოს, მორჩა წერას და ქალაქი ვალიკოს გაუწოდა... ტექსტი, რა თქმა უნდა, მონღოლური იყო, თარჯიმანს სთხოვა, ეთარგმნა და კალამი მოიმარჯვა.

„ათი ცალი ნადვის გირჩა, ნახევარი კილო გათილილი კართოფილი...“

სალდაძეს ცივმა ოფლმა დაასხა.

— რატომ არ იწერთ? — ჰკითხა თარჯიმანმა.

— ვიცო, ვიცო, რომ გაცივდება, ღვინის ჭიქით უნდა დალიოთ ჭამის შემდეგ სამჯერ, — მიუგო ვალიკომ და მწარეთ გაუღიმა.

თავის შესამონშებლად, ჟურნალის 64-ე გვერდზე გთავაზობთ შეცდომების გასწორების სრულ ნუსხას. დაშვებულია 26 შეცდომა

**პურის
ნაჭარების
შესანავაძი
მონუმენტი**



ამერიკული ქარიშხალი									
✿	ალორბინების ხანა		სამეტყველო ბგერის ნიშანი		კატალიტოპოლიტიკა ეკონომ. ბატონობა				
პელეს მშობლიური გუნდი									
მითქმამოქმის გამოწვევი ამბავი	ისტორიული ალმასი			ვერდის ოპერა	აფა სუმატრა ცელებსი... (სახელმწ.)				

თვამებული დროს ტარება, ქეფი	კლდეში ნაკვეთი ქალაქი	ესპანეთის ჩემპიონი ფეხბურთში	„ახალგაზრდა ეკატერინე“ (მსახიობი)	„ლონკი ხოტი“ (მწერალი)	ქიურგის დარგი				
									რიტმული მოძრაობა იქით-აქეთ
			შეჯიბრი მანქანებით		გაერთიანებული ერების ორგანიზაცია				კოვბოის სამუშაო „იარაღი“
			რადიო + მაგნიტოფონი						
					სტატიის შინაარსის მოკლე გადმოცემა	ბიბლიური „კაპიტანი“			მდინარე რუსეთში
ნუსხა, ჩამონათვალი	მონტეკრისტოს ნამდვილი გვარი						თმის საღებავი		

სატუსალო	განყოფიერ. შედეგად წარმოქმნ. უჯრედი	სედა, კაეშანი	ნიკოლოზ შერგელაიას მხატ. ფილმი						
საკომუნიკაციო ნაგებობა მდინარეზე				ისტ. სლოგოლი მდინარე ოლქზე	კომპი				
ზევის ფარი					მევილინე ვანესა ...				
	ერთუფრედ ცხოველი ამერიკული ფორმა		ქალის პირბაღე						
		მკაობელი ფრინველი	ბიბლიური ურწმუნო						

შეადგინა რამაზ ალანიძე

მე-15 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-გ; 4-ა.
 44-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-გ.

კვირის (15 - 21 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

სასწორი - 24/IX-23/X



ამ კვირაში მცირე ტაიმ-აუტის აღების შესაძლებლობა გავიხინდება, რაც საკსეებით საკმარისი იქნება, რომ მიიხედ-მოიხედოთ, შეაფასოთ შექმნილი სიტუაცია და უახლოესი გეგმებიც დასახოთ. მაგრამ თუ ქვეყნიერების მომავალზე დაფიქრების სურვილი გაგიჩნდათ, სჯობს, თავი შეიკავოთ, რადგან ამ შემთხვევაში, 3-4 კვირით მინც შეიძლება ამოვარდეთ ჩვეული რიტმი-დან.

ღრიანკალი - 24/X-22/XI



კვირის დასაწყის-შივე, ხანმოკლე და ძალზედ სასიამოვნო მოგზაურობაში შეიძლება მოგიწიოთ წასვლამ. ამის შემდეგ, რომელიმე ახლობელი ბავშვი ან უბრალოდ, ასაკით თქვენზე უმცროსი ადამიანი მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. სწორედ მას დაუთმობთ თქვენი თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს. გირჩევთ, კვირა დღის საღამო მინც დაუთმოთ თქვენს პირად ცხოვრებას.

ეშვილდოსანი - 23/XI-21/XII



კონფლიქტები, რომელშიც ჩავითრევენ, კარგად დაგანახვებთ, რა და როგორ უნდა შეცვალოთ თქვენს ცხოვრებაში. სხვათა შორის, თქვენთვის ეს ძალიან დროულია, ვინაიდან პარასკევისთვის სასარგებლო ცვლილებების დრო დაგიდგებათ. უქმეებში ბუნების წიაღში გასვლას გირჩევთ.

თხის რქა - 22/XII-20/I



ახლობელთა წრი-დან ვინმეს ძალიან დასჭირდება თქვენი დახმარება. ასეც რომ არ მოხდეს, თქვენ თავად გაგიჩნდებათ გულისხმიერებისა და ვინმეს მხარდაჭერის მოთხოვნილება. ცხა-ღია, ამაში ცუდი არაფერია, ასე რომ — იმოქმედეთ.

ვერძეული - 21/I-19/II




თქვენს ოჯახში ფაქიზ გრძნობათა აქტიურად გამოვლინების ხანაა. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ კვირაში შინ უფრო კომფორტულად იგრძნობთ თავს, ვიდრე სადმე სხვაგან — თუმცა სახლის ზღურბლს მიღმაც არანაირი განსაკუთრებული განსაცდელი არ გელოთ.

თევზები - 20/II-20/III



ამ კვირაში, ფიქრის, რთული ამოცანების ამოხსნის, შორს მიმავალი გადაწყვეტილებების მიღების სურვილი შეგიპყრობთ. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამის მიღწევაში ისეთი წვრილმანები დაგეხმარებათ, რომელსაც ადრე ყურადღებას არც აქცევდით. გარდა ამისა, გამორჩეული ადამიანების გაცნობის სურვილიც შეგიპყრობთ. გაბედულად იმოქმედეთ გარშემომყოფებთან ურთიერთობისას, თორემ თქვენს შანსს დაკარგავთ.

ვერძი - 21/III-20/IV



კვირის დიდ ნაწილს იმ ადამიანთან დაპირისპირება წაიღებს, ვინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თქვენს ცხოვრებაში, მაგრამ თქვენი საპირისპირო შეხედულებები აქვს. აღნიშნული სიტუაციის შეცვლა მხოლოდ ხუთშაბათისთვის მოხერხდება. უქმეები კი, დახარჯული ძალების აღსადგენად დაგჭირდებათ.

კბრ - 21/IV-21/V



ვიღლო ან დაწინაურება გელოთ. თქვენ მიერ შემუშავებულ სამუშაოს კარგ შეფასებას მისცემენ — როგორც კოლეგები, ისე ხელმძღვანელები. მთავარია, არ მოეშვათ და განცხრომას არ მიეცეთ: აქტიურობისა და მიღწევათა პერიოდი გრძელდება!

მარცხივი - 22/V-21/VI



ამ კვირაში რეალობად შეიძლება იქცეს ბევრი რამ, რისთვისაც დიდი ხნის მანძილზე ვერ იცლიდით: მოგზაურობა, დაუგეგმავი შევბულება, საყვარელ ადამიანთან განმარტობა. ვარსკვლავები კეთილგანწყობას გამოიჩენენ ყველა თქვენი სურვილისადმი, ამიტომ თავს ნუ შეიზღუდავთ.

ქირჩხივი - 22/VI-22/VII



ძალზედ კონტაქტური და მომხიბლავი იქნებით, რაც ახალი წარმატებების მომტანი იქნება, როგორც სამსახურში, ისე სასიყვარულო საქმეში. განმარტობაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იქნება თქვენთვის, სამაგიეროდ, ნებისმიერ კომპანიაში თავს საუცხოოდ იგრძნობთ.

ლომი - 23/VII-23/VIII



ამ კვირაში წინა პლანზე, თქვენმა ფიზიკურმა მდგომარეობამ შეიძლება წამოიწიოს. არ შეშინდეთ — ავადმყოფობა არ გეპუქრებათ. უბრალოდ, თუ, მაგალითად, დეტას აპირებდით, ეს კვირა საუკეთესო იქნება ამის დასაწყებად, ან კიდევ — შესაძლოა, ექიმთან აპირებდით კონსულტაციისთვის წასვლას და ვერ იცლიდით...

ქალწული - 24/VIII-23/IX




ცვლილებების სურვილი, ენერგია და ოპტიმიზმი, რომელსაც იგრძნობთ, ძალზედ აფორიაქებულ და ილბლიან კვირას გიქადით. შესაძლოა, პერსპექტიული შეხვედრებიც გქონდეთ იმ ადამიანებთან, რომელთა გაცნობასაც ესწრაფოდით. ასეა თუ ისე, ამ კვირაში აუცილებლად გაგიმართლებთ და ყველა წამოწყებულ საქმესაც წარმატებით დაავკირავინებთ.

„შეყვარებული შექსპირი“ პლაგიატი?



სცენარისტებმა ღონ მილერმა და რონ ჰასინგ-ერმა, რომლებიც 1991 წლიდან უშედეგოდ ცდილობენ ჰოლივუდს თავიანთი სცენარი – „შეყვარებული შექსპირის“ სცენარის ავტორებს მარკ ნორმანსა და ტომ სტოპარდს სასამართლოში უჩივლეს და პლაგიატობაში დასდეს ბრალი. ფილმმა „შეყვარებული შექსპირი“ 1999 წელს ხუთი „ოსკარი“ მიიღო,

მათ შორის საუკეთესო ორიგინალური სცენარისთვის. მილერმა და ჰასინგერმა თავიანთი სარჩელი 289 მლნ დოლარად შეაფასეს. მოსამართლემ, რომელმაც საქმე განსახილველად მიიღო, აღიარა, რომ მსაჯულთა კოლეგიამ გულმოდგინედ უნდა იმუშაოს, რათა დაადგინოს – მართლაც ემთხვევა თუ არა „ოსკაროსანი“ და დაწუნებული სცენარების ძირითადი სიუჟეტური ხაზი. საქმის განხილვა კი, ექსპერტების ოთხი თვის მუშაობის შემდეგ დაიწყო. თავად მარკ ნორმანი იუწყება, რომ „შექსპირისეული“ სცენარის იდეა მას მაშინ დაებადა, როცა თავის ვაჟს შექსპირზე, „რომეო და ჯულიეტაზე“ და კიდევ იმაზე ესაუბრებოდა, იყო თუ არა შეყვარებული თავად შექსპირი, როცა ამ პიესას ქმნიდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ფილმის შემქმნელების მიმართ მსგავსი სარჩელი ფილმის ეკრანზე გამოსვლისთანავე აღძრა ამერიკელმა მწერალმა ქალმა ფეი კელერმანმა, რომელმაც 1989 წელს გამოსცა თავისი რომანი – „სიბრალოლის განსახიერება“.



ლენონის ნეხილი „ხისტის“ აუქციონზე

რამდენიმე დღის წინ აუქციონების ცნობილმა სახლმა „კრისტის“ გასაყიდად ჯონ ლენონის ის წერილი გამოიტანა, რომელშიც ავტორი პოლ მაკარტნის „ბითლზის“ დაშლის ნამდვილ მიზეზზე წერს.

პირადული ხასიათის ამ ექსკვერდ-იან წერილში ჯონ ლენონი მაკარტნის განდიდებით შეპყრობისა და „ვარსკვლავური ავადმყოფობისთვის“ აკრიტიკებს. მასში ლაპარაკია იმაზე, რომ არნახული პოპულარობის გამო, პოლი მოსწყდა რე-ალობას და ამის მიზეზი მაკარტნის ცოლი – ლინდა იყო. წერილში მოყვანილი ფაქტები ადასტურებს, რომ სახელგანთქმული ანსამბლი ფაქტობრივად, იმაზე ადრე დაიშალა, ვიდრე ეს ოფიციალურად გამოცხადდა.

თავდაპირველად „კრისტის“ ლოტი 95,7 ათას დოლარად შეაფასა. თანდათან მისი ღირებულება 19,2 ათასამდე დაეცა, მაგრამ მიუხედავად ამისა, წერილი გაუყიდავი დარჩა.

საშინაო დავალება

მეცნიერება	სწორი ვარიანტი
თვითნასტავლი	– თვითნასწავლი
დამუშევების	– დამუშავების
სრულდაც	– სრულიადაც
კაპიკსაც	– კაპიკსაც
სჭრიდა	– სჭრიდა
ყიდიდა	– ყიდიდა
ცოტნა	– ცოტნა
ცივათ	– ცივანდ
მაშენტი	– მომენტი
სამკურნალოთ	– სამკურნალოდ
ლაურეატები	– ლაურეატები
პაეროპორტში	– პაეროპორტში
ილმინატორი	– ილუმინატორი
ათვარიელებდა	– ათვარიელებდა
გიტარის	– გიტარის
გაუწურავათ	– გაუწურავად
მეცყოდენ	– მეცყოდენ
უძველესი	– უძველესი
კართოფილი	– კარტოფილი
განყოფილობაში	– განყოფილებაში
სასტაული	– სასწაული
პოპლარული	– პოპულარული
იზრდებოდა	– იზრდებოდა
ცენტერი	– ცენტრი
გჭირდება	– გჭირდებათ
მწარეთ	– მწარედ

ჩვილი, დათვის ბუნაგში

ირანელ მომთაბარეთა ოჯახმა მინდვრის სამუშაოდან დაბრუნებისას აღმოაჩინა, რომ მათი 16 თვის ბავშვი გამქრალიყო. მაძიებელთა ჯგუფმა ბავშვი დაკარგვიდან სამი დღის შემდეგ დათვის ბუნაგში აღმოაჩინა, რომელიც ირანელთა საცხოვრებელი ადგილიდან 10 კილომეტრით იყო დაშორებული.

როგორც ჩანს, დედა დათვი ბავშვის მთელი სამი დღე თავისი რძით კვებავდა. სამედიცინო ექსპერტიზამ დადასტურა, რომ ბავშვი თავს კარგად გრძნობს.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ქალბატონმა მაია რჩეულიშვილმა და ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

ვულოცავთ ქალბატონ მაიას და ბატონ ვახტანგს და ვუსურვებთ წარმატებებს!

სამი „პრასცია“

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (16 ოქტომბრის) 13 საათამდე.

66/37



გვ. 36

**დავიდ ბექჰემმა ვიქტორია
ადამსი პირველად თბილისში,
სასტუმრო „მეტეხში“ ნახა და
მეგობრებთან დაიქადაცა კიდეც:
— ეს ქალი ჩემი უნდა გახდესო!**



**„ფანტაზია“
სამი „ბრასია“**



**„ფანტაზიორობს
გკითხველი“
ტარანი**